საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 175 (454) პარასკევი, 11 სექტემბერი, 1992 წელი ფასი 3 მანეთი

# ჯერ კიდევ უძალოა მშვიდობა აფხაზეთში, მაგრამ საქართველოს ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ საბოლოოდ მოისპოს ტრაგიკული პირისპირდგომის შედეგები

რეპორტაჟი სოხუმიდან

## უმთავრესი მიზანია ცეცხლის შეწყვეტა

მართალია მეტად რთული იყო საქართველოს, რუსეთის ფედერაციის, აფხაზეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის მთელი რიგი ავტონომიური რესპუბლიკების წარმომადგენელთა მოსკოვის მოლაპარაკება, მაგრამ მოსალოდნელი ნაყოფი მაინც გამოიღო. უკვე იდგმება პრაქტიკული ნაბიჯები მოსკოვში ხელმოწერილი დოკუმენტების განხორციელების მიზნით. მუშაობას შეუდგა სამთავრობო კომისია, რომელსაც საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი თენგიზ სიგუა ხელმძღვანელობს. ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან ერთად იგი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა რეალურ შერიგებას მიაღწიონ.

ახლა უმთავრეს მიზანს შეადგენს ის, რომ მთელი აფხაზეთის ტერიტორიაზე შეწყდეს ცეცხლი. ასეთი შეთანხმება ჩვეულებრივ უმტკივნეულოდ და იდეალური სიზუსტით არ სრულდება. ჯერ კიდევ ისმის სროლის ხმა ეშერის რაიონში, გაგრისა და ბიჭვინთის შემოგარენში, კვლავ არიან დახოცილები და დაჭრილები.

მიღწეულია შეთანხმება, სასწრაფოდ გაიყვანონ ჩრდილოეთ კავკასიიდან აქ ჩამოსული ბანდიტური ფორმირებები.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სარკინიგზო მიმოსვლის უსწრაფეს აღდგენას აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე.

თანდათან წესრიგდება რეგიონის კვების პროდუქტებით მომარაგება, აქ რეგულარულად შემოაქვთ ფქვილი, მარცვლეული, შაქარი, სხვადასხვა ბოსტნეული, ხილი და სხვა საქონელი.

ჯერ კიდევ უძალოა მშვიდობა აფხაზეთში, მაგრამ საქართველოს ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ საბოლოოდ მოისპოს ტრაგიკული პირისპირდგომის შედეგები.

• • •

სურათებზე: საქართველოს ეროვნული გვარდიის მებრძოლები იგერიებენ ჩრდილოეთკავკასიიდან გადმოსული ბანდიტური ფორმირებების იერიშებს. გმირულად იბრძოდნენ დაქირავებული ბანდების წინააღმდეგ „თეთრი არწივის" ბატალიონის გვარდიელები. სურათზე თქვენ ხედავთ ამ ქვედანაყოფის მებრძოლს ნუგზარ მაღრაძეს, მდინარე გუმისთის რაიონში დაჭრილები მოჰყავთ სამხედრო-საველე ჰოსპიტალში.

ბორის სოკოლოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა)

## საუბარი საქართველოს სახელმწიფო საბჭოში

10 სექტემბერს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ მიიღო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია საგარეო საქმეთა ფედერალური სამინისტროს წარმომადგენლის, ულრის როლფ ჰოფშტეტერის მეთაურობით. გერმანელი სამხედროები და დიპლომატები რესპუბლიკაში ჩამოვიდნენ სამხედრო-პოლიტიკურ პრობლემებზე კონსულტაციების მოწყობის, ორ ქვეყანას შორის ამ დარგში თანამშრომლობის პერსპექტივების განხილვისათვის.

ბატონი ედუარდ შევარდნაძე გულთბილად მიესალმა სტუმრებს, აღნიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ვიზიტს რესპუბლიკისათვის. მან თქვა, რომ გერმანიიდან საბჭოთა ჯარების გაყვანის დროს, პროცედურული და სხვა საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებით, გერმანიის გამოცდილება ფრიად მნიშვნელოვანია საქართველოსათვის, რომელმაც უნდა გადაჭრას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ჯარების თავისი ტერიტორიიდან გაყვანის პრობლემა. გარდა ამისა, გერმანიის გამოცდილება ხელს შეგვიწყობს ეროვნული ქართული არმიის შექმნის დროს.

ბატონმა როლფ ჰოფშტეტერმა თქვა, რომ მისი ქვეყანა მზად არის მეგობარ საქართველოს დაეხმაროს ყველა სამხედრო-პოლიტიკურ საკითხში. მან ხაზი გაუსვა, რომ გერმანელი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს ბატონ ედუარდ შევარდნაძის როლს გერმანიის გაერთიანებაში, ბერლინის კედლის დანგრევაში, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების თვითგამორკვევაში. ელჩმა გამოთქვა რწმენა, რომ საქართველოს სახელმწიფო საბჭოს ხელმძღვანელის უდიდესი პოლიტიკური გამოცდილება დაეხმარება ქვეყანას გამოვიდეს კრიზისიდან, სტაბილური გახადოს ვითარება ამიერკავკასიის რეგიონში.

საუბარს დაესწრნენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე თედო ჯაფარიძე, რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრესმდივანი ვალერი კვარაცხელია, სახელმწიფო საბჭოს საერთაშორისო განყოფილების გამგე გელა ჩარკვიანი.

ხიდები

## სხვათა დახმარებით, მაგრამ საკუთარი გზით

### კონსულტაციას გვიწევენ ექსპერტები მსოფლიო ბანკიდან

**ჩვენმა თანამემამულეებმა ოპტიმისტურად და სიხარულით აღიქვეს მსოფლიო ბანკში საქართველოს გაწევრიანება. მაგრამ გაწევრიანება ერთია და კონკრეტული საქმე, რომელიც მას უნდა მოჰყვეს, — მეორე. ჩვენდა სასიკეთოდ, ასეთი საქმიანობა უკვე დაიწყო. ადრეც იყვნენ და თბილისში ამჟამადაც მუშაობენ მსოფლიო ბანკის ექსპერტები, რომლებიც ჩამოვიდნენ რესპუბლიკაში ეკონომიკური რეფორმის სხვადასხვა საკითხის შესასწავლად და მათ გადაწყვეტაში დახმარების აღმოსაჩენად. ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა და ესაუბრა დელეგაციის ხელმძღვანელს ბატონ კრის ჰოლს, ბანკის ექსპერტს ბატონ ჯემალ საგირს, საქართველოს რესპუბლიკის ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ბატონ ემირ ჯულელს. აი, რა თქვეს მათ.**

**კრის ჰოლი:** მსოფლიო ბანკში უფროს ეკონომისტად მუშაობის საკმაო გამოცდილება მაქვს. წლების მანძილზე ვმუშაობდი აფრიკისა და აზიის ქვეყნების საკითხებზე, ამჟამად კი ბანკმა დამაკისრა ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელობა საქართველოში. ჩვენი მისია კონკრეტულია: მოვამზადოთ საფუძვლები რესპუბლიკაში ეკონომიკური რეფორმის გასატარებლად, რათა პირველი სესხი მივცეთ.

**— თქვენი მუშაობის მიმართულებანი?**

— უმთავრესია შევიმუშაოთ რჩევა-დარიგება, კონსულტაციები, შევქმნათ დოკუმენტაცია იმისა, თუ რას უნდა მოხმარდეს სესხი, სად და როგორ უნდა დავაბანდოთ, რომ ქვეყანა მოღონიერდეს, რაც შეიძლება სწრაფად დაძლიოს ეკონომიკური ჩამორჩენა.

ამას რომ ვაკეთებთ, განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ პრივატიზაციის პროცესს, კერძო სექტორის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური დაცვის საკითხებს. უწინარესად საჭიროა ამ სფეროებში მოხდეს სწრაფი გარდაქმნები, რათა დაჩქარდეს ეკონომიკური რეფორმები.

ჩვენ აგრეთვე კოორდინაციას ვუწევთ დახმარების ფონდებს, რათა ისინი რესპუბლიკამ დროულად და მიზანმიმართულად გამოიყენოს. დახმარება კარგი საქმეა, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, სად და როგორ გამოვიყენოთ იგი. რის განვითარებას მოვახმაროთ, რას მივანიჭოთ პრიორიტეტი. აი, სწორედ ამ საკითხებზე მივცემთ ქართველ სპეციალისტებს კონსულტაციებსა და რეკომენდაციებს.

რა თქმა უნდა, ამ სფეროებში დახმარების გასაწევად მოვლინებული იქნებიან მაღალკვალიფიციური ექსპერტები, რომლებიც ადგილობრივ სპეციალისტებს რჩევას არ მოაკლებენ როგორც მთავრობის, ისე სამინისტროების და უწყებათა დონეზე. ასე რომ, ექსპერტთა ერთი ნაწილი მთავრობაში იმუშავებს, მეორე — ქალაქის მერიაში, მესამე ნაწილი — ადგილობრივ ორგანოებში. ვფიქრობთ, ეს საქმეს არაფერს ავნებს, პირიქით, დააჩქარებს.

**— ჩანს, ბევრი ექსპერტი ჩამოვა?**

— მაგას ჯერ ვერ გეტყვით. აი, დამთავრდება ჩვენი შეხვედრები მთავრობასთან და გადაწყვეტილებასაც მაშინ მივიღებთ. ამჯერად ვერც სესხის ზუსტ რაოდენობას დავასახელებთ. ალბათ, 10-15 მილიონი დოლარის ფარგლებში იქნება. რესპუბლიკის მთავრობაში ჩვენთან ერთად ახლა სწორედ ამ საკითხის შესწავლა და დაზუსტება მიმდინარეობს.

**ჯემალ საგირი:** ახლა საქართველოში პრივატიზაციის დიდმნიშვნელოვანი პროცესი იწყება, რაშიც, ვფიქრობ, ერთგვარი სარგებლობის მოტანა შემიძლია — მე ხომ სწორედ პრივატიზაციის საკითხებზე ვმუშაობ ექსპერტად მსოფლიო ბანკში. მანამდე ამ საქმეში ტუნისის პრემიერ-მინისტრის მრჩეველი გახლდით. უფრო ადრე პრივატიზაციის პროგრამის განხორციელებაში ვეხმარებოდი კვებეკის შტატს (კანადა), ბანკის მიერ წარგზავნილი ვიყავი ასევე ეგვიპტეში, იამაიკაში, ვენესუელაში, კენიასა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში. ასე რომ, მდიდარი გამოცდილების გასაზიარებლად ჩამოვედი ჩემს ქართველ კოლეგებთან. ჩემი მოვალეობაა მათთან ერთად განვსაზღვრო ის ტექნიკური დახმარების სახეები, რომლებიც საჭიროა რესპუბლიკაში პრივატიზაციის პროგრამის შესასრულებლად.

**— დიახ, ასეთი პროგრამა უკვე აქვს საქართველოს. როგორ შეფასებას მისცემდით მას?**

— მე მას გავეცანი და მიმაჩნია, რომ იგი წარმოადგენს პრივატიზაციის ერთგვარ საკანონმდებლო ჩარჩოს. სასიამოვნოა, რომ ბოლო თვეების მანძილზე საკანონმდებლო ანუ სამართლებრივი თვალსაზრისით რესპუბლიკაში დიდი წინსვლა იგრძნობა. მხედველობაში მაქვს დებულებები ქონების აუქციონით და კონკურსით გაყიდვის წესის, სახელმწიფო საწარმოთა სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნის შესახებ, ქონების შეფასების მეთოდიკა და სხვა დოკუმენტები. განხილვის პროცესშია კანონი, რომელიც ითვალისწინებს ქონების რესპუბლიკურ და მუნიციპალურ საკუთრებად გამიჯვნას. ახლა ყველაზე მნიშვნელოვანია ცხოვრებაში დავნერგოთ, ავამოქმედოთ ეს კანონები, რათა მივიღოთ საბოლოო შედეგები.

კარგია, რომ მცირე პრივატიზაციის პარალელურად მოხდება მსხვილი საწარმოების პრივატიზაციაც, ისიც, რომ პრივატიზება იწარმოებს სერთიფიკატებით. თუ რესპუბლიკის მთავრობა მოითხოვს, ჩვენ მზად ვართ გამოვყოთ მრჩეველი, რომელიც ქართველ კოლეგებს სერთიფიკატებით პრივატიზების საქმეში დაეხმარება, მისცემს მათ რჩევასა და კონსულტაციებს.

**— ასეთი დახმარება, ალბათ, სარგებლობას მოგვიტანს. ზოგი ჩვენი სპეციალისტი ფიქრობს, რომ უკეთესი იქნება მთელი საპრივატიზაციო ქონება სერთიფიკატებით გადაეცეს მოსახლეობას. თქვენ რა აზრის ბრძანდებით?**

— მსოფლიო ბანკი დაინტერესებულია იმით, რომ პრივატიზაციის პროგრამა საქართველოში რაც შეიძლება სწრაფად ამოქმედდეს, დაიწყოს განსახელმწიფოებრიობის პროცესი. მაგრამ როგორი გზით უნდა მოხდეს პრივატიზაცია, ამას რესპუბლიკის მთავრობა თვითონ აირჩევს. ისე, ზოგიერთმა ქვეყანამ (პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი, უნგრეთი და სხვა) პრივატიზებისას გამოიყენა სერთიფიკატების სისტემა, თუმცა სხვადასხვა ზომით — საპრივატიზაციო ქონების 30-დან 60 პროცენტამდე. მე თუ მკითხავთ, აქ უფრო მთავარია მან, ვის საკუთრებაშიც გადადის ქონება, ის უნარიანად გამოიყენოს. მას კომპანიის მფლობელობაში უნდა ჰქონდეს საკმარისი წილი აქციისა, რათა მისი მუშაობა მომგებიანი, სასარგებლო გახადოს.

**ემირ ჯულელი:** აი უკვე რამდენიმე თვეა მსოფლიო ბანკის სპეციალისტებთან ვმუშაობთ და უნდა ითქვას, ნაყოფიერადაც. აქამდე ისინი ეცნობოდნენ, თუ როგორ მიმდინარეობდა მზადება საქართველოში პრივატიზების სამართლებრივი უზრუნველყოფისათვის. ამჟამად უკვე კონკრეტულ საქმეზე გადავედით, ვხვეწავთ პროცედურულ საკითხებს, განვსაზღვრავთ, თუ როგორ წარიმართოს მცირე პრივატიზაცია. ამასთან, მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები მონაწილეობას მიიღებენ მსხვილი საწარმოების პრივატიზაციის პროექტების შემუშავებაში. ბატონ ჯემალ საგირთან ერთად ვაზუსტებთ, ყოველივე ეს როგორ განვახორციელოთ. უკვე მოვილაპარაკეთ, რომ ჩამოვლენ კონსულტანტები, რომელთა მეთვალყურეობითაც ჩატარდება მცირე პრივატიზაციის ბოლო ეტაპი.

**— აქ სერთიფიკატებით პრივატიზების საკითხი დაისვა.**

— დიახ, ამ მხრივაც გვიწევენ კონსულტაციებს. ვაზუსტებთ როგორ განვახორციელოთ ეს პროცესი. როგორი სქემით დავურიგოთ სერთიფიკატები მოსახლეობას, რომ მას საშუალება ჰქონდეს გახდეს ქონების გარკვეული წილის მესაკუთრე, აქტიურად ჩაერთოს საწარმოს მართვაში, მიიღოს მოგება. ძალიან გვინდა, რომ სერთიფიკატების გამოყენების სქემა იყოს დახვეწილი, რაშიც ბანკის ექსპერტები უთუოდ გვეხმარებიან. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ისინი ყოველ საკითხს ჩვენთან ერთად განიხილავენ, რაც კარგ პირობას უქმნის ჩვენი ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინებას.

**ეს აუცილებელია. დიდად დასაფასებელია, რომ ჩვენ სტუმრებს საბაზრო ეკონომიკაში მუშაობის დიდი საერთაშორისო გამოცდილება აქვთ. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ყოველი ქვეყანა განვითარების მხოლოდ მისეულ გზას ირჩევს. კარგია, რომ ბანკის ექსპერტები და რესპუბლიკის მთავრობა ერთობლივ მუშაობას სწორედ ამ მიმართულებით წარმართავენ. მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში საქართველო საკუთარი ხელწერით ჩაერთვება.**

კრის ჰოლი

ჯემალ საგირი



ემირ ჯულელი

## წუხელ შევიტყვეთ

### შეთანხმება არ სრულდება

სოხუმი, 10 სექტემბერი. (იტარ-საქდესის სპეც. კორ. მიხეილ შევცოვი). „თუ არ იქნა მიღწეული მორიგება მხარეთა დაშორიშორების და მიღწეულ შეთანხმებათა შესრულებისადმი კონტროლის მექანიზმების შესახებ, ცეცხლის ნამდვილი შეწყვეტის იმედები ნაკლებსავარაუდოა", — განუცხადა იტარ-საქდესის კორესპონდენტს აფხაზეთში ინსპექციის კონტროლის კომისიის დღევანდელი შეხვედრის დაწყების წინ რუსეთის დელეგაციის მეთაურმა იური ვორობიოვმა.

გუშინდელი შეხვედრის დროს, რომელიც დაახლოებით თერთმეტ საათს გაგრძელდა, მიღწეულ იქნა მორიგება 10 სექტემბრის 0 საათიდან ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. ეს შეთანხმება არ სრულდება. სროლა კონფლიქტის რაიონში გრძელდება. გუშინ ვერ მოხერხდა მხარეთა დაშორიშორების პრინციპებისა და მექანიზმის, უშიშროების კორიდორის შექმნის, იმ ძალების შესახებ საკითხის შეთანხმება, რომლებმაც უნდა დაიცვან წესრიგი კონფლიქტის ზონაში. ამ საკითხებში გამოვლინდა მხარეთა სერიოზული უთანხმოებანი.

კერძოდ, აფხაზეთის მხარე არ თანხმდება გაიყვანოს თავისი ფორმირებანი, სანამ სოხუმიდან არ გაიყვანენ საქართველოს სამხედრო ქვედანაყოფს.

სწორედ ეს პრობლემები უნდა განიხილონ დღეს. აფხაზეთში ინსპექციის კონტროლის კომისიის ერთობლივი სამმხრივი შეხვედრის დაწყების წინ დღეს რუსეთის დელეგაციამ გამართა ცალ-ცალკე შეხვედრები აფხაზთა და ქართველთა მხარეებთან.

●

### მორიგი დეზინფორმაცია

9 სექტემბერს ტელეპროგრამა „უტრომ" მოსკოვიდან გადმოსცა ინფორმაცია, რომ რკინიგზის დისპეტჩერებმა აჭარაში გაფიცვა დაიწყეს.

საქინფორმის კორესპონდენტი ამის თაობაზე დაუკავშირდა ბათუმის რკინიგზის სადგურის უფროსს ვაჟა ბლიაძეს, რომელმაც უარყო ეს ფაქტი. — არც სადგურში, არც ვაგზალში, არც სალოკომოტივო და სავაგონო დეპოებში გაფიცვა არ ყოფილა და არც იქნება, — თქვა მან.

თამაზ გენძეხაძე.
ბათუმი.

●

### გაიგზავნა ჰუმანიტარული ტვირთი

ჰუმანიტარული დახმარების მორიგი პარტია გაიგზავნა თბილისიდან აფხაზეთში. ეს აქცია საქართველოს „მწვანეთა" მოძრაობის ინიციატივით მოეწყო.

გაიგზავნა 10 ტონა ტვირთი, ძირითადად ეს არის სასურსათო პროდუქტები და მედიკამენტები. ეს უკანასკნელი გადაეცემა სოხუმის საავადმყოფოებს. დანარჩენი გაიგზავნება გუდაუთის რაიონის ორ ქართულ სოფელში, რომლებიც ბლოკირებული აღმოჩნდნენ. არსებული ცნობების თანახმად, იქ უკვე დაიწყო შიმშილი.

ყველა ზემოთ დასახელებული შეწირულება მიღებულია, როგორც კერძო პირებისაგან, ისე სახელმწიფო და კომერციული საწარმო-დაწესებულებებისაგან.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი
მოვლენა
კომენტარი

ნომერში

⊙ საქართველოს რკინიგზა დამოუკიდებელი უნდა იყოს. — 2
⊙ გამთელდება ჩატეხილი ხიდი? — სხვა გზა არ არის. — 5

## მხარდაჭერა

1992 წლის 10 სექტემბერს გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებათა ხელმძღვანელების მონაწილეობით.

აკადემიის პრეზიდიუმმა მხარი დაუჭირა ბატონ ედუარდ შევარდნაძის კანდიდატურას საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარედ ასარჩევად.

პრეზიდიუმმა მოუწოდა ქართველ მეცნიერებს და საქართველოს მოსახლეობას, მხარი დაუჭირონ ბატონ ედუარდ შევარდნაძის კანდიდატურას და აქტიური მონაწილეობა მიიღონ საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის მომავალ არჩევნებში.

10 სექტემბერს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში რექტორატის გაფართოებულ სხდომაზე კმაყოფილებით აღინიშნა, რომ თბილისის უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტზე და განყოფილებაში აქტიურად მიმდინარეობს ხელმოწერა მომავალ არჩევნებში საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარედ ბატონ ედუარდ შევარდნაძის კანდიდატურის მხარდასაჭერად.

თავის მხრივ სხდომის მონაწილეებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ბატონ ედუარდ შევარდნაძის კანდიდატურას და მოუწოდეს ყველას აქტიური მონაწილეობა მიიღონ საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნებში და ხმა მისცენ ბატონ ედუარდ შევარდნაძეს.

## მადლობის წერილი ედუარდ შევარდნაძეს

ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის საელჩომ საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს გამოუგზავნა ეგვიპტის პრეზიდენტის მუჰამედ ჰოსნი მუბარაქის იმ სამადლობელი წერილის შინაარსი, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ რომ მიიღო.

კეთილი სურვილებით და დიდად ნასიამოვნები გიხდით მადლობას, თქვენო აღმატებულებავ, 23 ივლისის რევოლუციის წლისთავის მილოცვის გამო.

ამ მილოცვამ კიდევ ერთხელ აღძრა ჩემი თქვენდამი დიდი პატივისცემა და ახლობლური გრძნობები. მეც გისურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერებას, აგრეთვე წარმატებებს ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრობის განმტკიცების საქმეში.

დიდი პატივისცემით
**მუჰამედ ჰოსნი მუბარაქი.**

## წერილი ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

ძვირფასო ბატონო თავმჯდომარე.

დიდი მადლობა თქვენი კეთილი წერილისათვის. თქმა არ ჭირდება იმას, რომ მე ძალიან მოხარული ვარ ჩემი ევროპაში დაბრუნებისა და დიდი სიამოვნებით ვაპირებ იმ პრობლემებზე მუშაობას, რომელთა გადაწყვეტაც ამ რეგიონს მოუტანს მტკიცე და ხანგრძლივ მშვიდობას.

აგრეთვე მსურს მადლობა მოგახსენოთ საქართველოში ოფიციალურ ვიზიტად მოწვევისათვის. მე მინდა კიდევ ერთხელ ვესტუმრო თქვენს ლამაზ ქვეყანას და ვფიქრობ, რომ ჩვენი ოფისები ერთმანეთთან კონტაქტში განსაზღვრავენ ამისთვის შესაფერის დროს — 1993 წელს.

გასულ მაისში ჩემი ვიზიტი თბილისში ჩემთვის უაღრესად სასარგებლო იყო, რადგან მე ბევრი რამ შევიტყვე საქართველოს თავდაცვის პრობლემებზე, ხალხზე და კულტურაზე. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ქართველი ხალხის გადაწყვეტილებამ ჩაატაროს ოქტომბერში არჩევნები დემოკრატიის კონსოლიდაციის მიზნით. გისურვებთ თქვენ და თქვენს თანამემამულეებს დიდ წარმატებებს დასახული ამოცანების გადაწყვეტაში.

გთხოვთ, მიიღოთ ჩემი საუკეთესო სურვილები საქართველოს და მისი ხალხის მომავალ მშვიდობასთან და აყვავებასთან დაკავშირებით.

გულწრფელად
**ჯონი მალხაზ შალიკაშვილი.**
ევროპაში განლაგებული გაერთიანებული ჯარების უმაღლესი სარდალი.

უკანასკნელ საათს

## ვითარება კვლავ რთულია

სოხუმი, 10 სექტემბერი („საქართველოს რესპუბლიკის" სპეც. კორ.). საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის 3 სექტემბერს მოსკოვში დადებული ხელშეკრულების შესრულების კონტროლისა და ინსპექციის კომისიის 10 სექტემბრის მორიგი სხდომა 11-ის ნაცვლად, 18 საათზე დაიწყო: რუსეთის ფედერაციის დელეგაციამ და აფხაზეთის წარმომადგენლებმა ზუსტად ამდენ ხანს დააგვიანეს.

რასაკვირველია, ამ რეგიონში გადაადგილება გაძნელდა, მაგრამ არც იმდენად, რომ ასეთი უზრუნველი ფუფუნებით მოეკიდო რეგლამენტს: სიტუაცია უაღრესად რთულია და ყოველ წუთს, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ქვეყნის ბედისთვის თითქმის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

9 სექტემბრის საღამოს სხდომაზე, რომელიც მძიმედ წარიმართა, აფხაზეთის წარმომადგენელთა მიერ ხელოვნურად შექმნილ წინააღმდეგობათა გამო, სამხედრო საკითხების ოქმს ხელი ვერ მოაწერეს, თუმცა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ძალაში დარჩა.

მოვლენები აფხაზეთში ამ 24 საათის განმავლობაში, ომის ლოგიკით წარიმართა. 22-დან 23 საათამდე დროის მონაკვეთში გაგრაში შეტაკების შედეგად დაჭრილია 4 ქართველი მეომარი, მათგან ორი — მძიმედ. სერიოზული შეტაკება იყო ოჩამჩირეშიც, არიან დაჭრილები. წუხელ კვლავ ააფეთქეს ტამიშის ხიდი.

• • •

საღამოს ცნობილი გახდა, რომ გადაიდგა კიდევ ერთი ნაბიჯი ცეცხლის შესაწყვეტად, რასაც ხელს შეუწყობს 11 სექტემბრის დილის 10 საათიდან დაპირისპირებული სამხედრო შენაერთების ურთიერთგაშორება და მათი გადაყვანა წინასწარ განსაზღვრულ ადგილებში. იმ სამხედრო ფორმირებების ლიკვიდაციისათვის, რომლებიც არ შეასრულებენ მხარეთა სარდლობის ბრძანებებს, შეიქმნა სწრაფი რეაგირების სამხედრო ჯგუფი, რომელიც დაემორჩილება გაერთიანებულ სარდლობას. აფხაზეთის მხარე ამასთან ერთად 15 სექტემბრამდე დაიწყებს უკანონო სამხედრო ფორმირებების განიარაღებას და მათ გაყვანას აფხაზეთიდან.

## გაათავისუფლეს ზიბერტ ხაზალია

10 სექტემბერს დილით განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად თბილისში დაბრუნდა უკანასკნელი მძევალი — რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ზიბერტ ხაზალია, რომელიც ტყვედ იგდეს ტერორისტებმა — ყოფილი პრეზიდენტის მომხრეებმა. მანამდე, როგორც უკვე ვიუწყებოდით, გაათავისუფლეს მძევლები — საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის თანაშემწე დავით სალარიძე, რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი ალექსანდრე კავსაძე, შინაგან საქმეთა მინისტრი რომან გვენცაძე, ქალაქ ზუგდიდის გამგებელი ოთარ ფაცაცია, რესპუბლიკის საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები რაულ ალასანია, ტარიელ მჭარიაშვილი, ვალერიან როგავა და მურთაზ ჩიქობავა.

ზიბერტ ხაზალია, ისევე როგორც სხვა მძევლები, ტერორისტებს აფხაზეთის ტერიტორიაზე ჰყავდათ.

**საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრესცენტრი.**

**დღევანდელ საქართველოში ვერც ერთ ნაღდ მამულიშვილს ვერ ნახავთ, ეს კითხვა რომ არ აწუხებდეს: რა ვიღონოთ, როგორ გადავარჩინოთ ქვეყნის დამბლადაცემული ეკონომიკა. ბევრს კრიზისიდან თავის დაღწევის უებარ საშუალებად საზღვარგარეთთან დამყარებული ეკონომიკური კავშირები მიაჩნია. ამის საწინააღმდეგო ვის რა უნდა ჰქონდეს, მაგრამ საქმის არსში გასარკვევად, ალბათ, უპრიანია მოვუსმინოთ საქართველოს რესპუბლიკის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ბატონ სოსო ცისკარიშვილს.**

## სოსო ცისკარიშვილი:

# თუ საკუთარ სახლში ვერ ავაწყვეთ საქმე, გარეთაც ვერაფერს მივაღწევთ

### აქტუალური ინტერვიუ

— კომიტეტი არსებობის სულ რამდენიმე თვეს ითვლის; ყველას კარგად მოეხსენება, საქართველო მთელი ორი საუკუნის მანძილზე მოწყვეტილი იყო ცივილიზებულ გარესამყაროს, სახელმწიფოებრიობაც დაკარგული გვქონდა და ქვეყნებთან კავშირურთიერთობის არხებიც ნაგვალევი მდინარესავით იყო დაშრეტილი. ახლა, თუ შეიძლება ითქვას, ჩვენი წინაპრების მიერ გაკვალულ გზაზე, ხელახლა ვსწავლობთ სიარულს.

**— ასეთ პირობებში, ბუნებრივია, ბევრს თქვენი კომიტეტის ფუნქციებზე და უფლება-მოვალეობებზე ბუნდოვანი წარმოდგენა თუ აქვს.**

— მოკლედ ვიტყვი. საქართველოს რესპუბლიკის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო კომიტეტი არის საგარეო ეკონომიკურ სფეროში რესპუბლიკის სახელმწიფო ინტერესების დაცვისა და საქმიანობის რეგულირების ცენტრალური ორგანო. კომიტეტი უზრუნველყოფს ერთიანი სახელმწიფო საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებას და განხორციელებას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში საგარეო ეკონომიკური კავშირების განვითარებას, ახდენს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა კოორდინაციასა და რეგულირებას.

განსაზღვრულია ცენტრალური აპარატის სტრუქტურა, კომიტეტს აქვს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის, სახელმწიფოთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების და საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების, საგარეო ვაჭრობის, სავალუტო-საფინანსო, საზღვარგარეთული ინვესტიციების და კრედიტების, ინფორმაციის და მარკეტინგის, სამართლებრივ-სახელშეკრულებო სამმართველოები, სხვადასხვა განყოფილებები. ცალ-ცალკე განყოფილებები იმუშავებენ, მაგალითად, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის, ამერიკისა და ევროპის, აზიისა და აფრიკის ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობის, საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციების, კონიუნქტურისა და ფასების ლიცენზირების, სავალუტო საგადასახადო ბალანსების და სხვა საკითხებზე, რომლებიც პრიორიტეტული არიან ქვეყნის საგარეო ეკონომიკურ პოლიტიკაში.

**— როგორი დამოკიდებულება აქვს კომიტეტს რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებთან?**

— მათთან ურთიერთობას ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ. კომიტეტი თავისი ფუნქციებით დარგთაშორისი ორგანოა და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებებს, რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად შეიმუშავებს დებულებებს, ინსტრუქციებს, მეთოდურ მითითებებს, სხვა ნორმატიულ აქტებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა რესპუბლიკის სამინისტროების, კომიტეტების, დეპარტამენტებისა და უწყებებისათვის. ამასთანავე მათ კომიტეტი დაეხმარება საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციაში, საზღვარგარეთ სამამულო ნაწარმის პრეზენტაციების ჩატარებაში, ბაზრობებსა და გამოფენებში მონაწილეობაში, სხვა აქტუალური პრობლემების ერთობლივად გადაწყვეტაში.

**— როგორც ვიცი, სწორედ სამინისტროების, უწყებების, სამეცნიერო დაწესებულებების მონაწილეობით და დახმარებით, თქვენი კომიტეტი თაოსნობს რესპუბლიკის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის კონცეფციის შემუშავებას.**

— ასეთი კონცეფცია ალბათ უკვე გვექნებოდა კიდეც, ხელი რომ არ შეეშალა ქვეყანაში შექმნილ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას. მდგომარეობა კი ყველასათვის ცნობილია: წლეულს ექვს თვეში შარშანდელთან შედარებით პროდუქციის წარმოება 30 პროცენტით შემცირდა. მკვეთრად იკლო საგარეო ვაჭრობამაც, როგორც საზღვარგარეთის ქვეყნებთან, ისე ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან, ინფლაციამ 500 პროცენტს გადააჭარბა, ხოლო ბიუჯეტში შემოსავლებმა წლის პირველ ნახევარში სულ 30-40 პროცენტი შეადგინა.

როგორ დავაღწიოთ თავი შექმნილ კრიზისს? დაუყოვნებლივ უნდა შევიმუშაოთ დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკური მოდელი, რომელიც დაეფუძნება მეურნეობის მრავალი დარგის რესტრუქტურიზაციას. მოდელი უნდა განსაზღვრავდეს ქვეყნის პრიორიტეტულ მიმართულებებს, რომლებიც სისხლხორცეულად აუცილებელია ჩვენი ეკონომიკის რეანიმაციისთვის. ვიდრე არ გვექნება ასეთი მოდელი, ბუნებრივია, ვერც საგარეო ეკონომიკური საქმიანობის კონცეფცია გვექნება.

**— ასეთი დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო პროგრამის რეალიზაციისათვის, ალბათ, აუცილებელი იქნება საქართველოში საზღვარგარეთული ინვესტიციებისა და კრედიტების მოზიდვა...**

— რა თქმა უნდა, სწორედ რესპუბლიკის სახელმწიფო პრიორიტეტული პროგრამების განხორციელების ხელშესაწყობად შეიქმნა სახელმწიფო საბჭოში ამას წინათ საზღვარგარეთული ინვესტიციებისა და კრედიტების მოზიდვისა და რეალიზაციის საკოორდინაციო კომისია. ის ფაქტი, რომ ამ კომისიას სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ედუარდ შევარდნაძე ხელმძღვანელობს, ბევრზე მეტყველებს.

კომისიასთან შექმნილია საფინანსო-საკრედიტო, სათბობ-ენერგეტიკული, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა კომპლექსების ხაზით მოქმედი საექსპერტო ჯგუფები, რომლებიც უკვე შეუდგნენ მუშაობას. ჯგუფები უზრუნველყოფენ შესაბამისი სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, ორგანიზაციების, კერძო სექტორის და უცხოელ პარტნიორთა მიერ წარმოდგენილი პროექტების განხილვას, რა თქმა უნდა, მათი ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური პრიორიტეტების გათვალისწინებით.

**— მაგრამ, როგორია თვით კომისიის ამოცანები?**

— მისი უმთავრესი საქმეა: მსოფლიო მეურნეობაში და საერთაშორისო ბაზარში საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის მაქსიმალური ინტეგრირება; რესპუბლიკაში საზღვარგარეთული ინვესტიციებისა და კრედიტების მოზიდვა და რეალიზაცია; პრიორიტეტული სახელმწიფო დარგობრივი პროგრამებისა და პროექტების განხილვა და დამტკიცება.

ეს მარტო პროგრამა როდია. უკანასკნელ ხანს პრაქტიკულადაც იდგმება ნაბიჯები იმისთვის, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, კერძო ინვესტორთა ასოციაციების, კომერციული ბანკების და სხვათა მეშვეობით საქართველო მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში აქტიურად ჩაერთოს.

**— ბატონო სოსო, ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ არ შემიძლია არ გაგიზიაროთ ხალხში მოარული აზრი: არა ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის, ფონდისა თუ ბანკის წევრი გავხდით, მოდიან და მიდიან საზღვარგარეთელი ბიზნესმენები, ფორმდება ხელშეკრულებები, იდება კონტრაქტები, მაგრამ უშედეგოდ — ინფლაცია სულ უფრო მატულობს, მოსახლეობის რეალური შემოსავლები კი დღითი-დღე კლებულობს.**

— გეთანხმებით, სიტუაცია მართლაც მძიმეა, მაგრამ ეს უპირველესად ჩვენი ბრალია. ნათქვამია, კაცმა თუ საკუთარ ოჯახში ვერ ააწყო საქმე, გარეთაც ვერაფერს გააკეთებსო. რა უცხოური ბანკისა და ფონდის წევრიც უნდა გავხდეთ, მთელი მსოფლიო ინვესტორები მოვიზიდოთ, ყველაფერი წყალში ჩაგვეყრება, თუ არ მივაღწიეთ პოლიტიკურ სტაბილიზაციას, არ ვისწავლეთ მაღალპროფესიული შრომა, არ მოვაწყვეთ დემოკრატიული არჩევნები, დროზე არ შევუდექით ცივილიზებული სახელმწიფოს მშენებლობას. რა თქმა უნდა, ამასთან ერთად, უნდა დაჩქარდეს ეკონომიკური რეფორმები, ფასების სრული ლიბერალიზაცია, საბაზრო ეკონომიკაზე რეალური გადასვლა. ეს ყველაფერი გახლავთ ის, რაც საქართველოს ცივილიზებული მსოფლიოს ღირსეულ წევრად გახდის.

რაც შეგვეხება ჩვენ, საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტის მუშაკებს, ყველაფერს ვიღონებთ, რომ ქართველი ხალხი ამ გზას არ ასცდეს. ისიც გადაწყვეტილი გვაქვს, რომ ჩვენს მიერ გადადგმული ყოველი კონკრეტული ნაბიჯი, მათი შედეგები პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით, მოსახლეობას სისტემატურად გავაცნოთ, საჯარო მსჯელობის საგნად ვაქციოთ. ვფიქრობთ, საქმისთვის ასე აჯობებს.

ესაუბრა
**გელა ივანიძე.**

---



**დღევანდელი ნომრის სტუმარი ბატონი ლევან ვარდოსანიძე რედაქციაში საკუთარი ინიციატივით გვეწვია — სტატია გადმოგვცა გამოსაქვეყნებლად. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ამჯერადაც წერილში დასმულ პრობლემებთან, საერთოდ რკინიგზაში მისი მოღვაწეობის პერიოდთან დაკავშირებით ჩვენ შორის ურთიერთმიმნდობი, გულღია საუბარი გაიმართა. იგი სულით ხორცამდე რკინიგზელია. ამ უბანზე ხანგრძლივი მუშაობის პერიოდში, სადაც განვლო ყველა საფეხური რიგითი ინჟინრიდან ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსამდე, მან ბევრი რამ ნახა და გამოსცადა, ცხოვრებამ, რომ იტყვიან, შარბათიც ასვა და სიმწარეც აგემა, რაც, ვფიქრობთ, უინტერესო არ უნდა იყოს საზოგადოებისათვის.**

### დღევანდელი ნომრის სტუმარი

# რკინიგზა არაკომპეტენტურობას ვერ იტანს

**— ბატონო ლევან, რკინიგზა ის არტერიაა, რომლის გამართულ მუშაობაზეც დიდად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკა და ხალხის კეთილდღეობა. ახლა რაც ხდება ამ უბანზე, ყველა ხედავს, მაგრამ როგორ იყო მაშინ, თქვენი თავკაცობის პერიოდში. ნუთუ პრობლემები არ გქონდათ?**

— დღევანდელი სურათი ერთობ სამწუხაროა, მაგრამ არც მაშინ გვქონდა დალხინებულად საქმე. მახსენდება, რა რთული მდგომარეობა შეიქმნა რკინიგზაზე 70-იან წლებში. დაბალი ტექნიკური აღჭურვილობის გამო არ გვყოფნიდა სიმძლავრეები. და ეს ხდებოდა მაშინ, როცა ტვირთზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის ტემპი ყოველთვიურად მატულობდა. ამას ემატებოდა ისიც, რომ განვიცდიდით წამყვანი პროფესიების კადრების მწვავე ნაკლებობას.

რა უნდა გვექნა? სიძნელეები რომ გადაგველახა და მდგომარეობა გამოგვესწორებინა, საჭირო იყო ასობით მილიონი მანეთი, რომელიც ჩვენ არ გაგვაჩნდა. რადგან სახელმწიფოდ არ ვითვლებოდით და არც სახსრები გვქონდა, იძულებული ვიყავით მივმართა ცენტრისათვის, რომელიც შენიღბულ პოლიტიკას ატარებდა და ახერხებდა კიდეც „გასაჭირიდან“ თავის დაძვრენას. მხოლოდ საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელის ბატონ ედუარდ შევარდნაძის მხარდაჭერითა და აქტიური დახმარებით გახდა შესაძლებელი საქართველოს რკინიგზის სრული რეკონსტრუქცია და განვითარება.

არაერთი უძილო ღამე, შრომა და ბრძოლა დასჭირდა იმის მიღწევას, რომ მოსკოვს გამოეყო დიდი ფულადი სახსრები, მასალები და მოწყობილობები. მაგრამ ამას ვინ ჩივის, როცა შედეგად ხელთ შეგვრჩა მარაბდა-ახალქალაქის ახალი ხაზი, მეორე ლიანდაგები, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი მძლავრი მახარისხებელი სადგური სამტრედიაში, თბილისისა და ქუთაისის ვაგზლები, დედაქალაქის ბორჯომის საგარეუბნო ვაგზალი, სალოკომოტივო და სავაგონო დეპოები, მექანიზებული სატვირთო ეზოები, საცხოვრებელი სახლები, სკოლები, საბავშვო ბაღები, სამედიცინო და სპორტული ნაგებობები და ბევრი სხვა სიკეთე. 1984 წლისათვის გზაზე მთლიანად მოიხსნა ეგრეთ წოდებული „ვიწრო ადგილები“. შესრულდა სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რამაც საქართველოს რკინიგზას მძლავრი ტექნიკური ბაზა და მუშაობის დიდი პოტენციალი შეუქმნა.

**— თქვენ თბილისის ვაგზალი ახსენეთ. როგორც ვიცი, მისმა მშენებლობამ დედაქალაქში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ბევრი პირდაპირ, დაუფარავად აცხადებდა: რა საჭიროა ახალი ვაგზალი, როცა გვაქვს ქალაქის ანსამბლს შერწყმული შესანიშნავი ნაგებობა. ძველის დანგრევა და ახლის აგება მფლანგველობა, მავნებლობა და მეტი არაფერიო.**

— გეთანხმებით, მრავლად იყვნენ ამგვარად მოაზროვნენიც. იმის მიუხედავად, რომ ძველი ვაგზლის შენობა ავარიულ მდგომარეობაში იყო და ჩვენ რომ არ დაგვენგრია, თავისით მაინც დაინგრეოდა. თბილისში გამოჩნდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ოფიციალური განცხადებებით თუ უსახელო წერილებით მიმართავდნენ მოსკოვს — გვიშველეთ, დალუპვას გადაგვარჩინეთო. იმათაც მეტი რა უნდოდათ, ისედაც გულზე არ ეხატებოდათ ახალი ვაგზლის მშენებლობა და მის შესაჩერებლად ათას მიზეზს იშველიებდნენ. მაგრამ, ასეთი წინააღმდეგობის მიუხედავად თბილისში მაინც აშენდა ვაგზალი, რომელიც ერთი საუკეთესოა ევროპაში.

ზოგიერთ რამეზე მაინც მწყდება გული. უპირველესად კი იმაზე, რომ ადამიანების ერთმა ჯგუფმა, რომელთაც მაშინ გარკვეული თანამდებობები ეკავათ, მოახერხეს ვაგზალში პროექტის გვერდის ავლით რაც შეიძლება მეტი სავაჭრო და სხვა შემოსავლიანი ობიექტი გაეხსნათ. ამიტომაც დღეს თბილისის ვაგზალი სავაჭრო ცენტრს უფრო მოგვაგონებს, ვიდრე რკინიგზის სადგურს. რას იზამ, მაღაზიებზე იზრუნეს, ესკალატორების შემოტანა კი, რომლებიც სართულებშუა უნდა ჩამონტაჟებულიყო „დაავიწყდათ“.

**— რომ შეგეხსენებინათ?**

— იმ დროისათვის მე უკვე აღარ ვმუშაობდი რკინიგზაში და ამდენად „შეხსენებასაც“ აზრი აღარ ჰქონდა. მარტო ესკალატორები არ იყო, რბილი ავეჯიდანაც, რომელიც უნგრეთში გვქონდა შეკვეთილი, მხოლოდ ნაწილი ხვდა ვაგზალში, დანარჩენი სხვადასხვა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს დაუნაწილდათ, რაც ყოვლად გაუმართლებლად მიმაჩნია.

**— მახსოვს, იმხანად ბათუმის ვაგზალიც შენდებოდა.**

— მართალი ბრძანდებით, 1985 წელს ბათუმის რკინიგზის კვანძის სარეკონსტრუქციოდ და ახალი ვაგზლის ასაშენებლად 25 მილიონი მანეთი გამოიყო. მშენებლობა მართლაც დაიწყო, ჩაიყარა საძირკველი, მაგრამ იგი ორი წლის შემდეგ დააკონსერვეს. თანხა თანდათან დაიკარგა და ბათუმიც უვაგზლოდ დარჩა. არადა, აქ მშვენიერი, ლამაზი ვაგზალი შენდებოდა.

**— ბატონო ლევან, ფაქტია, დიდძალი სახსრები ჩაიყარა მარაბდა-ახალქალაქის ხაზის მშენებლობაზეც. მოგვცა კი ის შედეგი, რასაც ველოდით?**

— ვფიქრობ, რომ რკინიგზის ამ ახალ ხაზს განსაკუთრებული როლი ენიჭება ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრაში. მისი მიზანი იყო და არის უყურადღებოდ მიტოვებული სამხრეთ საქართველოს აღორძინება, იქაური წიაღისეულის ათვისება და ხალხის სამსახურში ჩაყენება, ამ რეგიონში ქართული სულის გაღვიძება.

მაგრამ გამოვიყენეთ კია რკინიგზა ამ მიზნისათვის? ვერა, სრულყოფილად ვერ გამოვიყენეთ. ხაზის მშენებლობის პარალელურად უნდა აშენებულიყო საწარმოები, რომლებიც მოიპოვებდნენ და გამოზიდავდნენ ამ მხარეში დაბუდებულ მდიდარ მადნეულს. სამწუხაროდ, ეს არ გაკეთებულა. ვერც ის შევძელით, რომ დაგვეცვა პირველ ხანებში ამ რთულპროფილიანი რკინიგზის ექსპლოატაციის ნორმები. იმის მაგივრად, რომ რთულ კლიმატურ პირობებში მომუშავე „ხაზისთვის მოგვევლოთ, კომპარტიის მაშინდელმა ლიდერებმა ატეხეს ხმაური, გააჩაღეს პროპაგანდა, ვითომცდა რკინიგზა ამ მხარეში გამოუსადეგარია და არ უნდა გაგვეყვანა. მათ, რა თქმა უნდა, ამის დამტკიცება ვერ შეძლეს, მაგრამ ის კი მოახერხეს, რომ შეაფერხეს ამ რეგიონის აღორძინება, თვითდინებაზე მიუშვეს რკინიგზის ექსპლოატაცია და მოვლა-პატრონობა.

ასევე უყურადღებოდ მიატოვეს ტყიბულის რკინიგზის ხაზზე ხრესილ-ტყიბულის შემოსავლელი ლიანდაგის მშენებლობა, რასაც იქ არსებული ნიადაგური თავისებურების გამო განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. აქ ყოველ წუთს მოსალოდნელია მიწის დაშლა და ტყიბულის ხანგრძლივი დროით სარკინიგზო კავშირთან მოწყვეტა. ეს მოხდა კიდეც წლეულს ზამთარში, როცა ხაზმა დიდი ხნით შეწყვიტა მუშაობა.

**— ეტყობა, ასეთ მოვლენებს, უგერგილობას და უპატრონობას თქვენ ყოველთვის კრიტიკულად ეკიდებოდით, რაც „ზემოთ“ მაინც და მაინც არ ეპიტნავებოდათ. მახსოვს, მაშინ ცენტრალურ კომიტეტთან თქვენს „ურჩობაზე“ მთელი თბილისი ლაპარაკობდა.**

— კი მართლაც ასე იყო. მაშინდელი პარტიული ბოსებისგან ურჩად ვიყავი მონათლული. და რატომ, არ იკითხავთ? ვერ ვიტანდი ზოგიერთი თანამდებობის პირის ჩვენს საქმიანობაში არაკვალიფიციურ ჩარევას. მოგეხსენებათ, რკინიგზა სპეციფიკური დარგია და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოითხოვს პროფესიულ მიდგომას. ისინი კი ყურად არ იღებდნენ სპეციალისტების რჩევას, ყველაფერში ცხვირს ყოფდნენ, იძლეოდნენ გაუმართლებელ მითითებებს, არ გვაძლევდნენ საშუალებას სწორად წაგვემართა მუშაობა.

ერთი ასეთი პიროვნება გახლდათ ყოფილი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განყოფილების გამგე ბორის ბარსუკოვი, რომელიც თავისი განკარგულებებით სატრანსპორტო უწყებების საქმიანობას პირდაპირ ადამბლავებდა. იგი განსაკუთრებით კადრების „ბედით“ იყო დაინტერესებული და ყველაფერს აკეთებდა იმისათვის რომ „საპრიზო“ თანამდებობებზე „თავისი ადამიანები“ დაესვა. ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი მდივნის გივი ანჩაბაძის მხარდაჭერითა და თანადგომით იგი ამას ახერხებდა კიდეც. ამიტომაც მომრავლდნენ იმ პერიოდში რკინიგზაზე უუნარო, დაბალი კვალიფიკაციის, კორუმპირებული „სპეციალისტები“.

იყენებდნენ მუშაობის სხვა „ფორმებსაც“. „ურჩი“ უწყების მიმართ უარყოფითი აზრის შესაქმნელად აქეზებდნენ პრესას, ეწეოდნენ პროვოკაციულ-ცილისმწამებლურ პროპაგანდას, შესამოწმებლად გზავნიდნენ მრავალრიცხოვან კომისიებს. არც დასმენას და მოგონილი ამბების შეთხზვას ერიდებოდნენ. საამისოდ სუკსაც კი იყენებდნენ, რომელსაც რკინიგზის უფროსის მოადგილის რანგში მაღალი ჩინის ოფიცერიც ჰყავდა. მას საიდუმლო გრიფით შეეძლო შეფისთვის „საჭირო“ ინფორმაცია მიეწოდებინა, შიგ ჩაეწერა რაც ხელს აძლევდა (იცოდა, რომ არავინ შეამოწმებდა). სხვათა შორის, სუკის რეორგანიზაციის მიუხედავად, რკინიგზის სამმართველოში ეს თანამდებობა ჯერაც ფუნქციონირებს.

**— საბოლოოდ, ბატონო ლევან, გაიძულეს თუ თქვენით წახვედით რკინიგზიდან?**

— არა, მაიძულეს „საკუთარი სურვილით“ მიმეტოვებინა საყვარელი სამუშაო. მთელი ექვსი თვე საკავშირო მინისტრი უარზე იდგა, მაგრამ რახან გადავწყვიტე, უკან არ დავიხიე. ჩემი წასვლის შემდეგ ბარსუკოვიც გაუშვეს ცენტრალური კომიტეტიდან, თუმცა როგორც „რკინიგზის სპეციალისტი“ ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის მოადგილედ მაინც დანიშნეს. დიდხანს არ უმუშავია, კოლექტივმა იგი სამართლიანად გააძევა რკინიგზიდან. მხოლოდ რამდენიმე თვე გასძლო რკინიგზის უფროსის პოსტზე შემთხვევით დანიშნულმა გივი ანჩაბაძემაც.

**— რკინიგზის ამჟამინდელ ხელმძღვანელობაზე რა აზრის ბრძანდებით?**

— კარგი. დღეს იქ კომპეტენტური, მცოდნე, მდიდარი გამოცდილების მქონე სპეციალისტები მუშაობენ. ისინი ძალღონეს არ იშურებენ რკინიგზაზე შექმნილი არასახარბიელო სურათის შესაცვლელად, მაგრამ თავს ზევით ძალა არ არის—ისევე, როგორც მთელ სახალხო მეურნეობაში, აქაც სრული ქაოსია. წარმოუდგენელი ამბავი ხდება: ვიღაცას რაღაცაზე გული მოუვა და შემადგენლობას არ გაუშვებს, ვიღაცას ყაჩაღობა მოუნდება და ვაგონებს გაძარცვავს, ვიღაცას მთავრობა არ მოსწონს და ხიდებს ააფეთქებს, ლიანდაგს აყრის.

ეს რკინიგზისთვის კატასტროფის ტოლფასია. ხშირად ტვირთი არ არის, სამუშაოც შემცირდა, ხალხს ხელფასი ვერ აუღია. ამის გამო ბევრი შეამცირეს, ბევრიც თავისით წავიდა. მათ შორის არიან წამყვანი პროფესიების წარმომადგენლებიც — მატარებლების შემდგენლები, მემანქანეები, რომელთა მომზადებასა და კვალიფიკაციას წლები სჭირდება. დადგება დრო, როცა რკინიგზა სამუშაო კალაპოტში ჩადგება, ტვირთზიდვაც გაიზრდება, ეს ადამიანები კი ჩვენთან აღარ იქნებიან.

ეს მარტო რკინიგზის პრობლემა არ არის. მისი გამართული მუშაობისათვის თუ მთელმა ხალხმა არ იღვაწა, ჩვენი ისედაც დაზარალებული ეკონომიკა კიდევ უფრო გაკოტრდება. ჩვენ ყველამ, ვინც ნაწყენი ვართ მთავრობაზე და ვინც არა ვართ ნაწყენი, უნდა შევძლოთ გაერთიანება, რათა მივაღწიოთ პოლიტიკურ სტაბილიზაციას და ეკონომიკის აღორძინებას. რკინიგზასაც უნდა მივცეთ საშუალება ღირსეულად შეასრულოს თავისი როლი ამ საქმეში.

ეს რომ შეძლოს საჭიროა დროულად მოხდეს საქართველოს რკინიგზის რუსეთის რკინიგზისგან იურიდიული გამიჯვნა და რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტროსაგან მისი გამოყოფა. ამის თაობაზე სამართლიანად აღნიშნა სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ. მხოლოდ დამოუკიდებლობა შეუქმნის რკინიგზას სასურველ პირობებს ნაყოფიერი და აქტიური საქმიანობისათვის.

ესაუბრა
**ოთარ ხუციშვილი.**

---

### ნოდარ მუსერიძე

# როცა ფულს შმორის სუნი ასდის

### საუბრის გაგრძელება

**დიდი ყურადღებით წავიკითხე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (1 აგვისტო, 1992 წ.), გამოქვეყნებული სახელმწიფო საბჭოს წევრის, სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტის თავმჯდომარის ბატონ ვალერიან ადვაძის სტატია „პრივატიზაცია: მიზანი, შედეგი“, რამაც ბევრი მწვავე და არასასიამოვნო კითხვა წარმოშვა.**

სტატიაში აღნიშნულია, რომ „...სიმართლეს თვალში უნდა შევხედოთ, საშიშია ილუზიები და თავის მოტყუება... ისინი, ვინც ფარული ეკონომიკით ფული დააგროვა... ათასნაირ გზას მოძებნიან იმისათვის, რომ შეისყიდონ სახელმწიფო ქონება, თუ ამას მოისურვებენ“. ბატონ ვალერიანს ასეთ დასკვნებში ვერ დავეთანხმები. კატეგორიულად საწინააღმდეგო მოსაზრება მინდა გამოვთქვა სტატიაში დასმულ სხვა საკითხებზეც. კერძოდ, სიტყვა „სახელმწიფოს“ ნაცვლად, მე, მაგალითად, „საზოგადოებას“ ვიხმარდი, ვინაიდან, ის მატერიალური დოვლათი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში დღემდეა შექმნილი, მთელ საზოგადოებას, ყველას თანაბრად ეკუთვნის.

ისმის კითხვა: როგორ უნდა მოხდეს არსებული ქონების სამართლიანი განაწილება საზოგადოების წევრებს შორის, მათ თანასწორი სასტარტო მდგომარეობა რომ ჰქონდეთ? ავტორის სიტყვით, ის ფულადი სახსრები, რომელიც ერთმა ნაწილმა მეორეს მოპარა, ე. ი. გაძარცვა თავისი მოძმე — უნდა მოიხმაროს და საქმეში ჩადოს, რათა საკუთრება შეიძინოს, კიდევ უფრო მდიდრულად იცხოვროს, საზოგადოებამ კი ამისათვის მადლობაც უთხრას. მაპატიეთ, მაგრამ, მგონი, ბატონი ვალერიანი იმ ხალხსაც ამართლებს, ვინც სარგებლობს დღეს საქართველოში შექმნილი კრიზისული მდგომარეობით, მოძმეთა გალატაკების ხარჯზე მდიდრდება და, რაც მთავარია, დაუბეგრავი შემოსავლებით, ხშირად ავტომატითაც კი აუარება ქონებას აგროვებს.

მიმაჩნია, ხალხი ვალდებულია დაასახელოს და შეარცხვინოს საზოგადოების ის წევრები, ვინც მეზობლის ძარცვის ხარჯზეა გამდიდრებული. დღეს, როდესაც საზოგადოების დიდი ნაწილი შიმშილობს, შენ კი საზოგადოების კუთვნილ გადასახადსაც არ იხდი — ეს ზნედაცემულობაა, უფრო მეტიც, ერის ღალატის ტოლფასია. ასეთ ფულს, როგორც რაჭაში იტყვიან, „შმორის სუნი ასდის“, დამპალია...

ავტორს ვერ დავეთანხმები იმაშიც, რომ „...პრივატიზაციიდან ამოღებული თანხები უნდა ჩაირიცხოს სპეციალურ ანგარიშზე, ბიუჯეტის გარეშე ფონდებში და გამოყენებული იქნეს სახელმწიფო საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით“. მიმაჩნია, რომ ბატონ ვალერიანს ხალხი, საზოგადოება, ვისი საკუთრებაც არის „გასაპრივატიზებელი“, შეჰყავს შეცდომაში; იმას არ ამბობს, რომ თქვენს საკუთრებას გავყიდი (ნაწილს ქურდებზე და ყაჩაღებზეც კი), ხოლო ამონაგები თანხები ბიუჯეტში კი არა, სხვა რომელიმე ცენტრალიზებულ ანგარიშზე შევა და მე აქედან გადავწყვეტ, თუ სად და როგორ დავხარჯოთ. პატივცემულმა სახელმწიფო საბჭოს წევრმა, კომიტეტის თავმჯდომარემ, ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა, არ შეიძლება არ იცოდეს, რომ ადგილობრივი და რესპუბლიკური ბიუჯეტები ეს ის ანგარიშებია, სადაც წინასწარ დამტკიცებული ნორმატივების შესაბამისად უნდა ჩაირიცხოს ხალხის საკუთრების განსახელმწიფოების შედეგად შემოსული ამონაგები თანხების მნიშვნელოვანი ნაწილი; ასე გააკეთა ყველა ქვეყანამ, ვინც კაპიტალიზმის გზას დაადგა; თვითონ ხალხმა უნდა გადაწყვიტოს ადგილებზე, რაზე და როგორ მოიხმაროს თავისი ქონება. ეს უფრო სამართლიანი და დემოკრატიული იქნება.

ამასთან ერთად, უნდა ვთქვა, რომ ბიუჯეტი ქართველი ერის ხაზინაა, საიდანაც არც ერთი კაპიკი არ იხარჯება რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მთავრობის ოფიციალური დადგენილების გარეშე.

ახლა ნება მომეცით, მოგაწოდოთ ჩემი მოსაზრება, თუ როგორ ვუშველოთ საქართველოს. მიმაჩნია, რომ საქართველოს ხსნა საბაზრო ეკონომიკის ცხოვრების წესზე გადასვლის დაჩქარებაშია. ამისათვის საჭიროა, შეიქმნას საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ისეთი კანონები, რომ ხალხმა თვითონ გადაწყვიტოს, რა დროში და რა გზით მოახდინოს საზოგადოების საკუთრების განაწილება, არ იყოს დამოკიდებული სხვადასხვა სამინისტროებზე, ტრესტებზე, გაერთიანებებსა და უწყებებზე, უნდა შესწორდეს ყველა ის დოკუმენტი, რომელიც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გზაზე აისბერგივითაა აღმართული, ბოლო მოეღოს ბიუროკრატიული სტრუქტურების თვითნებობას, მათ თავის და არა ხალხის სასარგებლოდ უკვე დაიწყეს საზოგადოების საკუთრების ფარულად განსახელმწიფოების მახინჯი პროცესი. ამისათვის კი, ყველა სტრუქტურული დანაყოფი, რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს მატერიალური დოვლათის შექმნასთან, დაუყოვნებლივ უნდა გაუქმდეს.

კატეგორიულად უნდა დაიგმოს ყველა თანამდებობის პირის და არასახელმწიფოებრივ სტრუქტურებში დასაქმებული მუშაკის საქმიანობა, რომლებიც ათასგვარ ხრიკებს იყენებენ, რათა საზოგადოება მოატყუონ და არ გადაიხადონ დადგენილი გადასახადები.

ამ ბოლო დროს, რატომღაც მივიწყებულია პატიოსანი შრომის და ცხოვრების წესის წარმოჩენა. ხშირად, პრესისა და ინფორმაციის სხვა საშუალებებით პროპაგანდა ეწევა ისეთ მუშაკს, ვისაც მოძმის ხარჯზე სიმდიდრის მოპოვება ცხოვრების წესად გაუხდია. აღარაფერს ვამბობ კორუფციაზე, რასაც არც ძველი, კომუნისტური სტრუქტურების ზოგიერთი ფუნქციონერი და არც დღევანდელი ზოგიერთი თანამდებობის პირი, არ თაკილობს... შეიძლება მოვიყვანოთ მრავალი მაგალითი, როდესაც კორუფციას ძლიერი სახელმწიფოც კი დაუნგრევია. ამიტომ, საჭიროა, საზოგადოებამ შექმნას ისეთი კანონები და წესები, რომელთა გატარება მაქსიმალურად გამორიცხავს მექრთამეობას. დღემდე მიღებული ბევრი საკანონმდებლო დოკუმენტი საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შესახებ ამ თვისებების ნაკლებობას განიცდის.

საქართველო ღმერთისაგან განწირული არ ყოფილა, რადგან, ამ ძნელბედობის ჟამს, მას გამოუჩნდა მსოფლიოში ისეთი სახელოვანი და დაფასებული კაცი, როგორიც ბატონი ედუარდ შევარდნაძეა. ხალხის სურვილია, მის გვერდით, გულით ემსახუროს საქართველოს, იძლეოდეს პატიოსანი შრომისა და ცხოვრების მაგალითს. ნუ შეეცდებიან ხალხის მოტყუებას. საქართველო ძალიან პატარა ქვეყანაა და ყველაფერი კარგად ჩანს.

---

## ეს ჩვენი საქართველოა!

სიმონ კილაძის ფოტო (ფოტოსააგენტო „დრო“).

# სოფელი ქველას საფიქრალია

**ქალაქიდან სოფელში წასვლა პრობლემა გახდა, რადგან ჩვეულებრივ ხელფასზე მომუშავე ადამიანისათვის მგზავრობის ღირებულება მიუწვდომელია...**

### ზაალ გაგოშიძე

**ვერც ერთი საზოგადოება, რა სოციალური ფორმაც უნდა ჰქონდეს მას, მატერიალური დოვლათის შეუწყვეტელი წარმოებისა და მოხმარების გარეშე ვერ იარსებებს, რადგან ადამიანებს უპირველესად ესაჭიროებათ საჭმელი, ჩასაცმელი, საცხოვრებელი სახლები და ა. შ. ამიტომ, სახალხო მეურნეობის დარგებიდან სოფლის მეურნეობას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია, მისი როლი განსაკუთრებით დიდი იყო საქართველოსათვის და დღესაც იგივე რჩება, რადგან ჩვენი რესპუბლიკა აგრარული ქვეყანაა და სოფელი მისი ეკონომიკის ქვაკუთხედია. ამიტომ მიგვაჩნია, რომ სოფლისთვის, მისი სოციალურ-ეკონომიკური აღმავლობისთვის ყოველი ჩვენგანი უნდა ზრუნავდეს.**

ამ წერილში, რა თქმა უნდა, რესპუბლიკის ყველა რეგიონის სოფლის სახელით ლაპარაკს არ ვაპირებთ. გვინდა მხოლოდ გამოვთქვათ ზოგიერთი მოსაზრება იმ სოფლებზე, რომლებსაც კარგად ვიცნობთ და რომლებთანაც მყარი კონტაქტები გვაკავშირებს.

თითქოს კანონზომიერად ითვლება ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად სოფლის მცხოვრებთა მიგრაცია ქალაქისაკენ, მაგრამ ეს პროცესი განსაკუთრებით მწვავედ წარიმართა რაჭის რეგიონში. დამეთანხმება ყველა ვინც კი ამ მხარეს იცნობს, რომ სოფლების უდიდესი ნაწილი მოსახლეობისგან დაცლილია და ათობით და ასობით სახლი გამოკეტილია. ისინი კი, ვინც ამჟამად რაჭის სოფლებში ცხოვრობენ ძირითადად მოხუცები და პენსიონერებია. ცხადია ამ კატეგორიის ადამიანებს შრომის უნარი მკვეთრად დაქვეითებული აქვთ.

რაჭიდან წამოსულები ქალაქად ბევრი ცხოვრობს, მაგრამ მათ დღემდე კავშირი არ გაუწყვეტიათ სოფლებთან. ამ უაღრესად რთულ ეკონომიკურ პირობებში კიდევ უფრო იმატა სოფელთან ურთიერთობის სურვილმა და ალბათ ბევრი იბრუნებს პირს სოფლისაკენ.

კარგია, რომ დღეს ამის საშუალებას საკარმიდამო ნაკვეთების კერძოსაკუთრებად გადაცემაც იძლევა, რასაც ჩვენ მიწის პრივატიზაციას ვუწოდებთ. როდესაც ამ რეგიონის (კერძოდ, ამბროლაურის რაიონის) მოსახლეობის აზრი გავაანალიზე იმ დასკვნამდე მივედი, რომ მიწის კერძო საკუთრებად გადაცემა და არსებული საკარმიდამო ნაკვეთების მოცულობის გადიდება-შევსება რაიმე მნიშვნელოვან ეკონომიკურ ეფექტს ვერ მოგვცემს, რადგანაც თითქმის ყველა სოფელში მიწის ნაკვეთების დამუშავება ისევ ძველებური, მამა-პაპური შრომის იარაღებით, — ბარითა და თოხით ხდება. ზოგს ჰგონია, რომ რახან მიწას კერძო საკუთრებად გადასცემენ, არც ერთი მტკაველი არ დარჩება დაუმუშავებელი.

ისე არავინ გაიგოს, თითქოს კერძო საკუთრების წინააღმდეგი ვიყოთ, მაგრამ მიწაზე ხელით შრომა ყველა ტიპისა და ფორმის საკუთრების დროს მძიმე შრომად ითვლება და იგი მნიშვნელოვნად ზღვარდებულია. მით უმეტეს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადგილობრივ მაცხოვრებელთა უმრავლესობა მოხუცებია. მიგვაჩნია, რომ პრივატიზაციის პროცესთან ერთად (უმჯობესი იქნებოდა უფრო ადრეც კი) უნდა მომხდარიყო მცირე მექანიზაციის წარმოება და ხელმისაწვდომ ფასად გაყიდვა. როგორც ცნობილია, ყველა განვითარებულ ქვეყანაში ეს საკითხი მაღალ დონეზე დგას. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში სოფლად დასაქმებულია მოსახლეობის 5-7 პროცენტი, მაშინ როცა მცირე მექანიზაციის სამრეწველო დარგებში მთლიანი მოსახლეობის 35-37 პროცენტი შრომობს. ანალოგიური სურათია დასავლეთ ევროპის მოწინავე ქვეყნებშიც.

რა თქმა უნდა, ჩვენში ამ დონემდე რომ განვითარდეს სოფლის მეურნეობისათვის საჭირო მცირე მექანიზაციის სამრეწველო დარგები დიდი დროა საჭირო. მანამდე კი უპირატესობა ისევ ხელით შრომას ენიჭება. ამიტომ ასეთ პირობებში საჭირო იქნება მეტი რაოდენობის შრომითი რესურსები (მუშები) და ამასთანავე ენერგიულები, — ახალგაზრდები. მახსოვს, ჩემს ბავშვობაში, 50-იანი წლების დამლევამდე, ჩვენს სოფლებში მუშახელიც მრავლად იყო და საუღლე ხარებიც. დღეისათვის კი არც ერთია და არც მეორე. ამიტომ ქალაქის მცხოვრებლები აქამდე აქტიურად ვეხმარებოდით სოფელს.

კაცმა რომ მიწის ნაკვეთს მოუაროს, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მასთან მისვლა. დღემდე ამას იოლად ვახერხებდით, რადგან ტრანსპორტი ნორმალურად მუშაობდა და მგზავრობის ფასიც ხელმისაწვდომი იყო. დღეს კი ქალაქიდან სოფელში წასვლა დიდ პრობლემად გადაიქცა, რადგან მგზავრობის ღირებულება ჩვეულებრივ ხელფასზე მომუშავე ადამიანისათვის მიუწვდომელია. მით უმეტეს, თუ მას მიწის სამუშაოების გამო რამდენჯერმე მოუხდება ჩასვლა. კერძოდ, თბილისიდან რომ ამბროლაურამდე ოფიციალური მარშრუტის ავტობუსის სამგზავრო ბილეთის ღირებულება ცოტა ხნის წინ 65 მანეთი იყო, ახლა უკვე 200 მანეთი გახდა, როცა ფასების მომატებამდეც კი ეს თანხა 7 მანეთს არ აღემატებოდა.

## რაჭველი კაცის ფუხილი

ამბროლაურში დადიან აგრეთვე ეგრეთწოდებული კოოპერატივის ავტობუსები, რომლებიც თითოეული მგზავრისგან უფრო მეტს ითხოვენ. საკითხავია, თუ საწვავის უქმარისობაა, და ეს რომ ასეა, არავის ეჭვი არ ეპარება, როგორ ახერხებენ თუნდაც იგივე კოოპერატივის ავტობუსის მძღოლები საწვავის შეძენას, რათა შემდეგ შეუბრალებლად ყვლიფონ მგზავრები. პასუხი ერთი უნდა იყოს, ისინი „თანამშრომლობენ“ სახელმწიფო ბაზებთან, რომლებიც ოფიციალური რეისისათვის გამოყოფილ საწვავს უკანონოდ არიგებენ და უკონტროლობის პირობებში საკმაოდ კარგადაც ითბობენ ხელს. სამწუხაროდ, ყოველივე ეს მძიმე ტვირთად აწვება იმ ადამიანებს, ვისაც უნდა, რომ სოფელს მიხედოს და თავის საკმარი პროდუქტი მაინც მოიყვანოს.

შეიძლება მკითხველმა თქვას, ასეთ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში რა დროს მაგაზე ლაპარაკიაო, მაგრამ მგონია, ეს საკითხი საკმაოდ მნიშვნელოვანია და შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელების სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს, რათა ქალაქის მცხოვრებმა სოფელში იაროს და მიწა დაამუშაოს, ვენახი შეწამლოს, მოხუც მშობლებს გვერდში ამოუდგეს და საბოლოოდ კი, შესაძლოა, თვითონაც სოფელში დამკვიდრდეს.

რაჭის მკვიდრნი დიდ მადლობას გამოთქვამენ იმ დახმარებისათვის, რაც მათ 1991 წელს მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციისათვის გაუწიეს და კვლავაც მოელიან დახმარებას წელს და გაისად. ამასთან მათ იმედი აქვთ, რომ (რადგან რაჭა მაღალმთიანი რეგიონია და ცხოვრების პირობები გართულებულია) მოხუცებისა და პენსიონერებისათვის მაინც შესაძლებელი გახდება თხევადი გაზისა და ელექტროენერგიის შეღავათიან ფასად მიყიდვა.

ამას წინათ სოფელში ვიყავი, მოხუც მამას ვეხმარებოდი ვენახის დამუშავებაში. მან ასე მითხრა:

— შვილო მე რომ მოვკვდები, ეს ვენახიც მოკვდება, რადგან ახლანდელ პირობებში თბილისიდან აქ სიარულს ვერ შეძლებო. ამბროლაურის რაიონის მიკრო-ზონაში, სადაც ხვანჭკარას ტიპის ღვინო იწარმოება, ენდემური ჯიშები დიდ ფართობებზე, ცუდი მოვლის გამო, უკვე განადგურდა და რაც დარჩა ალბათ მისი გადარჩენისათვის ზრუნვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა.

# საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დეკრეტი

# საწარმოთა გაკოტრების შესახებ

## თავი I. ზოგადი დებულებანი

### მუხლი 1. გაკოტრების სუბიექტი

გაკოტრების სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი საწარმო (შემდგომში — მოვალე), რომელიც ვერ ასრულებს ვალდებულებებს კრედიტორისა და ბიუჯეტის წინაშე, მისი კუთვნილებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად.

### მუხლი 2. გაკოტრების ცნება

გაკოტრება არის მოვალის უუნარობა დააკმაყოფილოს კრედიტორთა მოთხოვნები საგადამხდელო სახსრების უქმარისობის გამო.

საწარმო გაკოტრებულად ითვლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ ფაქტს ცნობს საარბიტრაჟო სასამართლო ან სასამართლო.

### მუხლი 3. საწარმოს ქონება (აქტივები) და ვალდებულებანი (პასივები)

1. საწარმოს ქონებას (აქტივებს) შეადგენს ძირითადი და საბრუნავი საშუალებები, ფინანსური და არამატერიალური აქტივები.

ა) ძირითადი საშუალებებია: შენობა-ნაგებობები, გადამცემი მოწყობილობები, მანქანა-დანადგარები, გამოთვლითი ტექნიკა და პროგრამული საშუალებები, გამზომ-მარეგულირებელი ხელსაწყოები, ტრანსპორტი, ინსტრუმენტები, საწარმოო და სამეურნეო ინვენტარი, მუშა და პროდუქტიული პირუტყვი, მრავალწლოვანი ნარგავები და სხვა ძირითადი საშუალებები;

ბ) საბრუნავი საშუალებებია: საწარმოო მარაგი (ნედლეული, მასალები, საწვავი, მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები, სათადარიგო ნაწილები, ტარა და სხვ); დაუმთავრებელი წარმოება, შემდგომი პერიოდების ხარჯები, მზა პროდუქცია, საქონელი და სხვა მარაგი და დანახარჯები;

გ) ფინანსური აქტივებია: სალაროში და საბანკო დაწესებულებათა ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრები, ფასიანი ქაღალდები (აქციები, ობლიგაციები, სერტიფიკატები, თამასუქები და ა. შ.), ანაბრები და სხვა მოკლევადიანი და გრძელვადიანი ფინანსური დაბანდებანი, დებიტორული დავალიანება;

დ) არამატერიალური აქტივებია: მიწით, წყლით და სხვა ბუნებრივი რესურსებით, შენობა-ნაგებობებით და მოწყობილობებით სარგებლობის უფლება, სხვა ქონებრივი უფლებები ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ჩათვლით (პატენტები, ლიცენზიები და ა. შ.).

2. საწარმოს ვალდებულებებს (პასივებს) შეადგენს სესხები და მოზიდული სახსრები (სუბვენციების, დოტაციების და შემოწირულობების გამოკლებით).

ა) სასესხო სახსრებია: საბანკო დაწესებულებათა მოკლევადიანი და გრძელვადიანი კრედიტები, ფიზიკური და იურიდიული პირების მოკლევადიანი და გრძელვადიანი სასესხო სახსრები;

ბ) მოზიდული სახსრებია კრედიტორული დავალიანება საბიუჯეტო, სადაზღვევო და ხელფასის დავალიანების ჩათვლით.

### მუხლი 4. კრედიტორები

ამ დეკრეტით კრედიტორად ითვლება ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც აქვს ქონებრივი პრეტენზიები მოვალის მიმართ.

### მუხლი 5. გაკოტრების საქმეთა განსჯადობა

1. გაკოტრების საქმეებს განიხილავს საარბიტრაჟო სასამართლო (სასამართლო) მოვალის ადგილმდებარეობის მიხედვით, თუ მოქმედი კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მხარეთა შეთანხმებით ან ხელშეკრულებით (კონტრაქტით).
2. გაკოტრების საქმეთა წარმოება ხორციელდება ამ დეკრეტითა და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

## თავი II. გაკოტრების შესახებ საქმის აღძვრა

### მუხლი 6. გაკოტრების შესახებ საქმის აღძვრის საბაბი

გაკოტრების შესახებ საქმის აღძვრის საბაბი არის მოვალის ან საკონკურსო კრედიტორის წერილობითი განცხადება.

### მუხლი 7. საკონკურსო კრედიტორები

საკონკურსოდ ითვლება კრედიტორი, რომელსაც გაკოტრების სუბიექტთან არ აკავშირებს გირავნობის ვალდებულება.

### მუხლი 8. მოვალის განცხადება

1. მოვალის განცხადება შეიტანება საწარმოს მესაკუთრის ან მისგან უფლებამოსილი პირის მიერ საწარმოს დამფუძნებელი დოკუმენტების შესაბამისად.
2. განცხადებაში აღინიშნება საწარმოს მყარი გადახდისუუნარობის ფაქტი. განცხადების წარდგენა შეიძლება მყარი გადახდისუუნარობის წარმოქმნის დღიდან სამი თვის ვადაში.
3. მოვალის განცხადებას უნდა ერთოდეს მისი კრედიტორებისა და დებიტორების ნუსხა, საწარმოს საბუღალტრო ბალანსი.

### მუხლი 9. კრედიტორების განცხადება

კრედიტორის განცხადების წარდგენა ხდება წერილობითი ფორმით. განცხადებას თან ერთვის მოვალის მიმართ დოკუმენტურად დადასტურებული პრეტენზიები, რომლებიც ვერ დაკმაყოფილდა მათი შესრულების ვადიდან სამი თვის განმავლობაში.

### მუხლი 10. საქმის აღძვრა

1. მოვალის განცხადების შეტანისას საარბიტრაჟო სასამართლო (სასამართლო) გამოითხოვს კრედიტორისაგან მოვალის მიმართ არსებულ პრეტენზიათა დამადასტურებელ დოკუმენტებს ამ დეკრეტის მე-9 მუხლის შესაბამისად.
2. კრედიტორის მიერ განცხადების შეტანისას საარბიტრაჟო სასამართლო (სასამართლო) გამოითხოვს მოვალისაგან დოკუმენტებს ამ დეკრეტის მე-8 მუხლის შესაბამისად.
3. საარბიტრაჟო სასამართლო (სასამართლო) ამოწმებს წარმოდგენილი დოკუმენტების დასაბუთებას და განხილვის შედეგების მიხედვით ათი დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას საქმის აღძვრის ან საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ.
4. მოვალე გაკოტრების საქმისწარმოებისათვის საარბიტრაჟო სასამართლოს (სასამართლოს) საქმის აღძვრიდან ორი კვირის ვადაში წარუდგენს შემდეგ მასალებს:

— საწარმოს რეკვიზიტებს საკუთრების ფორმებისა და საკუთრების სუბიექტის მითითებით;

— საბუღალტრო ბალანსს საქმის წარმოებაში მიღების დღისათვის;

— დებიტორული და კრედიტორული დავალიანების გაშიფვრას, აგრეთვე სხვა აუცილებელ ინფორმაციას მოვალის ფინანსური და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ.

5. საარბიტრაჟო სასამართლო (სასამართლო) გამოთხოვილი დოკუმენტებისა და ინფორმაციის წარუდგენლობის შემთხვევაში ბალანსისა და სხვა საჭირო ინფორმაციის შედგენასა და წარმოდგენას აკისრებს დამოუკიდებელ ექსპერტებს (აუდიტორულ სამსახურს) მოვალის ხარჯზე.
6. ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული დოკუმენტების ვადაში წარუდგენლობის შემთხვევაში საარბიტრაჟო სასამართლოს (სასამართლოს) შეუძლია დოკუმენტების წარუდგენლობისათვის პასუხისმგებელი თანამდებობის პირი დააჯარიმოს თვიური ხარჯის სამმაგი ოდენობით. აღნიშნული თანხა წარიმართება საკონკურსო მასის, ე. ი. მოვალის იმ ქონების შესავსებად, რომელზეც დეკრეტის თანახმად კრედიტორების მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად შეიძლება მიქცეულ იქნეს გადახდევინება.

### მუხლი 11. წინასწარი პროცედურა

1. საქმის წარმოებაში მიღების დღიდან არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში საარბიტრაჟო სასამართლო (სასამართლო) ნიშნავს სხდომას, რომელზეც მოწვეული იქნებიან მოვალე სახელმწიფო ქონების მართვის ორგანოს წარმომადგენლები (მოვალის ქონებაში სახელმწიფოს მონაწილეობის შემთხვევაში), მოვალის რეგისტრაციის ადგილის შესაბამისი საფინანსო ორგანოების, ბანკის წარმომადგენლები და საარბიტრაჟო სასამართლოსათვის (სასამართლოსათვის) ცნობილი კრედიტორები.
2. მოვალე საწარმოს ან მისი ქონების მესაკუთრეს, ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ აღძრან შუამდგომლობა გაკოტრების საქმის შეწყვეტისა და გაჯანსაღების (სანაციის) ჩატარების შესახებ.

საარბიტრაჟო სასამართლო (სასამართლო) ორი კვირის ვადაში განიხილავს შუამდგომლობას და იღებს გადაწყვეტილებას მასზე უარის თქმის ან მისი დაკმაყოფილების თაობაზე.

სანაციის შესაძლებლობისა და მიზანშეწონილობის დასადგენად საარბიტრაჟო სასამართლოს (სასამართლოს) შეუძლია დამოუკიდებელი ექსპერტების მოწვევა და მათ საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები დააკისროს მოვალეს.

მოვალის მიმართ კრედიტორების ქონებრივი პრეტენზიების დაკმაყოფილებისა და სასამართლო დანახარჯების დაფარვაზე მესამე პირის თავდებობის არარსებობის შემთხვევაში საარბიტრაჟო სასამართლოს (სასამართლოს) შეუძლია პრესაში გამოაცხადოს მოვალის სანაციაში მონაწილეობის მიღების მსურველი იურიდიული და ფიზიკური პირების კონკურსი. თუ ერთი თვის ვადაში მსურველები არ აღმოჩნდებიან, ან მოვალე არ დაეთანხმება სანაციის მათ მიერ შეთავაზებულ პირობებს, აღნიშნული მოვალის გაკოტრების შესახებ საქმისწარმოება გრძელდება ამ დეკრეტით დადგენილი წესის მიხედვით.

3. გაკოტრების შესახებ საქმისწარმოების თავიდან აცილების მიზნით მოვალეს შეუძლია მიმართოს კრედიტორებს წინადადებით სამომრიგებლო შეთანხმების დადების თაობაზე, რომელიც მოვალეს მისცემს გადახდის განვადების, გადავადებისა და ვალების ჩამოკლების შესაძლებლობებს. კრედიტორებსა და მოვალეს შორის სამომრიგებლო შეთანხმების შესახებ თანხმობის მიღწევა (სამომრიგებლო შეთანხმების დადების წესი განისაზღვრება ამ დეკრეტის IV თავში) მტკიცდება საარბიტრაჟო სასამართლოს (სასამართლოს) მიერ.

### მუხლი 12. წინასწარი პროცედურის თავისებურებანი საწარმოებისათვის, რომელთა ქონებაშიც მონაწილეობს სახელმწიფო

1. იმ შემთხვევაში, როცა მოვალის ქონების მფლობელობაში, სარგებლობაში ან განკარგვაში მონაწილეობს სახელმწიფო საარბიტრაჟო სასამართლო (სასამართლო), სამი დღის ვადაში აცნობებს სახელმწიფო ქონების მართვის შესაბამის ორგანოს საქმის წარმოებაში მიღების შესახებ.
2. სახელმწიფო ქონების მართვის ორგანო შეტყობინების მიღებიდან თხუთმეტი დღის ვადაში აცნობებს საარბიტრაჟო სასამართლოს (სასამართლოს) თავის გადაწყვეტილებას სანაციის მიზანშეწონილობის ან მიზანშეუწონლობის თაობაზე.
3. სანაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სახელმწიფო ქონების მართვის ორგანო იძლევა კრედიტორების ქონებრივი პრეტენზიების დაკმაყოფილებისა და საარბიტრაჟო სასამართლოს (სასამართლოს) ხარჯების დაფარვის გარანტიას.
4. სახელმწიფო ქონების მართვის ორგანოს სათანადო გაფორმებული გარანტიები იძლევა საარბიტრაჟო სასამართლოს (სასამართლოს) მიერ საქმის განხილვის შეჩერების საფუძველს.
5. კრედიტორების დაკმაყოფილების შემთხვევაში საქმე გაკოტრების შესახებ წყდება.

კრედიტორების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში საქმის განხილვა გრძელდება. ამასთან, მოვალე ინარჩუნებს საარბიტრაჟო სასამართლოში (სასამართლოში) შუამდგომლობის აღძვრის უფლებას ამ დეკრეტის მე-11 მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად.

### მუხლი 13. წინასწარი პროცედურის თავისებურებანი ბანკებისათვის

იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალე არის ბანკი, გაკოტრების საქმის აღძვრის შესახებ ეცნობება იმ ორგანოს, სადაც მოხდა მისი წესდების რეგისტრაცია. აღნიშნული ორგანო შეტყობინების მიღებიდან თხუთმეტი დღის ვადაში წარუდგენს საარბიტრაჟო სასამართლოს (სასამართლოს) დასკვნას ბანკის სანაციის მიზანშეწონილობის თაობაზე და განსაზღვრავს თავის შესაძლო მონაწილეობას სანაციის (გაჯანსაღების) ღონისძიებათა განხორციელებაში. დასკვნის შინაარსი გათვალისწინებულ იქნება საარბიტრაჟო სასამართლოს (სასამართლოს) მიერ მოვალე ბანკის შუამდგომლობის განხილვისას.

### მუხლი 14. საარბიტრაჟო სასამართლოს (სასამართლოს) გადაწყვეტილება მოვალის გაკოტრებულად ცნობის შესახებ

საარბიტრაჟო სასამართლო (სასამართლო) დანიშნულ დროისათვის ატარებს სხდომას, რომელზეც საქმის მასალების განხილვის საფუძველზე გამოაქვს გადაწყვეტილება მოვალის გაკოტრებულად ცნობისა და საქმის საკონკურსო წარმოების გახსნის ან არცნობის შესახებ. ამ დროს გათვალისწინებული იქნება სანაციის ან სამომრიგებლო შეთანხმების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება.

### მუხლი 15. გაკოტრებულად გამოცხადება

1. გადაწყვეტილება მოვალის გაკოტრებულად ცნობისა და საქმის საკონკურსო წარმოების გახსნის თაობაზე, ქვეყნდება საარბიტრაჟო სასამართლოს (სასამართლოს) მიერ ოფიციალურ პრესაში გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 10 დღისა.

გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს:

საქმისწარმოებელი საარბიტრაჟო სასამართლოს (სასამართლოს) დასახელებას;

მოვალე საწარმოს დასახელებას და ადგილმდებარეობას;

განცხადების შეტანის თარიღს, რომლის საფუძველზეც აღიძრა საქმის საკონკურსო წარმოება;

მიმართვას კრედიტორებისადმი გადაწყვეტილების გამოქვეყნების დღიდან ორი თვის ვადაში აღნიშნული მოვალის მიმართ მათი პრეტენზიების წარდგენის აუცილებლობის შესახებ.

2. საქმის საკონკურსო წარმოების აღძვრის თაობაზე საარბიტრაჟო სასამართლო (სასამართლო) აუწყებს:

საწარმოს დამფუძნებლებს;

სახელმწიფო ქონების მართვის ორგანოს, თუ საწარმოს ქონებაში მონაწილეობს სახელმწიფო;

პროკურატურას;

საფინანსო ორგანოს მოვალის ადგილმდებარეობის მიხედვით;

ადგილობრივი მმართველობის ორგანოს;

საგადასახადო ინსპექციას მოვალის ადგილმდებარეობის მიხედვით;

შესაბამის პროფკავშირულ ორგანოებს.

თუ გაკოტრებულად გამოცხადებულია ბანკი, ეს ეცნობება ორგანოს, სადაც მოხდა მისი წესდების რეგისტრაცია.

### მუხლი 16. მოვალისათვის საქმის საკონკურსო წარმოების აღძვრის შედეგები

საწარმოს გაკოტრებულად გამოცხადებისთანავე:

მიიღება გადაწყვეტილება საქმის საკონკურსო წარმოების გახსნის შესახებ;

იკრძალება ქონების გასხვისება (გარდა კრედიტორთა კრების მიერ ნებადართული შემთხვევებისა), გადაცემა და ვალდებულებათა განაღდება;

მოვალის ყველა ვალდებულება ითვლება ვადაგასულად;

წყდება საურავებისა და პროცენტების დარიცხვა საწარმოს ყველა სახის დავალიანებათა მიხედვით;

იხსნება საწარმოს ქონებაზე გადახდევინების მიქცევის ყველა შეზღუდვა, რომელიც გათვალისწინებულია კანონმდებლობით.

ამ მომენტიდან მოვალისათვის ქონებრივი და ფინანსური ხასიათის ყველა პრეტენზია დაიშვება მხოლოდ საქმის საკონკურსო წარმოების ფარგლებში.

## თავი III. საქმის საკონკურსო წარმოება

### მუხლი 17. საქმის საკონკურსო წარმოების მიზანი

საქმის საკონკურსო წარმოება ხორციელდება კრედიტორების მოთხოვნათა თანაზომიერი დაკმაყოფილების, მოვალის ვალებისაგან გათავისუფლებულად გამოცხადებისა და მხარეთა ურთიერთმიმართ არამართლზომიერი ქმედებისაგან დაცვის მიზნით.

### მუხლი 18. საქმის საკონკურსო წარმოების მონაწილენი

საქმის საკონკურსო წარმოების მონაწილენი არიან: საარბიტრაჟო სასამართლო (სასამართლო), საკონკურსო მმართველი, კრედიტორთა კრება, აუცილებლობის შემთხვევაში — კრედიტორთა კომიტეტი, მოვალე და სხვა დაინტერესებული პირები.

### მუხლი 19. საარბიტრაჟო სასამართლოს (სასამართლოს) ფუნქციები

საარბიტრაჟო სასამართლო (სასამართლო):

ხსნის და ხურავს საქმის საკონკურსო წარმოებას;

ამტკიცებს საკონკურსო მმართველს;

იწვევს კრედიტორთა კრებას;

აკონტროლებს საკონკურსო მმართველისა და კრედიტორთა კრების (კომიტეტის) საქმიანობას.

### მუხლი 20. საკონკურსო მმართველის უფლებამოსილებანი საქმის საკონკურსო წარმოებისას

საკონკურსო მმართველი:

თავის განკარგულებაში იღებს და განაგებს მოვალის ქონებას;

აანალიზებს მოვალის ფინანსურ მდგომარეობას, შეისწავლის კრედიტორთა მოთხოვნების დასაბუთებას.

ახდენს საკონკურსო მასის ფორმირებას;

წარუდგენს აუცილებელ ინფორმაციას მოვალის ფინანსური მდგომარეობისა და ქონების შესახებ საარბიტრაჟო სასამართლოს (სასამართლოს) კრედიტორებს სახელმწიფო მაკონტროლებელ და საგადასახადო ორგანოებს საქმის საკონკურსო წარმოების მომენტისათვის;

ასრულებს მოვალე საწარმოს მართვის ფუნქციებს, თუ მისი ხელმძღვანელი გათავისუფლებულია არამართლზომიერი ქმედების ჩადენისათვის;

სადავოდ ხდის მოვალის მიერ გაკოტრებულად ცნობის მომენტამდე ექვსი თვის განმავლობაში დადებულ შეთანხმებებს;

ხელმძღვანელობს სალიკვიდაციო კომისიის საქმიანობას.

### მუხლი 21. კრედიტორთა კრება

1. კრედიტორთა კრების მუშაობაში მონაწილეობის უფლება აქვთ კრედიტორებს, საკონკურსო მმართველსა და მოვალეს. გადაწყვეტილებას იღებენ მხოლოდ საკონკურსო კრედიტორები.
2. კრედიტორთა კრება:

დასამტკიცებლად წარადგენს საკონკურსო მმართველის კანდიდატურას;

ნებას რთავს საკონკურსო მმართველს დადოს მოვალის ქონების გასხვისებასთან დაკავშირებული ცალკეული შეთანხმებები;

შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება სამომრიგებლო შეთანხმების დადების თაობაზე;

აკონტროლებს საკონკურსო მმართველის საქმიანობას;

შეუძლია შექმნას კრედიტორთა კომიტეტი, რომელიც წარმოადგენს კრების ოპერატიულ ორგანოს. კრედიტორთა კომიტეტის ფუნქციებს ადგენს კრედიტორთა კრება.

3. კრედიტორთა კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრებიან ხმის უფლების მქონე კრედიტორები, რომელთა წილი შეადგენს ვალდებულებათა საერთო თანხის სულ ცოტა 50 პროცენტს. კრებაზე კრედიტორი შეიძლება წარმოდგენილი იყოს ნდობით აღჭურვილი პირის მეშვეობით.

კრედიტორს კრებაზე ხმის უფლება აქვს იმ შემთხვევაში, თუ იგი მხარს უჭერს მოვალისადმი აღიარებულ მოთხოვნას და სხვა ინტერესები მოცემულ საქმეში არ გააჩნია.

### მუხლი 22. მოვალის უფლებები საქმის საკონკურსო წარმოებისას

საკონკურსო წარმოების გახსნისთანავე მოვალე:

კარგავს თავისი ქონების განკარგვისა და მართვის უფლებას;

იძენს საკონკურსო მმართველის არამართლზომიერი ქმედების გაპროტესტების უფლებას.

### მუხლი 23. ქონებისა და ვალის შეფასება

1. მოვალის ყველა აქტივი ქმნის საკონკურსო მასის ფორმირების საფუძველს.
2. საკონკურსო მმართველი საქმის საკონკურსო წარმოების მსვლელობაში მოწვეული ექსპერტების დახმარებით ატარებს მოვალის ქონებისა (აქტივებისა) და ვალდებულებების ინვენტარიზაციასა და შეფასებას.
3. საკონკურსო მასისადმი მიკუთვნებული მოვალის ქონება შეფასდება დადგენილი წესის შესაბამისად. აუქციონზე გასაყიდი ქონების შეფასებითი ღირებულება წარმოადგენს თავდაპირველად დაწესებულ ღირებულებას.
4. საკონკურსო მასაში არ შედის ქონება, რომელიც მოვალის საკუთრება არ არის.

### მუხლი 24. გირავნობით უზრუნველყოფილ სავალო ვალდებულებათა დაფარვა

მოვალის ქონებიდან კონკურსგარეშე იფარება გირავნობით უზრუნველყოფილი სავალო ვალდებულებები. ამასთან, უპირატესი უფლებით ამგვარ ვალდებულებებზე სარგებლობენ ბანკები. გირავნობით უზრუნველყოფილი დანარჩენი ვალდებულებები დაკმაყოფილდება ბანკების მოთხოვნათა დაკმაყოფილების შემდეგ.

### მუხლი 25. საკონკურსო მასის განაწილების წესი და თანამიმდევრობა

1. რიგგარეშე იფარება საკონკურსო მმართველის ფუნქციების შესრულების ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია საქმის საკონკურსო წარმოების პერიოდში საწარმოს საქმიანობის უზრუნველყოფასთან.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ხარჯების დაფარვის შემდეგ დაკმაყოფილდება საკონკურსო მასის განაწილებისას უპირატესობის მქონე საკონკურსო კრედიტორების პრეტენზიები;

პირველ რიგში მოვალის მუშაკთა შრომის ანაზღაურება, პენსიათა და დახმარებათა გაცემის დავალიანება საკონკურსო წარმოების გახსნამდე სამი წლის განმავლობაში;

მეორე რიგში მოხდება საკონკურსო წარმოების გახსნიდან ერთი წლის განმავლობაში ბიუჯეტის წინაშე წარმოქმნილ მოვალის ვალდებულებათა დაფარვა;

მესამე რიგში დაკმაყოფილდება საკონკურსო მასის განაწილებისას უპირატესობას არმქონე საკონკურსო კრედიტორების პრეტენზიები;

მეოთხე რიგში დაკმაყოფილდება საწარმოს მესაკუთრეთა ქონებრივი უფლებები;

მეხუთე რიგში ხდება დანარჩენი მოთხოვნების დაფარვა.

3. თითოეული რიგის მოთხოვნათა დაკმაყოფილება დაიშვება მხოლოდ წინა რიგის მოთხოვნათა სრულად დაკმაყოფილების შემდეგ.
4. ამოღებული თანხის უკმარისობისას ერთი რიგის ყველა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, აღნიშნული მოთხოვნები დაკმაყოფილდება თითოეული კრედიტორის კუთვნილი თანხის პროპორციულად.

### მუხლი 26. საკონკურსო მმართველის საარბიტრაჟო სასამართლოს (სასამართლოს) ქმედების გასაჩივრება

1. საკონკურსო მმართველის იმ ქმედების გასაჩივრება, რომელიც, კრედიტორების ან მოვალის აზრით, ლახავს მათ კანონიერ ინტერესებს, ხდება საარბიტრაჟო სასამართლოში (სასამართლოში), რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება საკონკურსო მმართველის დანიშვნის შესახებ;
2. საარბიტრაჟო სასამართლოს (სასამართლოს) ქმედების გასაჩივრება ხდება ათდღიან ვადაში შემდგომ საარბიტრაჟო სასამართლოში (სასამართლოში), რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა.

### მუხლი 27. გადაწყვეტილება ქონების გაყიდვის დაწყების შესახებ

გადაწყვეტილებას მოვალის ქონების გაყიდვის დაწყების შესახებ იღებს საკონკურსო მმართველი კრედიტორთა კრებასთან (კომიტეტთან) შეთანხმებით.

### მუხლი 28. ინფორმაცია ქონების გაყიდვის შესახებ და გაყიდვის ფორმის განსაზღვრა

1. საკონკურსო მმართველი დაინტერესებულ პირთა მაქსიმალურად ფართო წრეს აუწყებს მოვალის ქონების გაყიდვის დაწყებას და აწვდის ინფორმაციას ქონების შეძენის პირობებისა და ქონების შესყიდვის მსურველთა განცხადების წარმოდგენის ვადების შესახებ.
2. საკონკურსო მმართველი ნიშნავს სხდომას საჯარო ვაჭრობის (აუქციონის) ჩატარების მიზნით.

### მუხლი 29. ქონების გაყიდვა

1. ქონებას ყიდის საკონკურსო მმართველი.
2. ქონება მიეყიდება მყიდველს, რომელიც შესთავაზებს ყველაზე მაღალ ფასს.

### მუხლი 30. კრედიტორთა პრეტენზიების დაკმაყოფილება

1. მოვალის ქონების გაყიდვის შედეგად ამოღებული თანხები კრედიტორთა შორის ნაწილდება ამ დეკრეტის 24-ე მუხლით განსაზღვრული წესითა და თანამიმდევრობით.
2. გამოვლენილი პრეტენზიები განცხადების ვადის გასვლის შემდეგ დაკმაყოფილდება მოვალის ქონების იმ ნაწილიდან, რომელიც რჩება ვადაში განცხადებული პრეტენზიების დაკმაყოფილების შემდეგ.
3. ქონების უკმარისობის გამო დაუკმაყოფილებელი პრეტენზიები ითვლება დაფარულად. დაფარულად ითვლება აგრეთვე ის პრეტენზიები, რომელთაც არ ცნობს საკონკურსო მმართველი, თუ კრედიტორები არ გაასაჩივრებენ ამ გადაწყვეტილებას საარბიტრაჟო სასამართლოში (სასამართლოში) ან ისინი არ ჩათვლიან ამ პრეტენზიებს დასაბუთებულად.

### მუხლი 31. მოვალის გათავისუფლება ვალებისაგან

ქონების გაყიდვის შემდეგ მოვალე ითვლება ვალებისაგან გათავისუფლებულად.

### მუხლი 32. საკონკურსო მმართველის ანგარიში

მოვალის ვალებისაგან გათავისუფლებისა და კრედიტორების მოთხოვნათა დაკმაყოფილების შემდეგ საკონკურსო მმართველი საარბიტრაჟო სასამართლოს (სასამართლოს) წარუდგენს გაწეული საქმიანობის დასკვნით ანგარიშს, რომელსაც თანდართული აქვს სალიკვიდაციო ბალანსი და პრეტენზიების დაკმაყოფილების შედეგად დარჩენილი სახსრების გამოყენების ანგარიში.

### მუხლი 33. საკონკურსო მმართველის ანგარიშის დამტკიცება

საარბიტრაჟო სასამართლო (სასამართლო) ამტკიცებს საკონკურსო მმართველის ანგარიშს და იღებს გადაწყვეტილებას საკონკურსო წარმოების შეწყვეტის შესახებ, რასაც აცნობებს საწარმოთა სახელმწიფო რეგისტრაციაში გამტარებელ ორგანოს.

### მუხლი 34. საწარმოს ლიკვიდაცია

საწარმო ითვლება ლიკვიდირებულად სახელმწიფო რეგისტრაციის რეესტრიდან მისი ამოღების შემდეგ.

## თავი IV. სამომრიგებლო შეთანხმება

### მუხლი 35. სამომრიგებლო შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობა

სამომრიგებლო შეთანხმება მოვალესა და საკონკურსო კრედიტორებს შორის შეიძლება დადებულ იქნეს საქმის საკონკურსო წარმოების ნებისმიერ სტადიაზე.

### მუხლი 36. კრედიტორთა პრეტენზიები, რომელთა მიმართაც შეიძლება გამოიყენონ სამომრიგებლო შეთანხმება

1. სამომრიგებლო შეთანხმება შეიძლება დაიდოს ამ დეკრეტის 25-ე მუხლით განსაზღვრულ მესამე და შემდგომი რიგის პრეტენზიებზე.
2. სამომრიგებლო შეთანხმების დადებისას ბიუჯეტში საგადასახადო და სხვა არასაგადასახადო გადასახდელების ნარჩენების, აგრეთვე სახელმწიფო სოციალური დაზღვევის გადასახდელების განვადება, გადავადება, შეკრება და ზედმეტად შემოსული თანხების დაბრუნება დაიშვება მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### მუხლი 37. სამომრიგებლო შეთანხმების მიღების პირობები

1. სამომრიგებლო შეთანხმება ითვლება მიღებულად, თუ მას მხარი დაუჭირა საკონკურსო კრედიტორების სულ ცოტა ორმა მესამედმა (პრეტენზიების მოცულობის მიხედვით).
2. სამომრიგებლო შეთანხმებას ამტკიცებენ ორგანოები, რომელთაც უნდა განსაჯონ მოცემული საქმე გაკოტრების შესახებ.
3. კრედიტორებისათვის, რომლებიც არ ეთანხმებიან სამომრიგებლო შეთანხმების დადებას, არ დაიშვება უარესი პირობების დადგენა, ვიდრე იმ კრედიტორებისათვის, რომლებიც დაეთანხმნენ სამომრიგებლო შეთანხმებას და რომელთაც იგივე პრეტენზიები გააჩნიათ.

### მუხლი 38. სამომრიგებლო შეთანხმების განხილვა საარბიტრაჟო სასამართლოში (სასამართლოში)

1. სამომრიგებლო შეთანხმების დამტკიცებაზე შუამდგომლობის შეტანისას მოვალე ვალდებულია წარადგინოს სამომრიგებლო შეთანხმების პროექტი, საწარმოს ბალანსი, მესამე, მეოთხე და მეხუთე რიგის ყველა საკონკურსო კრედიტორის სია მათი მისამართებისა და საწარმოს დავალიანებათა ოდენობების მითითებით, აგრეთვე ცნობა პრეტენზიების მიხედვით დავალიანებათა შესახებ, რომლებზეც არ ვრცელდება სამომრიგებლო შეთანხმება.
2. სამომრიგებლო შეთანხმების მოსმენის თარიღის შესახებ საარბიტრაჟო სასამართლო (სასამართლო) აცნობებს დაინტერესებულ მხარეებს, გამოძახებულ პირთა გამოუცხადებლობა არ არის საქმის მოსმენის გადადების საფუძველი.
3. საარბიტრაჟო სასამართლო (სასამართლო) მოვალეა თავის სხდომაზე მოუსმინოს ყველა იმ კრედიტორს, რომელიც სამომრიგებლო შეთანხმების დამტკიცების წინააღმდეგია იმ შემთხვევაშიც, თუ კრედიტორთა კრებაზე მან ხმა მისცა შეთანხმების მიღებას.
4. სამომრიგებლო შეთანხმების დადების შედეგად კრედიტორები უნდა დაკმაყოფილდნენ ვალის თანხის სულ ცოტა 35 პროცენტით. თუ მოვალე ითხოვს გადახდის გადავადებას ერთ წელზე მეტი ვადით, დაკმაყოფილება უნდა იყოს სულ ცოტა 40 პროცენტი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გადავადება 18 თვეს აჭარბებს, კრედიტორთა დაკმაყოფილებამ უნდა გადააჭარბოს 50 პროცენტს.

### მუხლი 39. სამომრიგებლო შეთანხმების დადება

სამომრიგებლო შეთანხმების დადება ხდება წერილობითი ფორმით და მტკიცდება საარბიტრაჟო სასამართლოს (სასამართლოს) მიერ. იგი სავალდებულოა სიაში შეტანილი ყველა კრედიტორისათვის და ძალაში შედის საარბიტრაჟო სასამართლოს (სასამართლოს) მიერ მისი დამტკიცების დღიდან.

### მუხლი 40. სამომრიგებლო შეთანხმების ბათილად ცნობა ან შეჩერება

1. ნებისმიერი კრედიტორის სარჩელის საფუძველზე სამომრიგებლო შეთანხმება შეიძლება ცნობილ იქნეს ბათილად, თუ მოვალემ ბალანსში არასწორად ასახა თავისი ქონება.
2. სამომრიგებლო შეთანხმების შეჩერება და საწარმოს გაკოტრებულად ცნობის პროცესის განახლება შეიძლება მოხდეს:

ა) სამომრიგებლო შეთანხმების შეუსრულებლობის შემთხვევაში;

ბ) საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შემდგომი გაუარესების შემთხვევაში, რაც კრედიტორების წარმომადგენლებს ანიჭებს მისი გაკოტრებულად ცნობის პროცესის განახლების შესახებ შუამდგომლობის აღძვრის უფლებას;

გ) მოვალის მიერ ისეთი ქმედების ჩადენის გამო, რაც არსებით ზიანს აყენებს კრედიტორთა უფლებებსა და ინტერესებს.

3. სამომრიგებლო შეთანხმების შეჩერების შემთხვევაში საწარმოს გაკოტრებულად ცნობის პროცედურის განახლების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება ოფიციალურ პრესაში საარბიტრაჟო სასამართლოს (სასამართლოს) მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 10 დღისა.
4. თუ საწარმო გაკოტრებულად გამოცხადდება სამომრიგებლო შეთანხმების შესრულებამდე, კრედიტორთა პრეტენზიები, რომელთა მიმართაც დაშვებულ იქნა გადახდის განვადება, გადავადება ან ვალის შემცირება დაუკმაყოფილებელ ნაწილში აღდგება სრული ოდენობით.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ე. შევარდნაძე.
საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მდივანი ვ. გოგუაძე.

თბილისი, 1992 წლის 8 სექტემბერი.

# ფასების ლიბერალიზაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრომ შეისწავლა რესპუბლიკაში ფასების ლიბერალიზაციის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები და სათანადო მასალები წარუდგინა რესპუბლიკის მთავრობას, რომელმაც თავის ა. წ. 2 სექტემბრის სხდომაზე განიხილა იგი და მიიღო შესაბამისი დადგენილება.

გაზეთის რედაქცია მკითხველს თავაზობს ეკონომიკის სამინისტროსგან მომზადებულ ანალიზურ მასალას აღნიშნულ საკითხზე.

სათანადო სტატისტიკური ინფორმაციის დიდი ნაკლებობის გამო ხშირად ტექსტში გამოყენებულია ექსპერტული შეფასებების წესით მიღებული ციფრობრივი მონაცემები.

## I. ფასწარმოქმნის სახელმწიფო პოლიტიკის ზოგადი საკითხები

მიმდინარე წლის დასაწყისიდან საქართველოს რესპუბლიკაში ფასწარმოქმნის სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულება არის ფასების ლიბერალიზაცია. „ფასების ლიბერალიზაციის პირველი რიგის ღონისძიებათა შესახებ“ და „საქართველოს რესპუბლიკაში ფასების ლიბერალიზაციის დამატებითი ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ა. წ. 29 იანვრის №88 და 24 აპრილის №470 დადგენილებებით გათვალისწინებული რადიკალური ღონისძიებების განხორციელების შედეგად დღეისათვის სამომხმარებლო საქონლის (მომსახურების) საცალო ფასების დაახლოებით 90%, ხოლო საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის (სამუშაოების) ფასების თითქმის 95% განთავისუფლებულია სახელმწიფოს მხრიდან უშუალო ადმინისტრაციული რეგლამენტაციისაგან. ამ ეტაპზე ფასებისა და ტარიფების პირდაპირი სახელმწიფო რეგულირება ხორციელდება ეკონომიკისა და მოსახლეობისათვის საარსებო მნიშვნელობის მქონე მხოლოდ რამოდენიმე დასახელების პროდუქციასა და მომსახურებაზე. შეიძლება, გარკვეული პირობითობის დაშვებით ითქვას, რომ თავისუფალი (საბაზრო) ფასების გავრცელების ასეთი მასშტაბები მთლიანობაში შეესაბამება განვითარებული საბაზრო ურთიერთობების მქონე ქვეყნების პარამეტრებს. მთავრობის №470 დადგენილებით, საქართველოში ბოლო პერიოდში ფაქტობრივად ჩამოყალიბებული მდგომარეობის გამო, ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე დაშვებულ იქნა თავისუფალი (საბაზრო) ფასების გამოყენება. და ეს მაშინ, როდესაც რუსეთმა, ა. წ. 18 მაისის №818 დადგენილებით, მართალია 5-6-ჯერ გაზარდა ენერგომატარებლების საბითუმო ფასები, მაგრამ მწარმოებლებისა და მომხმარებლების საქმიანობის ნორმალიზაციის მიზნით, ისინი არა მარტო დატოვა სახელმწიფო რეგულირების ქვეშ, არამედ რუსეთის შიდა ბაზარზე ყველას (მათ შორის კომერციულ სტრუქტურებს, ბირჟებს) აუკრძალა ენერგომატარებლების რეალიზაცია დაწესებულ ზღვრულ ფასზე ზევით. ე. ი. ამით საწარმოებსა და ორგანიზაციებს ჩამოერთვათ მანამდე მინიჭებული უფლება, პროდუქციის საერთო მოცულობის 40%-მდე რეალიზაციისა თავისუფალ (საბაზრო) ფასებში. ამ ნაწილში საქართველოს რესპუბლიკის ფასწარმოქმნის პოლიტიკაში შესაძლო ცვლილებები მნიშვნელოვანწილად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ჩამოყალიბდება ენერგორესურსების მომწოდებლებთან.

რუსეთში და მთლიანად მანეთის ზონაში, წლის დასაწყისიდან მიმდინარე ეკონომიკური პროცესების შესაბამისად, საქართველოში თავისუფალი ფასწარმოქმნის გლობალური ღონისძიებების განხორციელებამ, რესპუბლიკის ეკონომიკა იხსნა სრული პარალიზებისაგან, სამომხმარებლო ბაზარი — სრული გაჩანაგებისაგან, შექმნა პირობები საბაზრო ეკონომიკაზე დაჩქარებული გადასვლისათვის, მიმდინარე რადიკალური ეკონომიკური რეფორმა გახადა შეუქცევადი.

ამასთან, მწარმოებელთა მონოპოლიზმის, ათწლეულობით მყარად ჩამოყალიბებული სამეურნეო კავშირების გაწყვეტის, რესურსებისა და საქონლის საყოველთაო დეფიციტის პირობებში, მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში, მოხდა ფასებისა და ტარიფების მრავალჯერადი (უფრო მეტად, ვიდრე ეს ნავარაუდევი იყო) ზრდა. ამან კი თავის მხრივ, სხვა ნეგატიურ ფაქტორებთან ერთად, გამოიწვია საწარმოებისა და ორგანიზაციების ფინანსური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება, წარმოების მოცულობების დაცემა, მოსახლეობის ცხოვრების დონის დაქვეითება და სოციალური დაძაბულობის ზრდა, ამდენად, შექმნილ პირობებში მთავარი ამოცანაა, სათანადო დამცავი მექანიზმების გამოყენებით, არ დავუშვათ ამ ნეგატიური მოვლენების განვითარება.

რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობის ანალიზი სამომავლო ამოცანების გათვალისწინებით, ცალსახად ადასტურებს ფასების (და მთლიანად ეკონომიკის) ლიბერალიზაციის სტრატეგიული კურსის შენარჩუნებისა და შემდგომი განვითარების აუცილებლობას, იმ ანგარიშით, რომ, თანდათან ავამაღლოთ ფასწარმოქმნის პროცესების მართვადობის ხარისხი. რეალურად ვითვალისწინებთ რა მანეთის ზონაში (და ამაში, ცხადია, იგულისხმება არა მარტო საერთო ფულადი ერთეულის არსებობა) ჩვენ არ უნდა ვეცადოთ, ხელოვნურად შევაფერხოთ ფასების ზრდა, რადგან იგი მხოლოდ ზიანს მოუტანს რესპუბლიკის ეკონომიკას. ეკონომიკური პროცესების ბუნებრივად განვითარების შემთხვევაში, ეს ზრდა გაგრძელდება მანამ, სანამ არ გაუტოლდება საშუალო მსოფლიო დონეს. მანამდე (ე. ი. მომავალი წლის ბოლომდე, როდესაც სავარაუდოდ უნდა მოხდეს რუსეთში ენერგომატარებლებზე ფასების სრული ლიბერალიზაცია), კი ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით, მიზანშეწონილია რესპუბლიკაში ფასების საშუალო დონე გაუთანაბრდეს მანეთის ზონაში ფასების დონეს რეგიონალური სპეციფიკის გათვალისწინებით.

მიუხედავად ფასების ლიბერალიზაციის კურსის ურყეობისა, მოსახლეობის სოციალური დაცვისა და წარმოების ზოგიერთი სპეციფიკური დარგების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის მიზნით, ცალკეულ შემთხვევებში, საჭირო გახდება ფასების სტაბილიზაციის ისეთი ფინანსური ბერკეტების გამოყენება, როგორიცაა საბიუჯეტო დოტაციები და სუბსიდიები.

ეკონომიკის სტაბილიზაციის კვალობაზე, კიდევ უფრო შემცირდება იმ საქონლის (მომსახურების) წრე, რომლებზეც ხორციელდება ფასების (ტარიფების) ადმინისტრაციული სახელმწიფო რეგულირება. შედარებით ხანგრძლივი დროის განმავლობაში, იქნება შენარჩუნებული საბინაო-კომუნალური და ტრანსპორტის მომსახურების ტარიფების რეგულირება.

თავისუფალ ფასწარმოქმნას დღეს საქართველოს რესპუბლიკაში, ისევე, როგორც მთლიანად მანეთის ზონაში, შეიძლება ითქვას, უპირატესად სტიქიური ხასიათი აქვს. თავისუფალ ფასებზე გადასვლის ამ ეტაპმა უკვე ამოწურა თავისი შესაძლებლობანი და დგება აუცილებლობა იმისა, რომ სახელმწიფომ მოაწესრიგოს საერთოდ ფასწარმოქმნის მაკროეკონომიკური პირობები საგადასახადო, საფინანსო-საკრედიტო, სავალუტო და საბაჟო პოლიტიკის, პროდუქციის ექსპორტ-იმპორტის რეგულირებისა და სხვა მეთოდების გამოყენებით. ამ ეტაპზე, ვიდრე არ შექმნილა თავისუფალი კონკურენციის პირობები, შემოღებული იქნება მონოპოლისტი საწარმოების პროდუქციაზე ფასების სახელმწიფო რეგულირების ისეთი მეთოდები, როგორიცაა ფიქსირებული და ზღვრული ფასების, რენტაბელობის ზღვრული დონეების დაწესება, შემოსავლების (მოგების) პროგრესირებადი დაბეგვრა. მომდევნო ეტაპზე ფასების წინასწარი შეზღუდვა შეიცვლება მონოპოლისტი საწარმოების პროდუქციაზე ფასების შემდგომი კონტროლით.

## II. სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების საცალო ფასების (ტარიფების) დინამიკა

მიმდინარე წლის იანვარ-ივლისში სამომხმარებლო საქონლისა და მოსახლეობისათვის გაწეულ მომსახურების ფასები ექსპერტული შეფასებით, საშუალოდ 10-ჯერ გაიზარდა, მაშინ, როდესაც საშუალო ხელფასები და მთლიანად მოსახლეობის ფულადი შემოსავლები ამავე სიდიდით არ მომატებულა. ამასთან, შემნახველი ბანკის სალაროებში მოსახლეობის ანაბრების გაორმაგების გათვალისწინებით, ფულადი დანაზოგები ხუთჯერ გაუფასურდა. ამის შედეგად, ცხადია, იკლო მოსახლეობის ცხოვრების (მატერიალური უზრუნველყოფის) დონემ. საკმარისია აღინიშნოს, რომ სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო კომიტეტის მონაცემებით, ა. წ. მაისში საარსებო მინიმუმი საშუალოდ ერთ სულზე 2481 მანეთს შეადგენდა, ხოლო ივლისში, ფასების ინდექსის გათვალისწინებით — დაახლოებით 3000 მანეთს, რაც სამჯერ და მეტად ჭარბობს საშუალო სულადობრივ ფულად შემოსავლებს. ამასთან, მართალია, რესპუბლიკის მოსახლეობის მატერიალური უზრუნველყოფის რეალური დონე, სამჯერ არ ჩამორჩება საარსებო მინიმუმს (ფულად შემოსავლებში არაა გათვალისწინებული კომერციული საქმიანობიდან შემოსავლების უდიდესი ნაწილი, ასევე საარსებო მინიმუმის ოდენობიდან გამოთვლილი არაა პირად დამხმარე მეურნეობის პროდუქციის მოხმარება ნატურაში და სხვა), მაგრამ აშკარაა, ისიც, რომ რესპუბლიკის მოსახლეობის ნაწილი, სიღატაკის ზღვარს მიღმაა. ეს საკითხი სპეციალურ შესწავლას საჭიროებს.

რესპუბლიკაში ხელფასების აშკარად დაბალი დონის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომელიც ჯერჯერობით გარეგნულად თითქოსდა ნაკლებად შესამჩნევია, არის ფარული უმუშევრობის მზარდი მასშტაბი. კერძოდ, რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოები ნახევრადაც კი არ არიან დატვირთულნი. წლის პირველ ნახევარში, დარგში წარმოების მოცულობა თითქმის ორჯერ შემცირდა, ხოლო დასაქმებულთა რიცხვი — კი მხოლოდ 16,8%-ით. ეს იმას ნიშნავს, რომ შარშანდელი წლის შესაბამისი პერიოდის შრომის ნაყოფიერების დონის შენარჩუნების პირობებში, სამრეწველო-საწარმოო პერსონალის რიცხვი უნდა შემცირებულიყო არა 51,8 ათასი კაცით, არამედ დაახლოებით 155 ათასი კაცით. ამ მხრივ, უფრო მძიმე მდგომარეობაა მშენებლობაში, არც სხვა დარგებშია სანუგეშო მდგომარეობა. შრომის სახელმწიფო ბირჟის მონაცემებით კი, 1992 წლის 1 ივლისისათვის რეგისტრირებულია მხოლოდ 51 ათასი დაუსაქმებელი. მოსახლეობის სოციალური დაცვის, მათ შორის დასაქმების ღონისძიებათა კომპლექსის დამუშავებისას, ცხადია, თავიდანვე უნდა გამოვიდეთ რეალური მდგომარეობიდან, რადგანაც, ფარული უმუშევრობის მიჩქმალვა კიდევ უფრო გაამწვავებს პრობლემას და ამ შემთხვევაში, შესუსტდება წარმოების ზრდის სტიმულები, დაგვიანდება კადრების გადამზადება, შრომის ნაყოფიერების დაცემის პირობებში შეუძლებელი გახდება ხელფასების რეალური ზრდა, როგორც წარმოების სფეროს, ასევე, საბიუჯეტო ორგანიზაციების მუშაკებისათვის. აღსანიშნავია ისიც, რომ ამგვარ ვითარებაში, შეუძლებელია მაკროეკონომიკური რეგულირებისა და ფინანსური სტაბილიზაციის საბიუჯეტო მექანიზმების რეალური ამოქმედება, რაც აღნიშნა კიდეც თავის მემორანდუმში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიამ.

მოსახლეობის სოციალური დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიებაა სახელმწიფო რეგულირებადი ფასებისა და ტარიფების დაწესება ცალკეულ განსაკუთრებული მნიშვნელობის პროდუქციასა და მომსახურებაზე. კერძოდ, დღეს მოსახლეობისათვის დაწესებული შეღავათიანი ტარიფების წყალობით, ფაქტობრივად ხდება მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის რეალური ღირებულების 90%-ზე მეტის და ბუნებრივი გაზის — 75%-ის (საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ხარჯზე), რძის — 75%-ისა და პურის ღირებულების 50%-ის (სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე) სუბსიდირება.

მიუხედავად ამისა, რეგულირებადი ფასები და ტარიფები მთლიანად წლის დასაწყისთან შედარებით, დღეისათვის გაზრდილია საშუალოდ 15-ჯერ, ხოლო ამის გამო, რესპუბლიკის მოსახლეობის დამატებითი ხარჯები (წლიურ მოხმარებაზე გაანგარიშებით) 15 მლრდ. მანეთს შეადგენს.

ხალხის ცხოვრების რეალური დონისა და საერთოდ ეკონომიკის მდგომარეობის დასახასიათებლად მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანა შეიძლება საცალო ფასთა თანაფარდობიდან ორგანიზებულ სავაჭრო ქსელსა და წვრილ კომერციულ სავაჭრო ობიექტებს (ასევე არაორგანიზებულ წვრილ ვაჭრობას) შორის. როგორც შესაბამისი მონაცემები გვიჩვენებს, სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში ფასები შესამჩნევად დაბალია, მაგრამ ეს მხოლოდ სიიაფის ილუზიას ქმნის, (რაც ნებით თუ უნებლიედ, ამახინჯებს სტატისტიკურ ინფორმაციას ფასების შესახებ), რადგანაც: ჯერ ერთი, რიგი პროდუქტებისა, საერთოდ არ არის ორგანიზებული სავაჭრო ქსელში; მეორეც, ის რაც ამ ქსელში რეალურად (ან დოკუმენტების მიხედვით) არის, ფასთა სხვაობის გამო, დღევანდელ პირობებში იოლად გადადის კომერციულ სტრუქტურებში და ფაქტობრივად, ძვირად იყიდება (მაგალითად, თამბაქოს ნაწარმი, შამპანური, კონიაკი, არაყი და სხვა); მესამე, ორგანიზებულ სავაჭრო ქსელში, როგორც წესი, რჩება მხოლოდ ის შედარებით იაფფასიანი პროდუქცია, რომელსაც დაბალი სამომხმარებლო თვისებების გამო, მომხმარებელი ფაქტობრივად არა ყიდულობს.

კომერციული სექტორი და თავისუფალი წვრილვაჭრობა კი არსებული სახელმწიფო მონოპოლიზმის გამო, ჯერჯერობით ვერ უზრუნველყოფენ კონკურენტულ გარემოსა და მაშასადამე, ფასების სტაბილიზაციისათვის საჭირო პირობების შექმნას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოში საცალო ფასების საერთო დონე, არც ისე დაბალია, რუსეთთან (საშუალო დონესთან) შედარებით, როგორც ეს შეიძლება ერთი შეხედვით ჩანდეს. იგივე დასკვნამდე მივყევართ საკოლმეურნეო ბაზრებზე არსებული ფასების შედარებასაც.

საქართველოში, ბუნებრივია, უფრო მაღალია ვიდრე რუსეთში, იმ პროდუქტების ფასები, რომლებიც დიდი რაოდენობით შემოგვაქვს თვით რუსეთიდან და მანეთის ზონის ქვეყნებიდან.

რაც შეეხება რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის საცალო ფასებს, ისინი ჯერჯერობით მართლაც შესამჩნევად ჩამორჩებიან რუსეთში არსებულ ფასებს, თუმცა, აშკარად შეიმჩნევა დაახლოების ტენდენცია.

იმის გამო, რომ მოცემული დარგი მუშაობს ძირითადად რესპუბლიკის ფარგლებს გარედან შემოტანილ ნედლეულზე, აღნიშნული ფასთასხვაობა უნდა აიხსნას ორი გარემოებით. ჯერ ერთი, ფასების ლიბერალიზაცია საქართველოში განხორციელდა ერთი თვით გვიან (1 თებერვლიდან), ვიდრე რუსეთში და თანაც I კვარტალში საწარმოები თითქმის უმოქმედოდ იყვნენ. და მეორე, დარგის საწარმოებსა და გაერთიანებებს II კვარტლის დასაწყისისათვის გააჩნდა ადრე, შედარებით იაფად, შეძენილი ნედლეულისა და მასალების გარკვეული მარაგები.

მაშასადამე, საქართველოში სამომხმარებლო საქონელზე მანეთის ზონასთან შედარებით, დაბალი თავისუფალი ფასების ჩამოყალიბების ობიექტური, ეკონომიკური პირობები არ არსებობს, გარდა მოსახლეობის შედარებით შეზღუდული გადახდისუნარიანი მოთხოვნისა, და რომელიც, ჩვენი აზრით, რესპუბლიკის ღია სამანეთო სივრცეში არსებობის გამო, დიდად ვერ შეაფერხებს ფასების ზრდას. ამდენად, აუცილებელია საქართველოში ხელფასების (სხვა ფულადი შემოსავლების) მიახლოება მანეთის ზონის საშუალო დონესთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, კიდევ უფრო დამუხრუჭდება რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარება, გაჩანაგდება სამომხმარებლო ბაზარი.

მაგრამ ეს, ცხადია, არ გამორიცხავს ცალკეული სახელმწიფო საწარმოების მხრიდან, არაჯანსაღი მისწრაფებების წარმოშობის შესაძლებლობას განზრახ დაბალ ფასებში მიჰყიდონ ე. წ. შუამავლებს თავიანთი პროდუქცია, რომელიც საბოლოო მომხმარებლამდე მაინც რეალური საბაზრო ფასით მივა. ამით ილახება მხოლოდ რესპუბლიკის ინტერესები და ამდენად, სასურველია, სათანადო მეთოდების (მექანიზმის) შემუშავებით თავიდან ავიცილოთ მსგავსი პროცესების განვითარება.

საქართველოს რესპუბლიკაში ფასების მკვეთრ ზრდას ადგილი ჰქონდა მ. წ. მარტსა და აპრილში; შემდგომ, ტემპებმა შესამჩნევად იკლო და ივნისში სამომხმარებლო საქონლის ფასები მხოლოდ 8%-ით, ხოლო მომსახურების ტარიფები კი — 25%-ით გაიზარდა. ივლისში შესაბამისად — 7%-ით და — 28%-ით. თუმცა, ეს არ შეიძლება მივიჩნიოთ საბოლოო სტაბილიზაციის მაუწყებლად. ეკონომიკური განვითარების ფაქტორთა მომავალ ცვლილებებს რომ თავი დავანებოთ, დღეს უკვე ზარალიანია პურის წარმოება და ზარალის თანხას (რომლის დაფარვის რეალური წყაროები რესპუბლიკას თითქმის არ გააჩნია), ან შესაბამისად, პურის ფასების ზრდის აუცილებლობაც სახეზეა. დღეს რუსეთში და მთლიანად სნგ-ს ქვეყნებში, ხორბალზე, ძალიან მაღალი, მსოფლიო დონესთან მიახლოებული ფასები ყალიბდება, რომლის შედეგადაც, წლის ბოლომდე, იძულებული ვიქნებით, პურის ფასები გავზარდოთ დაახლოებით 6-7-ჯერ, ან გამოვძებნოთ ორ ათეულ მლრდ. მანეთზე მეტი სახსრები (წლიურ მოცულობაზე გაანგარიშებით) პურის მწარმოებლების ზარალის დასაფარავად, ან კომპენსაციების გასაცემად.

ახლო მომავალში, რეალურად მოსალოდნელია ბუნებრივი და თხევადი გაზის ფასების მნიშვნელოვანი ზრდა, რომლებიც ჩვენ შემოგვაქვს შესაბამისად თურქმენეთიდან და რუსეთიდან. რუსეთში, ასევე დღის წესრიგში დგას ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ფასების გაზრდის საკითხი. ზემოხსენებული ფაქტორები ერთობლიობაში, ცხადია, გამოიწვევს რესპუბლიკაში ფასების საერთო დონის შემდგომ მატებას.

## III. საბითუმო ფასების ცვლილებები ეკონომიკის დარგებში და მათი გავლენა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე

მიმდინარე წლის გასულ პერიოდში საბითუმო (გასაცემი) ფასები რესპუბლიკის მრეწველობაში გაიზარდა დაახლოებით 10-12-ჯერ. ტრანსპორტის ტარიფები — საშუალოდ— 17-ჯერ, მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება — 15-ჯერ. სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და პროდუქციის შესასყიდი ფასების ზრდა 1992 წლის პროგნოზით ნავარაუდევია 8-10-ჯერ.

მრეწველობის დარგებს შორის განსაკუთრებული მაღალი ტემპები აღინიშნა მეტალურგიაში, მანქანათმშენებლობაში და მის ცალკეულ ქვედარგებში, ქიმიურ მრეწველობაში, სამშენებლო მასალების ცალკეულ სახეობებზე. ზრდა შედარებით ნაკლებია მსუბუქ და კვების მრეწველობის დარგებში. ასეთი პროპორციების ჩამოყალიბება მთლიანობაში კანონზომიერია და საბაზრო ფასწარმოქმნის ამოქმედების დაწყების მაჩვენებელია, რადგანაც, ყოფილ სსრკ-ში მძიმე მრეწველობის დარგებში ფასები შეგნებულად ბევრად დაბალ დონეზე წესდებოდა, ვიდრე მსუბუქ და კვების მრეწველობაში. თუმცა, თანაფარდობათა ასეთი ცვლილება, დღეისათვის წმინდა პრაგმატული თვალსაზრისით, ნაკლებად ხელსაყრელია ჩვენი რესპუბლიკისათვის.

სანედლეულო, სათბობ-ენერგეტიკული და სხვა საბაზო დარგებში ფასების მრავალჯერადმა (30-50-ჯერ, ზოგან თითქმის 100-ჯერ) ზრდამ, ბუნებრივია, გამოიწვია წარმოების ხარჯების შესაბამისი გადიდება გადამამუშავებელ დარგებში და წარმოშვა საქონლის რეალიზაციის პრობლემა. იგი განსაკუთრებით მწვავედ ვლინდება საქართველოში, განსაკუთრებით კი მრეწველობის ისეთ მასალატევად დარგებში, როგორიცაა ქიმიური და მსუბუქი მრეწველობა, მანქანათმშენებლობა, რომლებიც თავიანთი მოთხოვნილების საშუალოდ 80-90%-ს ნედლეულსა და მასალებზე იკმაყოფილებენ გარედან შემოტანილი რესურსებით. მაღალი ფასებითა და სხვა მიზეზებით პროდუქციის რეალიზაციის პრობლემები სერიოზულად დგას ქუთაისის ავტოქარხნის, მოტობლოკების, ელექტრომექანიკური და ლითოფონის ქარხნების, აგრეთვე ტრიკოტაჟისა და სამკერვალო დარგისა და სხვა საწარმოების წინაშე. მიუხედავად წარმოებული პროდუქციის ფასების მრავალჯერადი ზრდისა, მწვავე ფინანსურ სიძნელეებს განიცდის ზესტაფონის ფეროშენადნობების ქარხანა, რომლის პროდუქციაზე მართალია დიდი მოთხოვნილებაა, მაგრამ მომხმარებლები არ უხდიან მიწოდებული პროდუქციისათვის თანხებს. ქარხნის დებიტორულმა დავალიანებამ ა. წ. 1 ივლისისათვის — 1500 მლნ. მანეთი შეადგინა. ს/გ „ქიმბოჭკოს“ დებიტორულმა დავალიანებამ — 198 მლნ. მანეთი, ს/გ „აზოტი“-ს — 650 მლნ. მან. შეადგინა. ანალოგიურ მდგომარეობაშია მრავალი სხვა საწარმო და გაერთიანება.

შექმნილ სიტუაციაში საწარმოები იძულებული ხდებიან, შეწყვიტონ პროდუქციის მიწოდება, რაც თავის მხრივ, კიდევ უფრო გაართულებს მათ ეკონომიკურ მდგომარეობას, ქმნის ისედაც შესუსტებული საწარმოო კავშირების მთლიანად მოშლის საშიშროებას.

სერიოზული სირთულეებია კვების მრეწველობის ზოგიერთი ნაწარმის რეალიზაციის საქმეში. მარტო ქ. თბილისის სავაჭრო ქსელში განვლილ 7 თვეში ღვინის ნაშთები გაიზარდა 8-ჯერ, უალკოჰოლო სასმელებისა — 8,8-ჯერ, მინერალური წყლებისა—2,9-ჯერ.

ფასების ლიბერალიზაციის მიმდინარე ეტაპზე ფასწარმოქმნა მთლიანობაში უპირატესად ისევ ხარჯვით საფუძველზეა (და არა ხარჯებსა და ბაზრის კონიუნქტურაზე ერთად) ორიენტირებული. მატერიალური დანახარჯების ხვედრითი წილი, მთლიან დანახარჯებში ს/გ „აზოტში“ 1992 წელს, 1991 წელთან შედარებით, ამაღლდა 26 პუნქტით, ს/გ „ჩარხმშენებელში“ თითქმის 20 პუნქტით, მსუბუქი მრეწველობის ცალკეულ ქვედარგებში დაახლოებით, 8-11 პუნქტით, ელექტროენერგეტიკაში, — 11 პუნქტით, რკინიგზის ტრანსპორტზე — 28 პუნქტით, საავტომობილო ტრანსპორტზე — 45 პუნქტით და ა. შ.

მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებზე ფასების ზრდის შედეგად, 1992 წლის პროგნოზური გაანგარიშებებით, სოფლის მეურნეობის მთლიანი მატერიალური დანახარჯები (წლიურ მოცულობაზე) 30 მლრდ. მანეთზე მეტით (ანუ 12,4-ჯერ) იზრდება, რის შედეგადაც, დარგის პროდუქციის მასალატევადობა თითქმის 28 პროცენტული პუნქტით მაღლდება. რესპუბლიკის ამ და სხვა დარგებში პროდუქციის ღირებულების არასახარბიელო სტრუქტურის ჩამოყალიბებაში, ცხადია, განსაკუთრებულია რესპუბლიკის გარედან შემოტანილ სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ფასების კოლოსალური მატების გავლენა.

მეურნეობის სხვადასხვა დარგებში ფასების დინამიკის ჩამოყალიბებულმა, ჩვენთვის აშკარად არასახარბიელო თანაფარდობებმა, უშუალო ასახვა ჰპოვეს მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებში და შესამჩნევად გააუარესეს ძირითადი პროპორციები. კერძოდ, თუკი ადრე მოქმედი ფასების პირობებში, წლების განმავლობაში საზოგადოებრივი პროდუქტის ყოველ 1 მანეთზე, იხარჯებოდა არაუმეტეს 57-58 კაპიკის მატერიალური რესურსები, 1992 წლის ფასების პირობებში ამ ხარჯებმა 70 კაპიკს გადააჭარბა. ე. ი. დაახლოებით 19%-ით გაიზარდა რესპუბლიკის საზოგადოებრივი პროდუქტის მასალატევადობა. მაკროეკონომიკურ პროპორციებში, ეს ნიშნავს ე. წ. შუალედური პროდუქტის (ე. ი. ხარჯების) ხვედრითი წილის ზრდას, საბოლოო პროდუქტის წილის შემცირების ხარჯზე. უახლოეს პერსპექტივაში, ეს ტენდენცია სამწუხაროდ, გაგრძელდება და რესპუბლიკა დღეს რეალურად ვერ დაისახავს მისი სრულად დაძლევის ამოცანას. ამასთან, სამინისტროებმა და უწყებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა, ყოველი ღონე უნდა იხმარონ, მკაცრი მომჭირნეობის რეჟიმის განსახორციელებლად, რაც საბაზრო ეკონომიკის ელემენტარული მოთხოვნაა.

ეკონომიკის მასალატევადობის ზრდა, თავის მხრივ, სხვა თანაბარ პირობებში ამცირებს კვლავწარმოებით (საინვესტიციო) პოტენციალს. კერძოდ, რესპუბლიკის მეურნეობის შედარებით სტაბილური ფუნქციონირების ბოლო წლებში (1980-1988) ეროვნული შემოსავლის დაახლოებით 25% დაგროვებისათვის (საწარმოო პოტენციალისა და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის) გამოიყენებოდა, 1992 წელს კი ეს დონე პროგნოზული გაანგარიშებით, 20%-ზე ნაკლები იქნება. ამასთან, თვით დაგროვების ფონდში საწარმოო პოტენციალის განვითარებაზე (ძირითადი ფონდების ზრდასა და სრულყოფაზე) წარმართული სახსრები 50%-დან 26%-მდე მცირდება. აღნიშნული სტრუქტურული პრობლემების დამუშავება და გადაწყვეტა სტრატეგიულ ამოცანათა წრეს განეკუთვნება და იგი უნდა განხორციელდეს, საქართველოს ეკონომიკის განვითარების გრძელვადიანი პროგნოზისა და პროგრამების ფარგლებში.

საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურის ძირეული გარდაქმნის აუცილებლობა უფრო თვალნათლივი გახადა იმ პროპორციებმა, რომლებიც ყალიბდება ფასების ლიბერალიზაციის პროცესში საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში. როგორც ცნობილია, 1991 წლამდე მოქმედ სახელმწიფო ფიქსირებულ ფასების პირობებში, საქართველოდან პროდუქციის გატანის მოცულობა ყოფილი სსრკ-ს ფარგლებში ჭარბობდა რესპუბლიკაში შემოტანას (დადებითი სალდო ძირითადად გაპირობებული იყო კვების მრეწველობის პროდუქციის დიდი ოდენობით გატანით), ხოლო ექსპორტ-იმპორტის აშკარად გამოკვეთილ უარყოფითი სალდოს გავლენით; მთელი გატანა-შემოტანის ბალანსი გაწონასწორებული იყო, ან ყალიბდებოდა გარკვეული სიდიდის დადებითი სალდო. წლეულს ფასების ლიბერალიზაციის შედეგად მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. რესპუბლიკის ეკონომიკის ფუნქციონირებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მისი ენერგორესურსებით და ისეთი საარსებო სასურსათო პროდუქტებით მომარაგებას, როგორიცაა მარცვლეული, რძე და რძის პროდუქტები, ხორცი და ხორცის პროდუქტები, მცენარეული ზეთი და შაქარი, ხოლო რესპუბლიკის საგარეო საქონელგაცვლაში მთავარია კვების მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის რესპუბლიკისათვის მაპროფილირებელი პროდუქტები.*)

თუ დავუშვებთ, რომ საქართველო რუსეთიდან მიიღებს ენერგორესურსებს, რუსეთში დღეს მოქმედი საბითუმო ფასებით, მაშინ, ამ რესურსებზე რესპუბლიკის საშუალოწლიური მოთხოვნილების საერთო ღირებულება მიახლოებითი გაანგარიშებებით 34,8 მლრდ. მანეთს შეადგენს, ხოლო დღეს ფაქტობრივად არსებული (ასევე ახლო მომავალში სავარაუდო) შესასყიდ ფასებში — კი 20,6 მლრდ. მანეთით მეტს (54,9 მლრდ. მანეთს). მსოფლიო ბაზრის ფასებში ამ რესურსების ღირებულება დაახლოებით 900 მლნ. დოლარია. ნავთობპროდუქტებისა და გაზის მოქმედი ფასები მანეთის დღევანდელი კურსიდან გამომდინარე, ბევრად ნაკლებია მსოფლიო დონესთან შედარებით. ამიტომ, ამ ფასების შენარჩუნება და რესპუბლიკის ენერგორესურსებით გარანტირებული (თუნდაც დაბალ დონეზე) უზრუნველყოფა, რომლის გარეშეც პრაქტიკულად შეუძლებელია რესპუბლიკაში ფასწარმოქმნის და მთლიანად ეკონომიკის რეგულირება, რესპუბლიკის გადაუდებელ ამოცანათა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ.**)

რესპუბლიკაში შემოსატანი ძირითადი სასურსათო პროდუქტები 1991 წელთან შედარებით საშუალოდ 27-ჯერაა გაძვირებული (მათ შორის ხორბლის ფასმა მსოფლიო დონეს მიაღწია დოლარის დღევანდელი კურსით), ხოლო მათი საერთო ღირებულება (წლიურ მოცულობაზე გაანგარიშებით) 68,8 მლრდ. მანეთს, მსოფლიო ფასებში — 817 მლნ. დოლარს აღწევს. და ეს მაშინ, როდესაც, რესპუბლიკიდან გასატანი კვების პროდუქტების ღირებულება საშუალოდ მხოლოდ 9-ჯერ გაიზარდა და შეადგინა 45,7 მლრდ. მანეთი და 964 მლნ. დოლარი. ე. ი. თუ გასული წლის ფასებში ხსენებული კვების პროდუქტების გატანა-შემოტანაში რესპუბლიკას 2,8 მლრდ. მანეთის დადებითი სალდო უყალიბდება, 1992 წლის ფასებში იგი უარყოფითია (-17,6 მლრდ. მანეთი). აქედან გამომდინარე, საქონელგაცვლაში ეკვივალენტობის უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს რესპუბლიკიდან გასატანი კვების ძირითად პროდუქტებზე ფასების მომატება რეალური საბაზრო კონიუნქტურის (რომლის შესწავლაშიც რესპუბლიკა არსებითად ჩამორჩება დღევანდელ მოთხოვნებს) ფარგლებში, მით უმეტეს, რომ მსოფლიო ფასებით კვების პროდუქტების მიხედვით, მას აქვს დადებითი (+147 მლნ. დოლარი) ბალანსი.

სათბობ-ენერგეტიკული და აგროსამრეწველო კომპლექსების მიხედვით, მთლიანად რესპუბლიკას უყალიბდება შემდეგი ბალანსი (სალდო):

| | |
|---|---|
| 1991 წლის ფასებში | + 2 მლრდ. მანეთი |
| 1992 —"— | $\frac{-51,8^{*)}}{-72,5}$ მლრდ. მან. |
| მსოფლიო ფასებში | — 815 მლნ. დოლარი |

ეს რესპუბლიკის უკიდურესად მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელია, მით უმეტეს, რომ ენერგორესურსებზე ფასების ზრდა გრძელდება.

## IV. ფასების ლიბერალიზაციის ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური საკითხები

თავისუფალი (საბაზრო) ფასწარმოქმნის შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების შექმნის მიზნით, ეკონომიკის სამინისტრომ მოამზადა, რესპუბლიკის მთავრობამ განიხილა და ამჟამად სახელმწიფო საბჭოშია დეკრეტის პროექტები „ფასებისა და ფასწარმოქმნის საფუძვლების“, ასევე „მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების შესახებ“. მომზადებულია საქართველოს მთავრობის დადგენილებების პროექტები „მონოპოლისტი საწარმოების პროდუქციაზე (საქონელზე) ფასების რეგულირების მექანიზმის შესახებ“ და „საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ფასების სახელმწიფო ინსპექციის დებულების შესახებ“, რომლებიც მთავრობას წარედგინება ზემოხსენებული დეკრეტების მიღების შემდეგ.

ფინანსთა სამინისტროს, სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო კომიტეტის ეკონომიკის სამინისტროს მიერ დამუშავდა და რესპუბლიკის მთავრობაში წარედგინა დადგენილების პროექტი „საქართველოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ძირითადი ფონდების გადაფასების შესახებ“, სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტს გადაეცა ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროების მიერ მომზადებული საორიენტაციო კოეფიციენტები საპრივატიზაციო ობიექტების საწყისი ღირებულების განსაზღვრის მიზნით და სხვა.

წლის გასულ პერიოდში დამუშავდა და დამტკიცდა სახელმწიფო რეგულირებადი ფასები (ტარიფები) შესაბამისი წრის პროდუქციასა და მომსახურებაზე; პრაქტიკულად გამოყენებული იქნა ფასების რეგულირების რამოდენიმე მეთოდი — ზღვრული ფასების, საშუამავლო და სავაჭრო ზღვრული დანამატების, რენტაბელობის ზღვრული დონეების დაწესება და სხვა.

იმ პროდუქციასა და მომსახურებაზე, რომლებზეც მოხსნილია ფასების (ტარიფების) პირდაპირი სახელმწიფო რეგულირება, ფასწარმოქმნა ხორციელდება ეკონომიკის სამინისტროს ა. წ. 7 თებერვლის № ფ-2 დადგენილებით დამტკიცებული დროებითი დებულებით განსაზღვრული წესით.

ფასწარმოქმნის მეთოდოლოგიური საკითხების დამუშავება გრძელდება, რასაც ხელს შეუწყობს ზემოხსენებული დეკრეტების მიღება.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა, ვერ შეძლეს ა. წ. 24 აპრილის № 470 დადგენილების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული დავალების შესრულება დარგების სპეციფიკის შესაბამისად თავისუფალი (საბაზრო) ფასების ფორმირების მეთოდური მითითებების დამუშავების შესახებ. ეს ძირითადად ობიექტური მიზეზებით უნდა აიხსნას (რესპუბლიკაში ამ სფეროში არ არის არავითარი გამოცდილება. მეცნიერულად არ არის საკითხი დამუშავებული, არ არის საკმარისი ინფორმაცია საზღვარგარეთის ქვეყნებში გამოყენებული წესების შესახებ და სხვა), მაგრამ აშკარად შეიმჩნევა ამ მნიშვნელოვანი პრობლემის შეუფასებლობაც, რაც თავისუფალი ფასწარმოქმნის უპირატესად სტიქიურ ხასიათს განაპირობებს. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თავისუფალი ფასწარმოქმნის მეთოდოლოგიის დამუშავებას სოფლის მეურნეობაში საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების მდიდარი გამოცდილების გათვალისწინებით. ამ დარგებში წარმოების ხარჯების, მათი დინამიკის დეტალური ანალიზის საფუძველზე, და წარმოების მოცულობების, მოთხოვნა-მიწოდების რეგულირების მიზნით, უნდა ჩამოყალიბდეს ფასების ფორმირების მაკროეკონომიკური პირობები. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ძალებით, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა დაამუშაოს შესაბამისი მეთოდური მითითებები, და იგი შეუთანხმოს ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროებს. ეს თავიდან აგვაცილებს იმ უამრავ პრობლემებს და წინააღმდეგობებს, რომლებიც დღეს არსებობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების (მაგ.: აბრეშუმის პარკი, ხორცი, რძე, ყურძენი და სხვა) გასაყიდ ფასებთან დაკავშირებით.

ის გარემოება, რომ დღეს სამინისტროები სათანადოდ ვერ ახორციელებენ დარგებში ფასწარმოქმნის საერთო მეთოდურ ხელმძღვანელობასა და კოორდინაციას, ვერ ეხმარებიან საწარმოებს ბაზრის კონიუნქტურის შესწავლაში, გაპირობებულია იმითაც, რომ თვით საწარმოთა უმეტესობას, არასწორად ესმის მეწარმეობის თავისუფლება და ყოველნაირად ცდილობს, რესპუბლიკის მმართველ ორგანოებში შექმნას ინფორმაციული ვაკუუმი. ესეცაა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები არა თუ ვერ აანალიზებენ დარგებში ფასების ლიბერალიზაციის შედეგებს (მიუხედავად ეკონომიკის სამინისტროს არაერთი თხოვნისა, სათანადო მასალები არც ერთ სამინისტროს არ წარმოუდგენია), არამედ ხშირ შემთხვევაში, ვერ ფლობენ თვით ელემენტარულ ინფორმაციასაც კი, ფასებისა და ფინანსური შედეგების შესახებ.

მიუხედავად №470 დადგენილების მე-8 პუნქტით განსაზღვრული დავალებისა, სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტს ჯერაც არ დაუწყია საბითუმო (გასაცემი) ფასებისა და ტარიფების, მათ შორის შესასყიდი ფასების სტატისტიკური აღრიცხვა, რაც არსებითად ასუსტებს მიმდინარე ეკონომიკური პროცესების ანალიზისა და პროგნოზირების შესაძლებლობებს. ამდენად, სოცეკონომინფორმს უნდა დაევალოს, დაუყოვნებლივ დაიწყოს შესაბამისი სამუშაოები, რომელთა ერთიანი ხელმძღვანელობისათვის ამ კომიტეტის სისტემაში დაუყოვნებლივ უნდა შეიქმნას ფასების აღრიცხვისა და რეგისტრაციის ერთიანი სამსახური. ეს საქმე წელიწადზე მეტია ჭიანურდება.

გასაგები უნდა იყოს, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში, შეუდარებლად უფრო რთული და მნიშვნელოვანია ფასების (და მთლიანად ეკონომიკის) სახელმწიფო რეგულირება, ვიდრე ტოტალიტარული სისტემის დროს. ამდენად, საჭიროა არა მარტო მეტი და უფრო სარწმუნო ოპერატიული ინფორმაცია, არამედ, სათანადო მეცნიერული კვლევა-ძიებაც. ამიტომ, სამომავლოდ, რესპუბლიკაში აუცილებლად უნდა შეიქმნას შესაბამისი დამოუკიდებელი ინსტიტუტი (ან ცენტრი). დღეს კი ფასწარმოქმნის სახელმწიფო პოლიტიკის თეორიული და მეთოდოლოგიური საკითხების დამუშავების, საანალიზო სამუშაოების ჩატარებისა და ბაზრების კონიუნქტურის შესახებ ოპერატიული ინფორმაციის მოპოვების მიზნით, საჭირო და შესაძლებელია, ეკონომიკის სამინისტროსთან არსებულ ეკონომიკის ინსტიტუტში გაძლიერდეს არსებული ფასწარმოქმნის განყოფილება, ხოლო საინფორმაციო უზრუნველყოფა დაევალოს გამოთვლით ცენტრს.

რესპუბლიკაში რეალურად დგას თავისუფალ ფასებზე საშუამავლო და სავაჭრო ფასდანამატის მოხსნის ან გადასინჯვის საკითხი, რომელიც ა. წ. 5 აგვისტოს განხილულ იქნა ეკონომიკური რეფორმის შტაბის სხდომაზე. საკითხი დროებით გადაწყვეტილად ჩაითვალა დამატებულ ღირებულებაზე გადასახადის ორჯერ შემცირების გამო. ამასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილია ვაჭრობის სამინისტრომ და ცეკავშირის გამგეობამ ღრმად გააანალიზონ ეს პრობლემა, გააკეთონ პროგნოზული შეფასებები იმისა, თუ რა სოციალურ-ეკონომიკური შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამა თუ იმ გადაწყვეტილებას და მასალები წარმოუდგინონ ეკონომიკის სამინისტროს. ამის გარეშე, სწორი გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ ფასწარმოქმნის საკითხებზე ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება დეტალურ ანალიზსა და პროგნოზირებას მოითხოვს. ამიტომ, მრავალი სირთულის თავიდან აცილების მიზნით, უნდა დადგინდეს, რომ ფასწარმოქმნასთან დაკავშირებული საკითხები მთავრობაში და ეკონომიკის სამინისტროში არ იქნება განხილული, საჭირო სრული ინფორმაციის ოფიციალური წარმოდგენის გარეშე.

რესპუბლიკაში ფასწარმოქმნის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ინტერესებს არ შეესაბამება ფასწარმოქმნის სფეროში უფლებამოსილების ფაქტობრივი გაფანტულობა სახელმწიფო ორგანოებს შორის. კერძოდ, დღეს ეკონომიკის სამინისტრო, რომელსაც დავალებული აქვს რესპუბლიკაში ფასწარმოქმნის პროცესების საერთო ხელმძღვანელობა, საერთოდ არ მონაწილეობს საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში ფასწარმოქმნის საკითხების გადაწყვეტაში; ზოგიერთი სამინისტრო, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანო, ბევრად აჭარბებს თავის უფლებამოსილებებს და ა. შ. ხშირია ფასების სახელმწიფო დისციპლინის, პროდუქციის კალკულაციის, თავისუფალი ფასების ფორმირებისა და გამოყენების წესების უხეში დარღვევების, ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების (მაღალი ფასების ხელოვნურად შენარჩუნება, კონკურენციის ჩანასახშივე მოსპობა და სხვა) შემთხვევები. ამის გამო, ეკონომიკის სამინისტროს ფასწარმოქმნის, მათ შორის ფასების სახელმწიფო ინსპექციის წინაშე თვისობრივად ახალი, დიდი და რთული ამოცანები დგება. ფასების შესახებ ზემოხსენებული დეკრეტის მიღების შემდეგ, საჭირო გახდება ამ საკითხებზე სახელმწიფო საბჭოს დადგენილების მიღება. კვლავ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს რომ ფასწარმოქმნის საკითხებისა და ბაზრის კონიუნქტურის შესწავლა საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ეკონომიკის მართვაში გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს.

სამომხმარებლო ბაზარზე ფასწარმოქმნა; ფასების დონე და დინამიკა დიდადაა დამოკიდებული ვაჭრობის წესებზე. დღეისათვის ამ სფეროში არ არსებობს ისეთი საიმედო მექანიზმები, რომლებიც საცალო ვაჭრობის ორგანიზებულობას უზრუნველყოფდა.

მონოპოლიზმის დასაძლევად და თავისუფალი კონკურენციის (საბაზრო ფასწარმოქმნის) პირობების შესაქმნელად აუცილებელია დაჩქარდეს პრივატიზაციისა და დემონოპოლიზაციის პროცესები; საბაზრო გაწონასწორებული ფასების ჩამოყალიბებისათვის (ნაცვლად სპეკულაციური ფასებისა) აუცილებელია, აგრეთვე სახელმწიფოს მიერ პროდუქციის ექსპორტ-იმპორტის რეგულირება, სახელმწიფო ცენტრალიზებული რესურსების შექმნა და ეფექტიანად გამოყენება. რესპუბლიკაში შექმნილი მწვავე დეფიციტის პირობებში მიზანშეწონილია რაც შეიძლება მოკლე დროში დამუშავდეს მსხვილი უცხოური კომერციული კრედიტის მოზიდვის საკითხი.

თავისუფალ ფასწარმოქმნაზე გადასვლას, ბუნებრივია უნდა გამოეწვია წარმოების ზარალიანობის აღმოფხვრა. მაგრამ საწარმოო (განსაკუთრებით რესპუბლიკის გარედან შემოზიდული) რესურსების მრავალჯერადი გაძვირების, ხანგრძლივი იძულებითი გაჩერებისა და იმავდროულად წარმოებული პროდუქციის რეალიზაციაში შექმნილი სერიოზული სიძნელეების გამო და სხვა მიზეზებით ა. წ. I ნახევარი ზარალით დაამთავრა არაერთმა საწარმომ და ორგანიზაციამ. მათ შორისაა ხორცის კომბინატები, შულავერის მატყლის გადამამუშავებელი ფაბრიკა, გორის ბამბის გაერთიანება და ქუთაისის ბამბის სართავი ფაბრიკა, ძაფსახვევი ფაბრიკები, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, რძის კომბინატები და სხვა.

წლის პირველი ნახევარი ზარალით დაამთავრა საქართველოს რკინიგზამ, ავიაციის მთავარმა სამმართველომ, რის გამოც მათი ხელმძღვანელობა აყენებს ტარიფების მომატების (წლეულს უკვე მესამედ) საკითხს.

სერიოზული ფინანსური სიძნელეების წინაშეა კონცერნი „საქგაზი“, იმის გამო, რომ საწარმოები და ორგანიზაციები არ (ვერ) იხდიან წლის დასაწყისიდან მოხმარებული გაზის ა. წ. 1 ივლისიდან შემოღებულ გაზრდილ საფასურს. (გადახდის შემთხვევაში მომხმარებლები, მათ შორის საწარმოო გაერთიანება „აზოტი“ გახდება ზარალიანი), რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის რესპუბლიკის გაზით მომარაგებას, მით უმეტეს, რომ უკვე რეალურია მისი ფასის შემდგომი მკვეთრი ზრდა.

მომხმარებელთა გადახდისუუნარობითაა გამოწვეული ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ფაქტობრივი ზარალიანობა იანვარ-ივნისში და მთელ რიგ საწარმოებში პროდუქციის რეალიზაციის სიძნელეები მისი თანმდევი ფინანსური გართულებებით.

მიუხედავად ტარიფების მრავალჯერადი ზრდისა „საქმთავარენერგო“ მიმდინარე წელს დიდი ოდენობით ზარალის მიღებას ვარაუდობს და მდგომარეობის გამოსასწორებლად მოსახლეობისათვის ტარიფების მომატებას მოითხოვს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია სამინისტროებმა და უწყებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროებთან ერთად ყოველმხრივ გააანალიზონ ზარალიანობის მიზეზები და დასახონ მისი დაძლევის გზები.

**საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო.**

---

*) იმის გამო, რომ არ გაგვაჩნია ექსპორტ-იმპორტის სრული ბალანსი საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ანალიზში, შემოვიფარგლეთ, მხოლოდ ამ რესურსებითა და პროდუქტებით. სხვა დარგებში მთლიანად, როგორც ცნობილია, რესპუბლიკას ყოველთვის უარყოფითი სალდო ჰქონდა.

**) საკმარისია აღინიშნოს, რომ 1 ათას მ$^3$ ბუნებრივ გაზს თურქმენეთი ა. წ. დასაწყისიდან გვაწვდიდა 670 მანეთად, დღეს უკვე 3500 მანეთს ანუ 4-ჯერ მეტს ითხოვს (რუსეთში დღეს მოქმედი ფასი 2000 მანეთია). ამ ფასის შემოღება რესპუბლიკის მომხმარებლების ხარჯებს (წელიწადზე გაანგარიშებით) გაზრდის 13 მლრდ. მანეთით, მათ შორის, საბიუჯეტო ორგანიზაციებზე — 4,6 მლრდ. მანეთით, თბომეურნეობის (ქ. თბილისი) საჭირო დოტაციის თანხა გაიზრდება 3 მლრდ. მანეთიდან 7,5 მლრდ. მანეთამდე, 1 კილოვატსაათი ელექტროენერგიის საშუალო ტარიფი — კი 29%-ით, რაც საბოლოო ანგარიშით გავრცელდება ეკონომიკის ყველა დარგზე, უპირველეს ყოვლისა, ელექტროტევად დარგებზე, ასევე ს/გ „აზოტ“-ზე, პურის ქარხნებზე და სხვა. უფრო მეტიც, რესპუბლიკის საწარმოებსა და ორგანიზაციებს ჯერაც არა აქვთ გადახდილი მოქმედი ტარიფით გაზის ფასი. ა. წ. დასაწყისიდან, დავალიანების საერთო თანხა 2,4 მლრდ. მანეთი შეადგინა, რაც თავის მხრივ, მძიმე მდგომარეობაში აყენებს „საქტრანსგაზს“ და გაზით რესპუბლიკის მომარაგებას საფრთხეს უქმნის.

*) მრიცხველი — რუსეთში დღეისათვის მოქმედ ფასებში: მნიშვნელი — დღეს მოქმედ ფაქტიურ (ან სავარაუდო) ფასებში.

### სარედაქციო ფოსტიდან

# ივრისპირელი გამომგონებელი

## ვაზი მისი სიყვარული

**თამაზ ქვლივიძე ახალგაზრდა კაცია, იგი ბევრი რამით არის გამორჩეული, თუნდაც იმით, რომ 34 წლის ასაკში საქართველოს „დამსახურებული გამომგონებელი" ჯერ არავინ ყოფილა. ისიც სათქმელია, რომ 50-ზე მეტი გამოგონების ავტორია, ამდენი გამოგონება კი ბევრ კვლევით ინსტიტუტს არა აქვს. თამაზი ივრისპირეთში გაიზარდა. საგარეჯოელებს ხომ სულ ივრის პირას აქვთ ვენახები! ამ კაცს ძალიან უყვარს მამა-პაპური ვაზი. ეს მადლიანი მცენარეა მისი ფიქრისა და გამოგონების საგანი. დღენიადაგ ვაზის სრულყოფასა და განვითარებაზე ფიქრობს. სულ ახლახანს კი ვაზისთვის ორმაგი შპალერი გააკეთა.**

**ვინც** ვენახს იცნობს, მან იცის, რომ შპალერი ბოძზე მავთულით იჭიმება. თამაზმა ლითონის ბოძი გააკეთა, რომლის ზედა წელი ორკაპაა და შეიძლება მავთული, ანუ შპალერი ერთ ძირ ვაზს ორმაგი ჰქონდეს. სულ ახლახან გამოირკვა, რომ ამგვარი გამოგონება ამერიკის შეერთებულ შტატებშიც არსებობს. საყურადღებოა, რომ ამერიკელმა და ქართველმა გამომგონებლებმა ერთიდაიმავე დროს, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად გააკეთეს ამგვარი რკინის ბოძი, რომელზეც ორმაგი შპალერი გაიმართება. თამაზ ქვლივიძის გამოგონებებით დიდი ხანია დაინტერესდნენ სპეციალისტები. აი, რას ამბობს თავის ახალგაზრდა კოლეგაზე აკადემიკოსი შალვა კერესელიძე: „ადგილზე გავეცანი საქართველოს დამსახურებული გამომგონებლის თამაზ ქვლივიძის ზოგიერთ გამოგონებას და წინადადებას მევენახეობის განხრით და მიმაჩნია, რომ მის წინადადებას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია, ისინი დღეს აუცილებელია დარგის განვითარებისთვის".

„ბატონ თამაზ ქვლივიძის გამოგონება, — შპალერი, სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის, — საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა და სამეცნიერო-კვლევითმა დაწესებულებებმა განიხილეს და მოიწონეს, რაც დასტურდება მათ მიერ ადგილზე ჩატარებული შემოწმების აქტებით და დადებითი დასკვნებით.

ბატონ თამაზ ქვლივიძის გამოგონებათა დანერგვისა და ფართოდ გავრცელების მიზნით გაცემულია სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება. აღნიშნული გამოგონების ფართოდ დანერგვა დიდად შეუწყობს ხელს რესპუბლიკის მევენახეობის დარგის განვითარებას და ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების დაცვას". ამ დოკუმენტს ხელს აწერს თავად სოფლის მეურნეობის მინისტრი ნოდარ ჭითანავა.

თამაზ ქვლივიძე რომ საინტერესო გამომგონებელია, ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, ოღონდ ნათქვამი მის პიროვნულ პორტრეტს სრულყოფილად ვერ დახატავს, თუ არ ვიტყვით, რომ იგი თავისი ქვეყნის ერთგული შვილია, მშობლიური საქართველოს ჭირ-ვარამის ჭეშმარიტი გამზიარებელია. ნათქვამი რომ ლიტონ სიტყვებად არ დაგვრჩეს, თამაზ ქვლივიძის ერთ განცხადებას გაგაცნობთ.

**საქართველოს რესპუბლიკის
სახელმწიფო საბჭოს
თავმჯდომარეს ბატონ
ედუარდ შევარდნაძეს,**

**საქართველოს რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ თენგიზ სიგუას,**

**საქართველოს რესპუბლიკის
სოფლის მეურნეობის
მინისტრს ბატონ
ნოდარ ჭითანავას**

დიდი ქარტეხილი გადავიტანეთ, ბევრი ნგრევისა და ცრემლის მოწმენი ვართ, იყო გულგატეხილობისა და სულის გაზზარვის წუთებიც, მაგრამ ბრძენ წინაპართა მსგავსად უნდა გვეყოს ძალა და ნებისყოფა, რათა დავძლიოთ დაბრკოლებები და საკუთარი ხელით გამოვჭედოთ საქართველოს მომავალი, რომლის კონტურებიც უკვე მკრთალად გამოიკვეთა.

აქ თავისი გადამწყვეტი და წამყვანი სიტყვა უნდა თქვას მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა. ქართველი კაცის მდიდარმა ინტელექტუალურმა პოტენციალმა, ქრისტიანულ მორალთან და ფიზიკურ ძლიერებასთან ერთად, სასწაულები უნდა ჩაგვადენინოს, რადგან დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობა არა მარტო ფაქტის წინაშე გვაყენებს, არამედ გვავალდებულებს კიდეც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების უსწრაფეს დანერგვას. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ მოსახლეობის არსებობისათვის საჭირო სასურსათო პროდუქტების შემოზიდვა აღარ დაგვჭირდეს სხვა ქვეყნებიდან, არ ვიყოთ სხვის გუნებაგანწყობილებაზე დამოკიდებული, ამაში უნდა დაგვარწმუნოს თუნდაც მსოფლიოს ორი უძლიერესი და უმდიდრესი ქვეყნის — აშშ-ისა და იაპონიის გამოცდილებამ. დღესაც კი უმაღლეს ტექნოლოგიურ მიღწევებსა და ინტელექტუალურ პოტენციალზე ამყარებს იმედს არა მარტო რესურსებით უკიდურესად ღარიბი იაპონია, არამედ ჭარბი რესურსების მქონე აშშ-ც.

საქართველოში მრავალი მოგვეძიება დიდმნიშვნელოვანი გამოგონება, რომლის პრაქტიკული რეალიზაცია საქართველოს სასიკეთოდ წაადგება.

ჩემი გამოგონებებიდან ერთ-ერთი საინტერესოა შპალერი სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის, რომლის სავარაუდო ეკონომიკური ეფექტი სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის 1990 წლის 7 ივნისის № 2/289 ბრძანებით შექმნილი კომისიის წინასწარი გამოთვლით 115 მილიონ მანეთს შეადგენს და მიჩნეულია რესპუბლიკის სასიცოცხლო ინტერესების მქონე გამოგონებად.

მინდა გაცნობოთ ისიც, რომ აღნიშნული გამოგონება აშშ-ში და ჩვენთან (საქართველოში ჩემი ავტორობით) ერთდროულად, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შეიქმნა, რაც მსოფლიოს საგამომგონებლო ისტორიაში იშვიათი შემთხვევაა.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის 1991 წლის 17 დეკემბრის № 2-165 ბრძანებით გამოგონება რეკომენდებულია ფართოდ დანერგვისთვის.

ამ გამოგონებას, და, მისი ფართოდ დანერგვის აუცილებლობიდან გამომდინარე, კიდევ ორ გამოგონებას, რომელთა ეკონომიკური ეფექტი ასევე შთამბეჭდავი ციფრებით აისახება, საჩუქრად ვუძღვნი ჩემს სამშობლოს, დამოუკიდებელ საქართველოს პატენტის უფლებით. გამოგონებათა საავტორო უფლებების ნომრებია 4759388, 1664183, 1664182.

• • •

აი, ასეთი მამულიშვილია ივრისპირელი გამომგონებელი. ამ ახალგაზრდა კაცს აფასებენ და პატივს სცემენ. მაგრამ გულიც ბევრჯერ სტკენია. ერთი ამგვარი ფაქტი გვახსოვს. შარშან საგარეჯოში მეგობრებთან მოსაუბრე თამაზ ქვლივიძე პრეფექტმა გურამ ისაკაძემ გამოიხმო. რაკი ვაზი ასე გიყვარს და შენზე ამდენს ლაპარაკობენ, მევენახეობის მეურნეობის დირექტორად დაგნიშნავ, ოღონდ სოფლის მეურნეობის სამინისტროდან წარდგინება მომიტანეო. ამხანაგებმა წააქეზეს, ვაზისა არაფერი გესწავლება, შენს გამოგონებასაც პრაქტიკულად გამოიყენებ. ყველაფერი ეს საქმეს გამოადგება, წადი სამინისტროშიო. იქ თამაზ ქვლივიძის საწინააღმდეგო ვის რა უნდა ჰქონოდა და წარდგინება მეორე დღესვე ჩამოიტანა. უტიფარმა პრეფექტმა კი სწორედ იმ დღეს, როცა ახალგაზრდა გამომგონებელი სამინისტროში გაგზავნა, სულ სხვა კაცი დანიშნა საგარეჯოს მევენახეობის მეურნეობის დირექტორად. ახლა ხომ ვერ ვიკითხავებთ, რატომ მოიქცა პრეფექტი ასე უსინდისოდ, რა ინტერესი ამოძრავებდა?

რაც მოხდა, გურამ ისაკაძის სინდისზე იყოს, თორემ თამაზ ქვლივიძე ისევ ის კაცია, — მართალი, ვაზისა და საქართველოსთვის ანთებული. მის ღირსებებზე კი, მისივე საქმეები მეტყველებენ.

**ანზორ ჩიკვილაძე.**

---

### ყველას თავისი აზრი აქვს

# იქნებ კარტოთეკა დაგვეხმაროს

**ქვეყანაში** დიდი დაძაბულობაა. არა მარტო პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროში მიმდინარეობს აზრთა ჭიდილი, არამედ თვით ქვეყნის მართვის მოდელიც არ არის ზუსტად განსაზღვრული. ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლეს ეშელონში სტრუქტურების ახლებურ ჩამოყალიბებასაც, ეტყობა, დიდი სიძნელეები ახლავს.

მთელი ერი, ვფიქრობ, შეწუხებულია კრიმინოგენული ელემენტების მიერ მოსახლეობის აწიოკებით. დანაშაულთა კატეგორიებიდან გამოვყოფდი განზრახ მკვლელობას, შეიარაღებული ჯგუფების მიერ ჩადენილ ყაჩაღობებსა და სხვადასხვა მძიმე დანაშაულს. რევოლუციას, რომელსაც მოაქვს სიკეთე, ახლავს უარყოფითი მომენტებიც. სწორედ რევოლუციის ერთ-ერთ უარყოფით მომენტად შეიძლება ჩაითვალოს მოსახლეობაში დიდძალი ცეცხლსასროლი იარაღის დაგროვება, როგორც ჩანს, სამართალდამცველ ორგანოებს არ ძალუძთ, სხვადასხვა მიზეზების გამო, მოსახლეობაში არსებული იარაღის ჩამორთმევა. ამიტომ, იმის გამოცხადება, რომ აუცილებელია მოსახლეობამ ჩააბაროს იარაღი, შედეგს ვერ მოგვცემს. მიზეზი ერთია: ძალიან ბევრ შეიარაღებულ ფორმირებას და მოქალაქეს მიეცათ ოფიციალური იარაღის ტარების უფლება. ზოგმა კი, როგორც შეატყო, სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფდა მის უშიშროებას, თვითონ შეიძინა „შავ ბაზარზე" ცეცხლსასროლი იარაღი და უდევს სახლში. პირველ შემთხვევაში კანონი არ სჯის, არადა, მოსალოდნელი საშიშროება აქ უფრო მეტია. მეორე შემთხვევაში, როდესაც მოქალაქე თვითონ იცავს საკუთარ უფლებებს, არ არის გამორიცხული, თვითონ აღმოჩნდეს სისხლის სამართლის სკამზე იარაღის უნებართვოდ შენახვის ან ტარებისათვის.

ვნახოთ, როგორ არის ეს საკითხი გადაწყვეტილი ისეთ ტრადიციულ დემოკრატიულ ქვეყანაში, როგორიცაა აშშ. მივაქციოთ ყურადღება კონსტიტუციის II შესწორებას (1791 წელი): „რამდენადაც თავისუფალი სახელმწიფოს უშიშროებისათვის საჭიროა კარგად ორგანიზებული მილიცია, ხალხს უფლება შეინახოს და ატაროს იარაღი, შეზღუდვას არ ექვემდებარება".

ორი საუკუნის წინათ ჩაწერილ ამ 17 სიტყვაში მათემატიკური სიზუსტით არის გადმოცემული ორი ძირითადი და მნიშვნელოვანი საკითხი; პირველი — თავისუფალი სახელმწიფოს უშიშროებისათვის საჭიროა კარგად ორგანიზებული მილიცია, და მეორე: თუ მილიცია კარგად ორგანიზებულია, თავისუფალ ქვეყანაში სახელმწიფოს უშიშროებისათვის საშიში არ არის და არც შეიძლება შეზღუდვას ექვემდებარებოდეს ხალხის უფლება, ატაროს იარაღი.

აი, როგორ აშენებდა აშშ დემოკრატიას, რომელიც XX საუკუნის ბოლოს, მსოფლიოსათვის უკვე სამაგალითო გახდა. მართალია, სხვადასხვა შტატის კანონმდებლობაში ერთგვაროვნად არ არის გადაწყვეტილი იარაღის შენახვისა და ტარების უფლება, მაგრამ მთლიანობაში დაცულია კონსტიტუციის II შესწორება.

მიმაჩნია, რომ იარაღის შენახვისა და ტარების უფლების მიცემის დროს აუცილებელია პიროვნების შესწავლა, რის საფუძველზეც ცნობას გასცემენ შესაბამისი შს განყოფილებები, შემდეგ მოხდება იარაღის გასროლა კრიმინალისტურ ლაბორატორიაში და გასროლილი ტყვია ჩაიდება კარტოთეკაში. ამის შემდეგ გაიცემა იარაღის შენახვისა და ტარების დამადასტურებელი მოწმობა, გარდა იმისა, რომ ჩემს მიერ შემოთავაზებული აზრი დემოკრატიზაციის გზაზე აუცილებლად მესახება, მეორე მხრივ, ამით კონტროლს გავუწევთ მოსახლეობაში არსებულ ცეცხლსასროლ იარაღს. უკანონოდ ცეცხლსასროლი იარაღის შენახვისა და ტარებისათვის უფრო მიზანდასახულად ამოქმედდება 238-ე მუხლი და, რაც მთავარია, ტყვიის კარტოთეკის მეშვეობით, ადვილი იქნება იარაღით ჩადენილი დანაშაულის გახსნა. დანაშაულის ჩადენისადმი მიდრეკილების მქონე პირებზე, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, შემაკავებლად მოქმედებს, როცა მან იცის, რომ მეორე მხარესაც შესაძლებელია იარაღი ჰქონდეს.

ჩემი თვალსაზრისის უგულებელსაყოფად ამ საკითხს ზერელედ ნუ შეხედავთ. საჭიროა აწონდაწონა და ის არგუმენტი, რომ შესაძლებელია გაიზარდოს ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილი განზრახ თუ გაუფრთხილებელი დანაშაული, მოტივად არ გამოგვადგება. მაგალითისათვის: ვიცით, რომ ავტომანქანების რიცხობრივმა მატებამ გაზარდა ავარიების რიცხვი, მოქალაქეთა გაუფრთხილებელი მკვლელობის და სხეულის მძიმე დაზიანების შემთხვევები, მაგრამ არავის აზრად არ მოგვივა ავტომანქანების შემცირება ან აკრძალვა, რაც თავისთავად არარეალურია.

საერთოდ, ცეცხლსასროლი იარაღის შენახვისა და ტარების აკრძალვა ტოტალიტარული რეჟიმის დამახასიათებელი ატრიბუტია, რათა კანონიერების ხშირ და უხეშ დარღვევებს არ მოჰყოლოდა პიროვნების მიერ პარტოკრატიისადმი ანგარიშის გასწორება.

**ელდარ ახვლედიანი.**

---

# დამნაშავე უნდა დაისაჯოს, წესრიგი ასე აღდგება!

**გაერთიანება „საქთევზმრეწვის" კოლექტივში, მთელ ქალაქში დიდი აღშფოთება გამოიწვია 1992 წლის 2 აგვისტოს მომხდარმა, გაერთიანების მეზღვაურის გია ვალიკოს ძე ყურაშვილის მკვლელობამ.** იგი მისი ფეხმძიმე მეუღლის თვალწინ მოკლა ფოთის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების უფროსის მოადგილემ დავით სვანაძემ. ამ ფაქტთან დაკავშირებით რედაქციამ მიიღო გაერთიანების კოლექტივის წერილი, რომელშიც ნათქვამია:

კიდევ ერთი უდანაშაულო, სიმართლისათვის მებრძოლი, ოჯახის, ახლობლების, მეგობრებისა და საქმის მოყვარული, 27 წლის სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა გამოაკლდა საქართველოს. ეს მოხდა მაშინ, როდესაც ძმათა შერიგების, სისხლისღვრის შეწყვეტის, ურთიერთთანადგომისა და სიყვარულის, ქართველი ხალხის ერთ მუშტად შეკრის, საქართველოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წევრად მიღების ზეიმის დღეები იყო.

გიას ბედი ეწია ბევრ ფოთელს და მათ შორის მებადურეების 4 ოჯახის 6 წევრს. 30-ზე მეტი მებადურის ბინა გაიქურდა, გატაცებულია რამდენიმე მანქანა. ადგილი აქვს შანტაჟს, მოსახლეობაზე, საწარმოებსა და დაწესებულებებზე ბანდიტურ თავდასხმებს და მატერიალურ ფასეულობათა გატაცებას. ასეთ აღვირახსნილობას ბოლო არ უჩანს, ვის უნდა ვენდოთ, თუ არა სამართალდამცველ ორგანოებს? მაგრამ ქალაქში მომხდარი თითქმის არცერთი მძიმე დანაშაული არ გახსნილა და მკვლელები, მძარცველები, გამომძალველები თავისუფლად დათარეშობენ.

სამწუხაროდ, დღეს ფოთის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების მუშაკთა უმეტეს ნაწილს არ გააჩნდა პასუხისმგებლობის გრძნობა სამსახურის, მშრომელი ხალხისა და ერის წინაშე.

ფოთელი მებადურეები შეშფოთებულები ვართ ამ უკანასკნელ ხანს ქალაქში მომხდარი კრიმინალური ამბების გამო, რასაც შეიძლება მოჰყვეს დესტაბილიზაცია, რომელსაც ბევრჯერ ჰქონია ადგილი ჩვენს ქალაქში. ღმერთმა ნუ ქნას!

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, გაერთიანება „საქთევზმრეწვის" კოლექტივი მოითხოვს: უმოკლეს დროში დაკავებულ იქნეს გია ყურაშვილის მკვლელი და ძიებას მიეცეს ობიექტური მსვლელობა; დათხოვნილ იქნენ სამართალდამცველი ორგანოებიდან შემთხვევით მოხვედრილი, არაპროფესიონალი, ნდობადაკარგული, კანონიერების დამრღვევი და ეჭვმიტანილი მუშაკები; ქალაქის პროკურატურამ გაამკაცროს ზედამხედველობა შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილებისადმი; — ქალაქის გამგეობამ მიიღოს გადამჭრელი ზომები შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების მუშაობის უკეთ წარმართვისათვის, ქალაქის წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების თანადგომით ორგანოს მუშაკებისათვის სოციალური საკითხების მოგვარებისათვის.

### სარედაქციო ფოსტიდან

---

### კარიკატურისტის კომენტარი



ლევან მარათაშვილის ნახატი.

---

### დიალოგი

# საერთო მნიშვნელი

**გალინა ხარებაშვილი**

**კვლავ ერთმანეთის პირისპირ ვსხდებით მე და ჩემი რესპონდენტი ისევე, როგორც ადრე. ისევ სხვადასხვა პოზიციაზე ვართ (ცნება პოლიტიკური პლატფორმა ცოტა ხმამაღლა ნათქვამად მეჩვენება), როგორც მაშინ, ისევ ვსაუბრობთ. ვკამათობთ, ზოგ რამეში ვეთანხმებით ერთმანეთს, უფრო მეტში — არა. საუბარი კი გამოდის, ალბათ, იმიტომ, რომ ორივეს ერთი საერთო მნიშვნელი გვაქვს — ძალიან გვიყვარს ჩვენ-ჩვენი სამშობლო. მის სამშობლოს საქართველო ჰქვია, ჩემსასაც... გაღმა-გამოღმა კი შევრჩენივართ ნაპირებს.**

**ზურაბ ჭავჭავაძისგან პირველი ინტერვიუ მაშინ ავიღე, ეროვნული იდეოლოგიის ასოციაციის მემორანდუმი რომ გამოქვეყნდა. მაშინაც ვიდავეთ. საუბარი კი გაიმართა, რასაკვირველია, იგივე საერთო მნიშვნელის გამო, რომელიც, ჩემი აზრით, მაშინაც და ახლაც გაცილებით უფრო მთავარია, ვიდრე ათასი ასოციაცია და საგაზეთო პუბლიკაცია ერთად აღებული.**

— **შარშან** დეკემბრის შემდეგ ხმა არ ამომიღია არა იმიტომ, რომ სათქმელი არაფერი მქონდა, ვიდრე რამეს მკითხავდით, მინდა შემთხვევით ვისარგებლო და ვუპასუხო მათ, ვინც ფიქრობს, რომ ეროვნული მოძრაობა დამთავრდა, რომ ამ მოძრაობამ ძველი დაანგრია და ამით მისი მისია ამოიწურა, ახლის შენება მისი საქმე აღარ არის. ეს არასწორია. ეროვნული მოძრაობა მარადიული ფენომენია. იგი ქუჩაში — მიტინგზე, დემონსტრაციაზე თუ პარლამენტის სხდომაზე, ყველგან ერთი და იგივეა. ძველისგან ყოველთვის მიიღება რაღაც ახალი, ხოლო ახალი, დროთა ვითარებაში თავისთავად ძველად იქცევა. მოძრაობა ძველიდან ახლისაკენ, შედარებით უარესიდან უკეთესისაკენ ყოველთვის იქნება. ამიტომ ეროვნული მოძრაობის როლის მხოლოდ დამანგრევლამდე დაყვანა არასწორია. ის მშენებელიც არის. ნგრევა თვითმიზანი როგორ შეიძლება იყოს. ნგრევა იმისათვის არის საჭირო, რომ ნანგრევებზე ახალი, უფრო ღირსეული აშენდეს.

**— ეს საკითხი ძალზე მწვავე, მტკივნეულია და დღეს არც მინდოდა მას შევხებოდი, საუბრის სულ სხვა მიმართულებით წარმართვას ვფიქრობდი, მაგრამ რაკი პირდაპირ ზედ მივადექით, ბარემ ვიტყვი, ეროვნული მოძრაობის როლი მაქვს მხედველობაში. იქნებ ვინმეს და თქვენც, მართლა გულწრფელად გჯერათ, რომ თავისუფლება მართლა ეროვნულმა მოძრაობამ მოგვიტანა? მე უაღრესად დიდ პატივს ვცემ ადამიანებს, რომლებიც უანგაროდ იყვნენ ამ მოძრაობაში და ძალზე ბევრიც გადაიტანეს თავისი რწმენისა და იდეალებისათვის, მაგრამ აქცენტს შედეგზე და ამ შედეგში მოძრაობის როლზე ვამახვილებ.**

**ჯერ კიდევ 9 აპრილის მწარე დღეებში გვაფრთხილებდნენ გონიერი ჭირისუფალნი, ის, ვისაც ჰქონდა ამის თქმის უფლებაც და შესაბამისი ინფორმაციაც, ცოტა დაწყნარდით, დიდი შენობა ინგრევა და მაინცდამაინც ნანგრევებში ნუ მოჰყვებით, უსისხლოდ და უცრემლოდ დადგება თავისუფლების პირველი დღეო. არ დავიშალეთ. უმანკოთა სისხლის ფასად კი პოლიტიკურ დივიდენდებს აგროვებდა მავანი. შენობა კი ამ დროს მართლაც ნაწილ-ნაწილ, სართულ-სართულ თავქვე მოდიოდა. ყველამ მიიღო თავისუფლება, ბევრმა— უსისხლოდ, მაინცდამაინც ჩვენ შევასკდით ერთმანეთს ყველაზე მწარედ. ეროვნულ მოძრაობასთან რამენაირად დაკავშირებულთ კი თავი ისე მოაქვთ, თითქოს სამშობლო მათ სულ სხვანაირი სიყვარულით უყვართ, ვიდრე იმათ, ვისაც მაშინაც და დღესაც ქვემოდან იმპერიის ნგრევაზე ოცნება უკეთეს შემთხვევაში დონ-კიხოტობად უჩანდათ. ახლა კი „მე და ძმრას წიწილა მიგვაქვს" არაკივით ხომ არ გამოდის საქმე?**

— სხვათა შორის ეს ძალზე ანგარიშგასაწევი კითხვაა. თქვენ არა ერთი და ორი ადამიანის აზრს გამოხატავთ მისი დასმით. გულწრფელად რომ გითხრათ, მეც დავფიქრებულვარ ამაზე, მეც გამჩენია მწარე ეჭვი — მართლა ამაოდ ხომ არ დაიღვარა უდანაშაულოთა სისხლი? ძალიან ტკივილიანი ფიქრია. მაგრამ არის სხვა მომენტებიც, რისთვის ანგარიშგაუწევლობა სწორი არ იქნებოდა. ერი შინაგანად თუ არ იქნა მზად თავისუფლებისათვის, სულიერად თუ არ მომწიფდა სამისოდ, ისე მზამზარეულად მიღებულ სუვერენიტეტსაც რაღაც არასრულყოფილების ელფერი ექნება. მე, პირადად, არც მჯერა, რომ „პერესტროიკის" ჩამფიქრებლებს იმპერიის დაშლა ჰქონდათ დაგეგმილი. მათ უბრალოდ, ხელში შემოეფშვნიტათ ეს ამოდენა ჯადო-მანქანა. ბოთლიდან ამოშვებულმა ჯინმა შეასრულა აქ მთავარი როლი. ასე რომ, ზემოდან დაწყებულ პროცესებს ქვემოდან ეროვნული და გამათავისუფლებელი მოძრაობა. რომ არ შეგებებოდა, შეიძლებოდა ყველაფერი ისე არ წარმართულიყო, როგორც წარიმართა. თავისუფლება საკუთარი შემოქმედების ნაყოფი უნდა იყოს უთუოდ, ამის წართმევა არც ერისათვის, არც პიროვნებისათვის არ შეიძლება. ხომ ვიცით შინაგანი თავისუფლების მიღწევა გაცილებით ძნელია, ვიდრე გარეგანის.

**— სსრკ დაინგრა თუ დაანგრიეს, ეს ცალკე საუბრის თემაა. ჩვენ კი ჩვენი შეხვედრის ძირითად მიზანს დავუბრუნდეთ: დაგროვდა საკითხების წყება, რომელთაც თქვენმა ორგანიზაციამ ალბათ უნდა უპასუხოს. მე ვიცი, რომ მკითხველთან შეხვედრის სურვილი თქვენც გაქვთ. მაშინ დავიწყოთ თქვენდამი წაყენებული ყველაზე მძიმე ბრალდებით, ეროვნულ იდეოლოგიას ფაშიზმთან აიგივებენ.**

— ის მსოფლმხედველობა, რომელსაც მე მივდევ და ვაღიარებ, ფაშიზმისაგან სიღრმისეულად განსხვავდება. აქვე ერთი რამ უნდა ვთქვა: ფაშიზმი, როგორც მოძრაობა (ძირითადად გერმანული ფაშიზმი მაქვს მხედველობაში), ორ ეტაპად იყოფა. პირველ პერიოდში იგი გერმანულ ნაციონალიზმს ემყარებოდა და საკუთარი ქვეყნის ფარგლებში მოქმედებდა. სხვათა შორის, ამ დროს მათ მთელი რიგი პრობლემები გადაჭრეს — სასურსათო, საბინაო, უმუშევრობის და ქვეყანა გააძლიერეს. ეს ყოველივე რასაკვირველია დადებითად ფასდება. მეორე ეტაპია, როდესაც ფაშიზმი თავის ქვეყნის ფარგლებს გასცდა და კოსმოპოლიტური და წმინდა მატერიალისტური გახდა. მათი რასიზმი — ეს წმინდა ბიოლოგიზმი, პრიმიტიული მატერიალიზმია. ამის საფუძველზე იქცა იგი ათეისტურ მოძღვრებად, რადგან ღმერთად ფიურერი იწამეს, რამაც ფაშიზმი კრახამდე მიიყვანა. ჩვენს ყველა დოკუმენტში კი აშკარად ჩანს, რომ ჩვენი იდეოლოგია არის იდეალისტური და რელიგიური. ჩვენი ამოსავალი წერტილი ქრისტე ღმერთია. იდეალისტური კი იმიტომ არის, რომ იგი იდეების სისტემაა და არა „იდოლებისა", რასაც სხვათა შორის გვაბრალებენ. მაგრამ ეს ცალკე საუბრის თემაა. არც ის არის სამართლიანი, როდესაც გვიკიჟინებენ, თითქოს ჩვენ ეროვნულობის ნაჭუჭში ვიკეტებით და ზოგადსაკაცობრიო იდეალებს ვუპირისპირდებით. ეროვნულობა თავისთავად ზოგადსაკაცობრიო ფენომენია. ამ ფაქტს ვერსად გავექცევით. დედამიწაზე გოჯი მიწა არ არსებობს, რომელიმე ერის საკუთრება რომ არ იყოს. სამყაროში ყველაფერს ეროვნულობის ნიშანი აზის, ზოგადი, საკაცობრიო ყველა ერში კონკრეტულად სხვადასხვაგვარად ვლინდება. სამყაროსაც სწორედ ამ, თუ შეიძლება ითქვას, ეროვნულობის პრიზმაში გარდატეხილს აღიქვამს ინდივიდი. მაშ საიდანაა ჩანს, რომ ჩვენს ნაჭუჭში ვიკეტებით?

**— როგორი უნდა იყოს ეროვნული იდეოლოგიის და ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულება?**

— ამაზე იმას ვიტყოდი, რომ ჩვენ თავიდანვე ერის იდეოლოგებად მიგვაჩნია თავი (რამდენად შევძელით ეს, არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში სურვილი ასეთი იყო). ეროვნული იდეოლოგია კი არ შეიძლება მსახურებდეს რომელსამე ხელისუფლებას. იგი ერის სულის გამოვლენაა და ნებისმიერ სახელმწიფო სტრუქტურაზე მაღლა დგას. ვიმეორებ: ჩვენ იგი ერს შევუქმენით და არა რომელიმე ბლოკს ან ჯგუფს.

**— რაკილა თქვენი და წარსული ხელისუფლების შეხედულებათა სხვაობა-მსგავსებაზე ჩამოვარდა სიტყვა, ორიენტაციის პრობლემაზე რაღა აზრის ხართ?**

— ჩვენ მსოფლიო სტრუქტურებში უნდა ჩავერთოთ აუცილებლად, როგორც თავისთავადი ერთეული. რად უნდა გავემიჯნოთ ან დასავლეთს ან აღმოსავლეთს, არ ვიცი.

**— მაგრამ მსოფლიო სტრუქტურებში რომ ჩავერთოთ, ამისათვის ერი მთლიანი უნდა იყოს.**

— დღეს ჩვენთან ერის შუაზე გახლეჩას ერთ პიროვნებას აბრალებენ, რაც, ჩემი აზრით, აბსურდია. განა ვერ ხედავთ, რომ თუ ასე გაგრძელდა, დაპირისპირება კიდევ უფრო გამწვავდება? ახლა კიდევ ორ, ახალ პოლარულ ნაპირად — მდიდრებად და ღარიბებად გაიყოფა საზოგადოება, თანაც ისეთ ღარიბებად, შიმშილით დაღუპვის რეალური საფრთხის წინაშე რომ დადგებიან. ამიტომ პრივატიზაციას ამ ეტაპზე ძალზე ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ. სახელმწიფო სექტორი თვითონ თუ სუსტი იქნება, ხალხის სოციალურად დაცვას ვერ შეძლებს. ეს კი დამღუპველია.

**— მაშ სად არის გამოსავალი? ჯადოსნურ წრეში ვექცევით — ადამიანებს აუზში წყალს მანამ არ უსხამენ, ვიდრე ცურვას არ ისწავლიან, ცურვას კი უწყლოდ ვერ სწავლობენ.**

— ჯერ იმას ვიტყვი, ნუთუ არ შეიძლება ცნებებს დავანებოთ ბოლოს და ბოლოს თავი. ავვიჩემებია სოციალიზმი და კაპიტალიზმი. რაღა დროს მარქსის ცნებებით აზროვნებაა. იგივე დასავლეთს თუ ვუყურებთ, იქ ამ ტერმინებს კარგა ხანია აღარ ხმარობენ. მათთან დამყარდა ტექნოკრატიული ინდუსტრია და პოსტინდუსტრია. მთავარია საწარმოო ძალთა განვითარება და არა წარმოების წესი. უნდა დავუშვათ ყოველგვარი საკუთრება ადამიანის შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე, ძალით რად უნდა მოვახვიოთ ვინმეს თავზე რომელიმე.

**— მე აჩემებულივით იგივე უნდა გავიმეორო: ყველაფერზე შეიძლება საუბარი მხოლოდ მაშინ, თუ ერი მთლიანია. როცა ერი აგრე მძიმედ ავად არის, რომ ერთმანეთს თოფს ესვრიან, თავისსავე ქვეყანაში ხიდებს აფეთქებენ, ამგვარ პრობლემებზე საუბარი, — ისევ იგავს მოვიშველიებ, — „კაცს თავს აჭრიდნენ და მუწუკი არ მატკენინოთო" ამას ემგვანება. მე მაინცდამაინც თქვენ წინაშე ვსვამ ამ საკითხს იმიტომ, რომ თქვენგან, „ეროვნული იდეოლოგიის" ერთ-ერთი შემქმნელისაგან, მინდა მოვისმინო. ხსნის მზა რეცეპტი, რაღაც ცდისმაგვარი მაინც.**

— ერის გამთელების ერთ-ერთ ყველაზე რეალურ საშუალებად ეროვნული თვითმმართველობა მიჩანს. უამრავი სიავე, რაც ჩვენ დღეს გვჭირს, ბიუროკრატიული აპარატის ბრალია. ამიტომ ჩვენ უპირველესად ის უნდა დავამსხვრიოთ. ხაზს ვუსვამ: ვებრძოლოთ აპარატს და არა პიროვნებებს.

**— ეს სათქმელად არის იოლი.**

— არც საქმით იქნება წარმოუდგენელი. ეროვნული თვითმმართველობის დამყარებით ეს სავსებით შესაძლებელი გახდება. ვერტიკალური ხაზების, ცენტრალიზმის საბჭოური პრინციპის ნაცვლად მართვის ჰორიზონტალური ხაზები დამკვიდრდება. სუბორდინაციას კოორდინაცია შეცვლის. საქმე მოვალეობის გრძნობამ უნდა გაკეთებინოს და არა ვიღაცის მუშტის ან მათრახის შიშმა.

**— და თქვენ გულწრფელად გჯერათ, რომ დღეს ჩვენი საზოგადოება იმ დონეზეა, რომ მოვალეობის შეგნების იმედად დარჩენის უფლება შეგვიძლია მივცეთ თავს?**

— არა, მთლად ასე ნუ გამიგებთ. ამას უნდა მივაღწიოთ. ვიცი მკითხავთ, როგორო? აი, მაგალითად: არჩევნებით უაზრო გატაცების ნაცვლად, ცოტა სხვაგვარად მივუდგეთ საქმეს. არჩევნებამდე ჯერ ის უნდა გვეკითხა ხალხისათვის, რა გვინდა — პრეზიდენტის მმართველობა თუ საპარლამენტო რესპუბლიკა? გამოგვეკითხა ერი, რომელი უნდა. იქნებ, არც ერთი და რაც მეორე. იქნებ მონარქია სურს, ანდა ეროვნული თვითმმართველობა, რაზედაც ზემოთ ვისაუბრე? ჯერ თუ არ მოვითათბირეთ, რა გვინდა, სხვაგვარად პიროვნება როგორ ავირჩიოთ?

სხვათა შორის, ეს ბევრ პრობლემას მოხსნიდა. ორი დაპირისპირებული მხარე თვითონ თუ გადაწყვეტს რა უნდათ, მერე თავიანთ გადაწყვეტილ პოსტზე ასევე ხალხის მიერ არჩეულ ნებისმიერ პიროვნებასთანაც პრეტენზიები აღარ ექნებათ.

**ვდავობთ, ვკამათობთ, ვცდილობთ ერთმანეთს გავუგოთ. ორ ბანაკს შორის სასიცოცხლო ხიდის გადება რომ აუცილებელია, ორივე ვგრძნობთ („საქართველოს ინტერესებისათვის ყველა პარტიის და ბლოკის ინტერესები მინაცვალებია"). ისიც გვინდა, თითო აგური მაინც დავდოთ ამ საქმეში. სურვილი გულწრფელია, საერთო მნიშვნელი გვავალებს ამას.**

---

### ამ ტრიალ ქვეყანაზე

# იყო თუ არა მოულოდნელი ვიზიტების გადადება

**რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პრესსამსახურის ხუთშაბათს საღამოს გამოქვეყნებული ცნობა პრეზიდენტ ბორის ელცინის იაპონიასა და სამხრეთ კორეაში ოფიციალური ვიზიტების გადადების თაობაზე ბევრისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა.** ყველაფერი იმაზე მიუთითებდა (განსაკუთრებით ბოლო დღეებში) რომ ვიზიტი იაპონიაში ინტენსიურად მზადდებოდა. ორივე მხრიდან ჩართული იყვნენ ხელისუფლების უმაღლესი რანგის წარმომადგენლები. ეს გასაგებიცაა. მიუხედავად იმისა, რომ მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან 47 წელიწადი გავიდა, რუსეთ-იაპონიის საზავო ხელშეკრულება დღემდე არ დადებულა. მთავარ მიზეზად მიიჩნევენ სამხრეთ კურილის ოთხი კუნძულის იაპონიისათვის დაბრუნების საკითხს. ცივი ომის დამთავრების პირობებში, როცა მსოფლიოში, უწინარეს ყოვლისა ყოფილ საბჭოთა იმპერიაში რადიკალური ცვლილებები მოხდა, ოთხი კუნძულის „დაბრუნება-არდაბრუნების" საკითხი, ერთი შეხედვით, ანაქრონიზმად გამოიყურება, მაგრამ მთელ რიგ გარემოებათა გამო „გადაუჭრელ" პრობლემად გადაიქცა. ერთმანეთს გადაეჯაჭვა ისტორიული სამართლიანობის აღდგენის, პრესტიჟის, ფსიქოლოგიური, პოლიტიკური ფაქტორები, მოსახლეობის განწყობილება ბი-ბი-სიმ პრეზიდენტ ბორის ელცინის გადაწყვეტილებას მოულოდნელი უწოდა. ტოკიომ ვიზიტის გადადებასთან დაკავშირებით წუხილი გამოთქვა, დასძინა, რომ ამის მიზეზი რუსეთის საშინაო მდგომარეობაა. მოსკოვიდან ახლახან დაბრუნებულმა იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვატანაბემ განაცხადა, რომ ეს არ იმოქმედებს იაპონიის მხრივ რუსეთისათვის შეპირებულ დახმარებაზე, ტოკიო მხარს უჭერს მანეთის განმტკიცების ფონდის შექმნის იდეას, ვიზიტის გადადება რუსეთის საშინაო საქმეებთან არის დაკავშირებული.

5 სექტემბერს ტოკიოში გამართულ პრესკონფერენციაზე იაპონიის საგარეო უწყების მეთაურმა თქვა აგრეთვე რომ პრეზიდენტმა ბორის ელცინმა ტერიტორიულ საკითხზე ჯერ კიდევ ვერ მიიღო გადაწყვეტილება და მას გულახდილად უთხრა, რომ „უბრალოდ არ იცის, როგორ მოიქცეს", აპირებს პირადად გააცნოს იაპონიის პრემიერ-მინისტრს თავისი პოზიცია. როგორც რუსეთის, ასევე იაპონიის ხელმძღვანელობა საზოგადოებრივი აზრისა და პოლიტიკური წრეების ძლიერი ზემოქმედების მარწუხებში აღმოჩნდნენ. ორივე მხარემ დაიწყო საზოგადოებრივი აზრის შემზადება ვიზიტის გადადებისათვის.

იაპონიის პრემიერ-მინისტრმა კიიტი მიიძავამ ჯერ კიდევ 6 სექტემბრის ტელეინტერვიუში იმედი გამოთქვა, რომ ადრე თუ გვიან იაპონია-რუსეთის ურთიერთობის „ახალი ერა" დაიწყება, „ნორმალური როდია, როცა ორ დიდ სახელმწიფოს შორის დღემდე საზავო ხელშეკრულება არ დადებულა, ეს ახლა უკვე კარგად ესმის ორივე მხარეს... გარკვეულ დროში ამასთან დაკავშირებული ყველა პრობლემა გადაწყდება". პრეზიდენტ ბორის ელცინის ადმინისტრაცია აღიარებს, რომ სტალინმა შეცდომა დაუშვა, მიიტაცა რა „ჩრდილოეთის ტერიტორიები" (კუნძულები — იტურუპი, კუნაშირი, შიკოტანი, ხაბომაი) მაგრამ რუსეთი, როგორც ჩანს, ჯერ მზად არ არის მოლაპარაკებისათვის.

თავის მხრივ, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის უშიშროების სამსახურმა 4 სექტემბერს გამოაცხადა, რომ პრეზიდენტის ვიზიტის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხების წინასწარმა განხილვამ ცხადყო, რომ იაპონიის პოლიცია არ გამორიცხავს ექსტრემისტების ხულიგნურ მოქმედებას რუსეთის დელეგაციის წევრთა მიმართ. განცხადებაში ხაზგასმული იყო, რომ თუ თავდაცვის სამსახურის მოთხოვნები არ იქნებოდა დაკმაყოფილებული, პრეზიდენტს შესთავაზებდნენ გადაედო ვიზიტი.

როგორც ვხედავთ, არც იაპონიამ და არც რუსეთმა არ დათმეს თავისი პოზიციები. ვიზიტის წარუმატებლობა კი ორივე მხარისათვის საზიანო იქნებოდა, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ბორის ელცინი აღმოჩნდებოდა.

**ირაკლი ჯაფარიძე.**

---

### თითო აბზაცით

⊙ **რუსეთის** ფედერაციის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა ტელეფონით აცნობა კორეის რესპუბლიკის პრეზიდენტს რო დე უს სეულში თავისი ოფიციალური ვიზიტის ვადის გადატანის შესახებ.

⊙ **ჩინეთის** საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა იტარ-საკდესის კორესპონდენტს აცნობა, რომ არავითარი ცვლილება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბორის ელცინის ოფიციალური ვიზიტის ვადების საკითხში არ მომხდარა. ეს ვიზიტი შუა დეკემბრისთვის არის დაგეგმილი.

⊙ **იაპონიის** ეროვნული თავდაცვის სამინისტრომ წუხილი გამოთქვა, რომ რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის ტოკიოს ვიზიტის გადადების გამო ვერ შედგება რუსეთის თავდაცვის მინისტრის პაველ გრაჩოვისა და ეროვნული თავდაცვის სამმართველოს უფროსის სოხეი მიასიოტოს ისტორიაში პირველი შეხვედრა.

⊙ **ისრაელის** შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა გენერალ-ლეიტენანტმა ეგუდ ბარაკმა განაცხადა, რომ თუმცა უცნობია, გადაიზრდება თუ არა სიტუაცია სპარსეთის ყურის რაიონში ამერიკასა და ერაყს შორის შეიარაღებულ კონფლიქტში, როგორც უნდა განვითარდეს მოვლენები, ისრაელი მზად არის „გადამწყვეტი მოქმედებისათვის".

## კინოპრემიერა

# რეზერვაცია...

## გერმანიის, უნგრეთის, საქართველოს ერთობლივი ახალი მხატვრული ფილმი „უსამშობლონი“

**ავთანდილ გველესიანი**

**ამ დღეებში თბილისში, კინოთეატრ „აპოლოში“ შედგა გერმანიის, უნგრეთის, საქართველოს კინოსტუდიების ერთობლივი ახალი მხატვრულ-დოკუმენტური ფილმის „უსამშობლონის“ პრეზენტაცია.**

**ფილმის პრემიერა მაყურებელს წარუდგინა კინოკორპორაცია „ქართული ფილმის“ პრეზიდენტმა რეზო ჩხეიძემ, ესწრებოდნენ: გერმანიის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში გიუნტერ დანშოფი, საელჩოს წარმომადგენლები, საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე, ქალაქ თბილისის მერი ოთარ ლითანიშვილი, გერმანიის ქალაქ მიუნხენში ქართული დიასპორის — სათვისტომოს თავკაცი, იურისტი ქრისტეფორე კარკიტაძე, თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.**



ფილმის სპონსორია საქართველოს რესპუბლიკის „საქკურორტის“ თავკაცი ზურაბ ლოლუნიშვილი, რომლის მამულიშვილური, ფინანსური დახმარების გარეშე, ფილმი, უბრალოდ, არ შედგებოდა. ფილმის დირექტორი გახლავთ კოტე კიკაბიძე, რომლის ორგანიზატორული ნიჭი, გამოცდილება აგრერიგად წაადგა ფილმს.

ფილმში მხატვრულ-დოკუმენტურ, პუბლიცისტურ ჟანრში ნაამბობი და აღწერილია გერმანელი ერის წარმომადგენელთა ყოფა-ცხოვრება ყოფილი საბჭოთა იმპერიის სინამდვილეში.

1941 წელს, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რეგიონებში მცხოვრები ათეულ ათასობით გერმანელი ერის წარმომადგენლები შუა აზიაში გადაასახლეს. რეზერვაციაში მყოფი, რეპატრიირებული გერმანელები გენოციდს, ეროვნულ ჩაგვრას, სოციალურ შევიწროებას განიცდიდნენ. მათი რეაბილიტაცია მხოლოდ 1990 წელს მოხდა.

რეჟისორებმა, წარმოშობით უნგრელებმა, ამჟამად გერმანიაში მცხოვრებმა ბარნა კაბაიმ და იმრე გიონდიოსმა, შემოქმედებითმა ჯგუფმა: სცენარის ავტორებმა, — კატალინ პეტენიმ და ერლომ ახვლედიანმა, დამდგმელმა ოპერატორმა პეტერ იანკურამ ჯერ კიდევ ჩანაფიქრი, შემდგომში უკვე დაწერილი ლიტერატურული სცენარი მოსკოვში, ყოფილ საბჭოთა კინოს მესვეურებს წარუდგინეს, სიტყვიერ, ფორმალურ დასტურს, პრაქტიკული ნაბიჯები არ მოჰყოლია. მიზეზი აუხსნელი რჩებოდა, თუმცა, მთავარი მიზეზი, ორივე მხარისათვის ნათელი და გასაგები იყო, — პოლიტიკური მოტივი.

ფილმის მთავარი იდეა სამშობლოს მტკივნეული ძიება იყო.

როგორც ჩანს, გერმანელი ავტორები თავად მიხვდნენ, გარკვეული მეგობრული რჩევაც მიიღეს მწვანეთაგან და საქართველოში ჩამოვიდნენ, კინოსტუდია „ქართულ ფილმს“ მიაკითხეს, დახმარება სთხოვეს. პასუხი და მოქმედება — ცალსახა იყო, — ყოველმხრივი დახმარება, თანადგომა, თანამოსაქმეობა; გადამღებ ჯგუფს მიეცა ბაზა, შეიქმნა ყოველგვარი ორგანიზაციული შემოქმედებითი პირობები, რათა ფილმი შექმნილიყო.

უფროსი თაობის წარმომადგენლებისათვის ცნობილი ფაქტია, ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რეგიონებში, მათ შორის, საქართველოში, კერძოდ ბოლნისში, ათასობით მცხოვრები გერმანელი მუყაითობის, გარჯის, შრომის ორგანიზაციის მაგალითს იჩენდა. მათ ხელში მიწაც ყვაოდა და ბაღ-ვენახიც, მოვლა-პატრონობა არაფერს არ აკლდა, — კოპწია თეთრი სახლები, დაწკრიალებული კარ-მიდამო, შრომის ყადრიც გერმანული ჰქონდათ, — ეს ფილმშიც გამოკვეთილად ჩანს. ოღონდაც საბჭოთა რეზერვაციაში მცხოვრებ გერმანელებს, შემდგომში რეპატრიირებულ „ზონაში“ მცხოვრებთ (ამას თუ ცხოვრება ერქვა?) არც რუსული იმპერიის სუკ-ის თვალი აკლდათ, — გენოციდს, ჩაგვრას ძლიერი ნებისყოფის, მტკიცე ხასიათის წყალობით იტანდნენ, სწამდათ, სჯეროდათ, რომ უკეთესი ჟამი დაუდგებოდათ, მათი დროც მოვიდოდა...

აჰა დადგა კიდეც. დღეს დიდი, ერთიანი, ძლიერი, მდიდარი გერმანია მსოფლიო ცივილიზაციის ავანგარდშია.

სიტყვამ მოიტანა და, დემონტირებული რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე გერმანელთა დიასპორის, სათვისტომოების დასახლების პრობლემა, დღესაც მწვავედ დგას. ფედერაციული რუსეთის ხელისუფლება, მათ სამოსახლოდ ატომური იარაღის გამოცდის ყოფილ გადამწვარ-გადაბუგულ, სტრონციუმით გაჟღენთილ სამხედრო პოლიგონს — „მიწას“ სთავაზობს. სახელმწიფო დონის ეს მწვავე კონფლიქტი დღესაც გრძელდება და ჯერაც გადაუჭრელია.

რაოდენ თანამედროვედ, გლობალურად ჟღერს დღეს ფილმში დაყენებული ეროვნული, გეოპოლიტიკური, ეთნიკური პრობლემები.

ფილმში მონაწილეობენ რეალური პერსონაჟები, ისინი, ვინც თავის თავზე იწვნია და განიცადა საბჭოთა იმპერიის ეროვნული, პოლიტიკური, სოციალური წნეხი.

ფილმის მხატვრულ-დოკუმენტური პუბლიცისტური ხერხები მისი ღირსებები, მრავალმხრივ მოსაწონი და საყურადღებოა. ფილმის რეჟისორებს ოცდარვა ფილმი აქვთ დადგმული, — გამოცდილი კინოოსტატები არიან. მხატვრული ფილმის „უსამშობლონის“ პრემიერა შედგა კიოლნში, მიუნხენში. ნაჩვენები იყო კანის, კანადის საერთაშორისო კინოფესტივალებზე და ყოველთვის ყურადღებას იმსახურებდა, რადგან მისი ძირითადი პათოსი — რჯულშემწყნარებლობა, ადამიანთა შორის ურთიერთობებია მთავარი, და არა სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური, რელიგიური თუ კერძო ინტერესების წინა პლანზე წამოწევა.

ფილმი გვაფრთხილებს:

— შთამომავლობავ, იყავი ფხიზლად!

ფილმი მოგვიწოდებს:

— ადამიანო, დარჩი ადამიანად!..

**P. S. გერმანიის სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ბატონმა გიუნტერ დანშოფმა შეხვედრაზე აღნიშნა, რომ გერმანიის საელჩოს ახლო მომავალში განზრახული აქვს თბილისში გახსნას და დაარსოს გოეთეს სახელობის კულტურული ცენტრი, რომელიც საქართველოს და გერმანიის ხალხებს დააახლოვებს, სულიერ-ზნეობრივ, კულტურულ, [illegible] კავშირებს.**

**ელჩმა ასევე წარმოადგინა საელჩოს ვრცელი, მიზნობრივი სამომავლო პროგრამა, თუ რის გაკეთებას აპირებს ახლო და მომავალ პერიოდში.**

**გერმანია საქართველოს ეკონომიკურ, კულტურულ აღორძინებაზე ფიქრობს, მოქმედებს.**

---

## ამ დღეებში

**[illegible] „საქართველოს რესპუბლიკისა“ და საქინფორმის კორესპონდენტებისაგან**

**მოვლენა • ფაქტი • კომენტარი**

## „პოპემისა“ და მწვანეთა ინიციატივით

**საქართველოს მწვანეების და ევროპის ხმელთაშუაზღვისპირა ხალხების სამშვიდობო ორგანიზაცია „პოპემის“ ინიციატივით სასტუმრო „მეტეხში“ მოეწყო კონფერენცია — „კავკასიის რესპუბლიკების ადგილი კავკასიის თანამეგობრობაში, ევროპის, შავი ზღვისა და ხმელთაშუაზღვის კონტექსტით“.**

კონფერენციამ განიხილა კავკასიის რეგიონის ისტორიის ანალიზი და თანამედროვე მდგომარეობა, მწვანეთა სამშვიდობო და სხვა ალტერნატიული ორგანიზაციების როლი კავკასიასა და მთელ მსოფლიოში, უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის საქმეში.

კონფერენციაზე, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობა მიიღეს მალტის, ლიბიის, გერმანიის, სომხეთისა და საქართველოს წარმომადგენლებმა, აღინიშნა იმის შესახებ, რომ კავკასიის მწვავე რეგიონალური ლოკალური პრობლემა კარგა ხანია საერთაშორისო პრობლემად იქცა. უძველესი კულტურისა და ტრადიციის მხარე, საქართველო, რომელმაც IV საუკუნის პირველ ნახევარში ქრისტიანობა მიიღო, თავისი გეოგრაფიული მდებარეობით მაკავშირებელი ჯაჭვი აღმოჩნდა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. ეს ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოსთვის სამშვიდობო თვალსაზრისით ხელსაყრელი ვერ არის ვერც ეკონომიკურად.

— ვცდილობთ სამშვიდობო ორგანიზაციების მეშვეობით კონფლიქტების მოსაგვარებელი გზები გამოვნახოთ — გვითხრა ბატონმა რეზო ადამიამ — „პოპემის“ თავმჯდომარემ, საქართველოს მწვანეთა ცენტრის საბჭოს წევრმა. ამასთანავე უნდა შევძლოთ მოსალოდნელი ახალი ცხელი წერტილების გაუვნებლება.

კონფერენციამ მიიღო სამშვიდობო განცხადება კავკასიის რეგიონისადმი, რომლის მიზანია აფხაზეთსა და ყარაბაღში დაპირისპირებულ მხარეებს შორის სისხლისღვრის შეწყვეტა. მანვე მოუწოდა კავკასიის რესპუბლიკებს გამოცხადდნენ ნეიტრალურ და დემილიტარულ ზონად კეთილმეზობლური ურთიერთობით რეგიონალურ და გლობალურ ძალებთან. ასევე მასობრივად მოისპოს არსებული ბირთვული იარაღი.

შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს შავი ზღვის პრობლემებზე, რომელთა გადაჭრაშიც დიდია მწვანეთა როლი, რადგან სუფთა ეკოლოგიური გარემო მათი უპირველესი ამოცანაა.

კონფერენციას „მშვიდობა კავკასიის რეგიონში“ ესწრებოდა ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის ხალხების სამშვიდობო ორგანიზაცია „პოპემის“ გენერალური მდივანი, მალტის პარლამენტის წევრი დინის სამუტი.

იმავე დღეს კონფერენციის მონაწილენი აფხაზეთში გაემგზავრნენ.

**ია კალანდარიშვილი.**

## საჩუქრად ყველა პატარას

**საქველმოქმედო ფონდმა „აღორძინება და დემოკრატიამ“, სათნოების სახლმა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის რუსთავის კომიტეტმა ქალაქში მცხოვრებ ყველა ჩვილს, რომელიც 1991 წლის 1 აგვისტოს შემდეგ დაიბადა, საჩუქრად გამოუყვეს 3 კილოგრამი შაქრის ფხვნილი თითოეულს.**

**შაქრის ფხვნილი უფასოდ გადაეცათ აგრეთვე ომისა და შრომის ინვალიდებს, მარტოხელა და ღრმად მოხუცებს.**

## ჩაირიცხა თავდაცვის ფონდში

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა საქართველოს ეროვნული თავდაცვის ფონდში ჩარიცხა 100 ათასი მანეთი და პრეზიდიუმის თანამშრომელთა ერთი დღის ხელფასი.**

**საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ, აპარატისა და სისტემის მუშაკთა სურვილის გათვალისწინებით, საქართველოს ეროვნული თავდაცვის ფონდში გადარიცხა 20 000 მანეთი.**

## ფესტივალი „ქება ვაზისა“

**მეცხრედ აღიმართა კამერული მუსიკის ტრადიციული ფესტივალის — „ქება ვაზისა“ დროშა, რომელიც ჩვენმა სახელგანთქმულმა თანამემამულემ პიანისტმა ელისო ვირსალაძემ თავის თანამოაზრეებთან ერთად დააფუძნა. ახლანდელ მუსიკის ზეიმში, მიუხედავად რესპუბლიკის მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობისა, ქართველ შემსრულებლებთან ერთად საზღვარგარეთიდან ჩამოსული მუსიკოსებიც მონაწილეობენ.**

**საფესტივალო კონცერტებზე აჟღერებული მუსიკა თავისუფალი, ერთიანი, დემოკრატიული საქართველოს, მშვიდობისა და ბედნიერების წინამორბედია.**

• • •

**სურათზე: გამოდის თელავის ქალთა ვოკალური ანსამბლი.**

**[illegible] ძურაშიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).**



## ჩოგანი

## მარადონა ფეხბურთიდან წასვლით იმუქრება

მადრიდი, 10 სექტემბერი. (იტარ-საკდესი). საქვეყნოდ ცნობილმა არგენტინელმა ფეხბურთელმა დიეგო მარადონამ განაცხადა, რომ თავს დაანებებს ფეხბურთს, თუ ამ კვირის დამლევამდე არ გადაწყდება ესპანეთის კლუბ „სევილიაში“ მისი გადასვლის საკითხი, იუწყება იტუ-ს სააგენტო ბუენოს-აირესიდან.

„თუ შაბათამდე არ მომეცემა შესაძლებლობა გადავიდე „სევილიაში“, არასდროს აღარ ვითამაშებ არც ესპანეთის, არც იტალიის და არც რომელიმე სხვა გუნდის შემადგენლობაში“, — განაცხადა ფეხბურთელმა არგენტინის რადიოსათვის მიცემულ ინტერვიუში. როგორც მან თქვა, უკანასკნელ ხანს გამოჩნდა იმედის მომცემი ცნობა, რომ იტალიის „ნაპოლის“ კლუბის ხელმძღვანელობა დათანხმდება მის გადასვლას ესპანეთის გუნდში.

იმის მიუხედავად, რომ კონტრაქტი, რომელსაც მარადონამ მოაწერა ხელი იტალიის კლუბთან, ძალაში რჩება 1993 წლამდე, ფეხბურთელს არაერთგზის განუცხადებია, რომ აღარ სურს დაბრუნდეს იტალიაში. როგორც მან თქვა, ქვეყანაში მას და მისი ოჯახის წევრებს არაერთგზის დამუქრებიან, რომ გაუსწორდებიან ანგარიშს.

მარადონამ ისიც თქვა, რომ როგორც კი გადაწყდება „სევილიაში“ მისი გადასვლის საკითხი, მაშინვე გადაფრინდება ესპანეთში. რაც შეეხება „ნაპოლის“, ფეხბურთელმა განაცხადა, რომ არაფერი აქვს საწინააღმდეგო ამ გუნდის მოთამაშეთა მიმართ. „კორადო ფერლაინო რომ არ იყოს კლუბის პრეზიდენტი, მე „ნაპოლის“ შემადგენლობაში დავრჩებოდი“.

## დაწინაურდა სპასკი

ბელგრადი, 10 სექტემბერი. (იტარ-საკდესი). რობერტ ფიშერისა და ბორის სპასკის საჭადრაკო მატჩის მეხუთე პარტია ხუთი საათის ბრძოლის შემდეგ 45-ე სვლაზე დასრულდა შავი ფიგურებით მოთამაშე სპასკის გამარჯვებით. იგი დაწინაურდა ანგარიშით — 2:1 (ორი პარტია დასრულდა ყაიმით, მაგრამ ამ მატჩში, როგორც ვიცით, ყაიმის შედეგები არ ითვლება).

## ინვალიდებს არ გაუჭირდებათ

არც ერთი ინვალიდი, რომელსაც სიარული უჭირს და ოთახის სავარძელ-ეტლის მიღების აღრიცხვაზე თავის რიგს ელოდება საქართველოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროში; აუცილებლად მიიღებს ამ ეტლს, აღრიცხვაზე კი ხუთასამდე ადამიანია. უკვე სექტემბერში 160 ინვალიდი უფასოდ მიიღებს გადაადგილების საშუალებას, დანარჩენები კი წლის ბოლომდე გახდებიან ტაგანროგის ქარხნის სავარძელ-ეტლის მფლობელები.

სამინისტროს შეკვეთით 50 მოტოეტლს ამზადებს ქალაქ სტავროპოლის ქარხანა. ახლახან ეს შეკვეთა კიდევ 150 ერთეულით გაიზარდა, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ეტლის ფასმა 100 ათას მანეთს მიაღწია, სამინისტრომ გამონახა საამისო საშუალება. თუ ქარხანამ შეუფერხებლად შეასრულა დაკვეთა, წლის ბოლომდე აღრიცხვაზე მყოფ ყველა ინვალიდს იგი უფასოდ მიეცემა.

---

## საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი?!

### ნუგზარ მაღლაფერიძე

კიდევ ერთი კარგი ქართველი, ცხოვრების მიზნად სიმართლისა და სამართლიანობისთვის ბრძოლა რომ ჰქონდა დასახული, შეეწირა საქართველოს ერთიანობისა და თავისუფლებისთვის ბრძოლას.

დიდია მწუხარება — მშობლიურ ქალაქს, ოჯახს და თანამშრომლებს დააკლდა მარტვილში ტერორისტთა ტყვიით საზარლად დახვრეტილი პატიოსანი ვაჟკაცი ნუგზარ ვლადიმერის ძე მაღლაფერიძე, — პოლიციის კაპიტანი, ქუთაისის წმინდა ნინოს მიკრორაიონის განყოფილების უბნის ინსპექტორი.

ოჯახმა დაკარგა ერთგული მეუღლე, მზრუნველი მამა, სამსახურმა — შესანიშნავი თანამშრომელი, ძნელია ანუგეშო თვალცრემლიანი ახლობლები.

დაე, აწი მის ლამაზ სულს ელოცოს საქართველოს ბედნიერებისთვის.

### გიორგი შურღაია

დაგვაკლდა კიდევ ერთი კარგი ქართველი ვაჟკაცი, რომელმაც ბედნიერი მომავლის იმედით შექმნა ოჯახი და ერთიანი საქართველოსთვის იღვწოდა.

გულისტკივილით დაიტირა კოლექტივმა ქართველი ვაჟკაცი, ახალგაზრდა, ენერგიულ და სიცოცხლით სავსე გიორგი თამაზის ძე შურღაია — პოლიციის ლეიტენანტი, საპატრულო-საგუშაგო ბატალიონის ოცეულის მეთაური.

მან მხოლოდ 25 წელი იცოცხლა, შინაგან საქმეთა ორგანოებში კი 1991 წლიდან მუშაობდა. არასოდეს უღალატია საქმისთვის, რომელსაც შეეწირა. თავისი სამშობლოს უზომო სიყვარულმა და საქართველოს ერთიანობისთვის ზრუნვამ იმსხვერპლა მისი სიცოცხლე.

დარჩა ოჯახის მწარე მოგონებად.

მომავალში, ალბათ, მამის ვაჟკაცობით მოგვრილი ტკივილნარევი სიამაყით დაუმღერებს ნანას თავის პატარას მისი ობლად დარჩენილი ცეროდენა: ვინ იცის, იქნებ მისმა ქალიშვილმა შემატოს საქართველოს კიდევ ერთი გიორგი, რომელიც თავისი ღირსეული მამის მსგავსად სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად ემსახურება სათაყვანო სამშობლოს.

### დავით ჯანელიძე

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკთა რიგებს გამოაკლდა კიდევ ერთი შესანიშნავი თანამშრომელი — დავით ალიოშას ძე ჯანელიძე — პოლიციის ლეიტენანტი, ქუთაისის შს განყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო ოპერრწმუნებული, რომლის სახელიც მუდამ დარჩება მოსაგონებლად მის ოჯახს, მეგობრებსა და თანამშრომლებს. იგი და მისი ორი თანამშრომელი, მარტვილში ტერორისტული ბანდების წევრებმა საზარლად დახვრიტეს.

მის ქალ-ვაჟს საამაყოდ დარჩებათ მამის შესანიშნავი ცხოვრების გზა და უთუოდ თავიანთი სამშობლოს სასახელო შვილებადაც დაიზრდებიან.

დავითმა შს ორგანოებში 1992 წელს დაიწყო მუშაობა, მაგრამ დროის ამ მცირე მონაკვეთშიც ბევრი სასიკეთო რამის გაკეთება მოასწრო.

საქართველოს უკიდეგანო სიყვარულს იტევდა მისი კეთილი გული. ამ სიყვარულით არსებობდა და შეეწირა კიდეც სამშობლოს ერთიანობისა და თავისუფლების იდეას, ამ სიყვარულით სძლია სიკვდილს და სამარადისოდ შეუერთდა თავის სალოცავ საქართველოს.

**საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო; ქ. ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველო.**

---

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა უზენაესი სასამართლოს წევრი**

**ჯუდუ ვარდენის ძე ჩაჩაძე**

**და სამძიმარს უცხადებს, განსვენებულის ოჯახს.**

---

## თბილისის სამედიცინო კოლეჯი

### აცხადებს მიღებას 1992-93 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. მედდის საქმე, 2. ფარმაცია, 3. სტომატოლოგია.

(ქართულ-რუსული სექტორები).

სასწავლებლად მიიღებიან ორივე სქესის პირები, მედდის საქმეზე — არასრული საშუალო განათლების მქონე მოსწავლეები, ფარმაციაზე და სტომატოლოგიაზე — საშუალო განათლების მქონე საქართველოს რესპუბლიკაში მცხოვრები მოსწავლეები.

სამედიცინო კოლეჯის კურსდამთავრებულები მიიღებენ სრული საშუალო სამედიცინო განათლების დიპლომს.

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

განცხადება დირექტორის სახელზე; განათლების მოწმობა; ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; ჯანმრთელობის ცნობა; ოთხი ფოტოსურათი (3X4); პასპორტი.

მრავალშვილიან, მარტოხელა ოჯახებიდან აბიტურიენტებმა შესაბამისი შეღავათისათვის უნდა წარმოადგინონ ოჯახური მდგომარეობის დამადასტურებელი ცნობა, მათთვის მოეწყობა ცალკე კონკურსი.

**საბუთები მიიღება ამა წლის 11 სექტემბრიდან 26 სექტემბრამდე, 12-დან 17 სთ-მდე.**

**გასაუბრება იწარმოებს 27 სექტემბრიდან 30 სექტემბრამდე. სწავლა დაიწყება 1 ოქტომბერს.**

**მისამართი: ქ. თბილისი, ელდარის ქ. 5, 109-ე საშუალო სკოლა, ვარკეთილის მეტროსთან.**

**ტელეფონი: 78-31-19.**

---

## გამოიწერეთ 1993 წლისათვის!

მაშინ, როდესაც ჩვენს გარშემო ყველაფერი ძვირდება და ფული უფასურდება, ხელმოწერა 1993 წლისთვის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაზე“ იაფდება.

დიახ, იაფდება!

წლეულს ჩვენი გაზეთი 2 მანეთად იყიდება, გაისად ხელმომწერთათვის მანეთი და 80 კაპიკი ეღირება და 1993 წლის ბოლომდე, ინფლაციის ნებისმიერი ზრდის მიუხედავად, ამ ფასს შევინარჩუნებთ.

რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრო გარანტიას გვაძლევს, რომ თითოეულ ხელმომწერს დაუგვიანებლად ჩაბარდება „საქართველოს რესპუბლიკის“ ყველა ნომერი. ფოსტალიონების მომსახურებას თქვენ აფინანსებთ, პატივცემულო მკითხველებო, რადგან 80 კაპიკი, თქვენს მიერ გადახდილი მანეთის და 80 კაპიკისა, სწორედ საამისოდაა გამიზნული.

ერთადერთი ყოველდღიური

ქართული გაზეთი

საქართველოს რესპუბლიკა

„საქართველოს რესპუბლიკაზე“ ხელმოწერა ნახევარი წლით მხოლოდ 234 მანეთი ეღირება, ერთი წლით — 468 მანეთი.

„საქართველოს რესპუბლიკის“ გაიაფება მოწყალების გაღება არ გეგონოთ, თქვენთვის ხელის შეწყობაა მხოლოდ.

თქვენც, დარწმუნებული ვართ, ხელშეწყობითვე გვიპასუხებთ — გამოიწერთ „საქართველოს რესპუბლიკას“ 1993 წლისთვის!

„საქართველოს რესპუბლიკა“ ყველაზე იაფი პერიოდული გამოცემაა.

ხელმოწერა კიდევ უფრო იაფი დაუჯდებათ იმ მკითხველებს, რომლებსაც 1992 წლის ბოლომდე გამოწერილი ჰქონდათ ჩვენი გაზეთი და დამატებითი ხელმოწერის გამოცხადების შემდეგ გადაიხადეს 5 თვის 110 მანეთი ან 4 თვის 88 მანეთი.

ეს ფული გამოაკლდება საგაზეთო ხელმოწერის ღირებულებას. ამისთვის საკმარისი იქნება „სოიუზპეჩატის“ იმ განყოფილებაში, სადაც 1993 წლის ხელმოწერას გააფორმებთ, წარადგინოთ 1992 წლის წლიური ხელმოწერისა და დამატებითი ხელმოწერის ქვითრები.

ბევრი არ არის, მაგრამ მაინც შეღავათია თქვენი ოჯახის ბიუჯეტისთვის, მით უფრო, რომ საცალო ვაჭრობაში გაზეთი 3 მანეთად გაიყიდება.

ჩვენ მხოლოდ ერთმანეთით და ერთმანეთისთვის ვარსებობთ, ძვირფასო მკითხველებო!

ჩვენი ინდექსია 66434

მთავარი რედაქტორი ბურამ გოგიაშვილი.

○ მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
○ ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

ინდექსი 66434